კითხვარის სახელმძღვანელო
კომუნიკაცია პროგრესის შესახებ (COP)

დოკუმენტის ვერსია: 2024 წლის მარტი

United Nations
Global Compact

შინაარსი

წინასიტყვაობა ... 3

მიმოხილვა: გაძლიერებული კომუნიკაცია პროგრესზე ... 4

მიმოხილვა: კორპორაციული მდგრადობის ანგარიშგების თავსებადობა ... 5

კითხვარის შესახებ ... 6

- კითხვარის სტრუქტურა ... 6
- კითხვები ... 8

პროგრესის შესახებ კომუნიკაციისთვის ... 9

- კითხვარის ნაწილი 1: მმართველობა ... 10
- კითხვარის ნაწილი 2: ადამიანის უფლებები ... 18
  - დამატებითი რესურსები ადამიანის უფლებების საკითხზე ... 24
- კითხვარის მე-3 ნაწილი: შრომა ... 27
  - დამატებითი რესურსები შრომის საკითხებზე ... 39
- კითხვარის მე-4 ნაწილი: გარემო ... 41
  - დამატებითი რესურსები გარემოს დაცვის საკითხზე ... 64
- კითხვარის მე-5 ნაწილი: კორუფციასთან ბრძოლა ... 67
  - დამატებითი რესურსები კორუფციასთან ბრძოლის საკითხზე ... 74

მეფინგი - მდგრადი განვითარების მიზნები ... 75

პროგრესის გამოკითხვის მონაცემთა შემაჯამებელი ცხრილი ... 84

განმარტებები ... 85

წინასიტყვაობა

მდგრადი მომავლისკენ სწრაფვის გზაზე, კორპორაციული გამჭვირვალობა და ობიექტური ანგარიშგება უფრო და უფრო მნიშვნელოვანი ხდება მდგრადი განვითარების მიზნებით, და პარიზის კლიმატის შეთანხმებით განსაზღვრული ათი პრინციპის დანერგვისთვის. ახლა უფრო მეტად ვიდრე არასდროს თანხვედრაში უნდა მოვიყვანოთ ჩვენი ამბიციები და ანგარიშვალდებულების მექანიზმები, რათა საფუძველი ჩავუყაროთ ცვლილებას.

პროგრესის შესახებ გაძლიერებული კომუნიკაცია მხარს უჭერს გადაწყვეტილების მიღების პროცესებს და ეხმარება ბიზნესს სტანდარტიზებული გზით პროგრესის გაზომვაში, რაც თვის მხრივ ხელს უწყობს კორპორაციული მოქმედებების აღიარებას, გამჭვირვალობას და შედარებას მონაწილეების მიერ გაერთიანებული ერების გლობალური შეთანხმების ათი პრინციპის განხორციელების პროცესში. კითხვარი შეიქმნა, რათა ხაზი გაესვას მნიშვნელოვან სფეროებს, მოხდეს წარმატებული ინიციატივების გამოვლენა, და მომავალი მოქმედებების შთაგონება. ამასთან, დამხმარე პლატფორმა მონაწილეებს საშუალებას მისცემს შეაფასონ საკუთარი მიღწევები და შეადარონ სხვა კომპანიების პროგრესს.

სახელმძღვანელოს მიზანია დეხმაროს გაერთიანებული ერების გლობალური შეთანხმების მონაწილეებს კითხვების გაცემის პროცესში, ამავე დროს ხელს შეუწყობს სწავლის და პროგრესის პროცესს. კითხვარი მომზადებულია ისე, რომ შევძლოთ პრობლემის არსის და მისი გადაჭრის გზების მკაფიოდ დანახვა. კითხვები შეეხება 1) მმართველობის ჩარჩოს, პოლიტიკებს და პროცესებს, რომლებიც უნდა დანერგოს სოციალური და გარემოდაცვის მიმართულებით ცვლილების მისაღწევად და 2) ხელშესახებ შედეგებს, რომლებიც გაიზომება ხარისხობრივი საზომებით ზოგიერთ შემთხვევაში, შესაძლებლობის ფარგლებში კითხვები შეესაბამება არსებული მდგრადი ანგარიშგების ჩარჩოებს და გაერთიანებულ მთავარსახელმძღვანელოებს, როგორიცაა გაერთიანებული სახელმძღვანელოპრინციპები ბიზნესისა და ადამიანის უფლებების შესახებ.

პროგრესზე კომუნიკაციის დოკუმენტი შეიქნა 70-ზე მეტი ორგანიზაციის მონაწილეობით, მათშორის გაერთიანებული ერების ორგანიზაციების, მონაწილე ბიზნესების, მთავრობების, ინვესტორების, და სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობით. ჩვენ მადლობას ვუხდით ყველას, ვინც საკუთარი წვლილი შეიტანა ამ პროცესში.

ყოველწლიურად ათი ათასობით კომპანიის მიერ სისტემატური და გამჭვირვალე ანგარიშგების პირობებში, გაერთიანებული ერების გლობალური შეთანხმების პროგრესზე გაძლიერებულ კომუნიკაციას აქვს შეუზღუდავი პოტენციალი გაზარდოს მდგრადობის კორპორაციული ამბიცია, და მარდოც გააერთიანოს ბიზნესი უკეთესი მომავლისთვის.

პატივისცემით,

სანდრ ოჯიამბო
აღმასრულებელი დირექტორი და გენერალური დირექტორი
გაერთიანებული ერების გლობალური მდივნის მოადგილე

მიმოხილვა: გაძლიერებული კომუნიკაცია პროგრესზე

მონაწილე კომპანიებისთვის, პროგრესზე კომუნიკაცია (CoP) წარმოადგენს მთავარ მექანიზმს, რათა მოხდეს გაეროს გლობალური შეთანხმების ათი პრინციპის და მდგრადი განვითარების მიზნების (SDGs) მიმართულებით მიღწეული პროგრესის დემონსტრირება. ზოგიერთი მონაწილისთვის კომუნიკაცია პროგრესის შესახებ (CoP) წარმოადგენს მდგრადი განვითარების პროგრესის მთავარ ანგარიშს და მათი საქმიანობის შეფასების პირველ საფეხურს. მოწინავე კომპანიებისთვის, რომელთაგან ბევრი ექვემდებარება უფრო მკაცრ სავალდებულო ანგარიშგებას, CoP არის მარტივი გზა დროთა განმავლობაში მიღწეული პროგრესის უფრო ნათლად დასანახად და მსოფლიო მასშტაბით კონკურენტების თვალყურის მისადევნებლად.

კომპანიის ზომის, მდებარეობისა და განვითარების დონის მიუხედავად, CoP-ის მონაცემები იძლევა ათი პრინციპის განხორციელებისას მონაწილეთა მიღწეული პროგრესის გლობალურ ხედვას, დაინტერესებულ მხარეებს აწვდის ინფორმაციას მონაწილე კომპანიების პოლიტიკისა და პრაქტიკის შესახებ და საშუალებას აძლევს კომპანიებს მარტივად შეადარონ ერთმანეთს ძალისხმევა დროთა განმავლობაში. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია - CoP მონაცემები წარმოადგენს ინფორმაციის წყაროს გაეროს გლობალური შეთანხმების და სხვა ძირითადი დაინტერესებული მხარეების პროგრამული წინადადებებისთვის, რაც უზრუნველყოფს ჩვენი წევრების მხარდაჭერას იქ, სადაც მათ ეს ყველაზე მეტად სჭირდებათ..[1]

გაძლიერებული კომუნიკაცია პროგრესზე მოითხოვს აღმასრულებელი დირექტორის მიერ განცხადების წარმოდგენას, სადაც გაცხადებული იქნება მხარდაჭერა გაეროს გლობალური შეთანხმების მიმართ. ასევე, აუცილებელია ონლაინ კითხვარის შევსება კორპორაციულ მოქმედებებზე, რომლებიც უკავშირდება ათ პრინციპს და მდგრადი განვითარების მიზნებს (დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ პროგრესზე კომუნიკაციის პოლიტიკა). ორივე ელემენტი უნდა მომზადდეს და ჩაბარდეს ციფრულად, გაეროს გლობალური შეთანხმების ვებგვერდის გამოყენებით, ყოველი წლის 1 აპრილიდან 31 ივლისის ჩათვლით.
კითხვარი მიუთითებს მიღწეულ პროგრესზე მმართველობით, ადამიანის უფლებების, შრომის, გარემოს, და ანტიკორუფციული მიმართულებებით. ეს სტანდარტიზებული კითხვარი საშუალებას აძლევს მონაწილეებს:

- მოახდინონ *ათი პრინციპის* შესრულების პროგრესის თანმიმდევრული და ჰარმონიული გაზომვა და გამოვლენა;
- სანდოობის და ბრენდის ფასეულობის გაზრდის კორპორაციული მდგრადობის, ათი პრინციპის და მდგრადი განვითარების მიზნების შესრულების კუთხით გამოჩენილი ძალისხმევის დემონსტრირებით;
- ხარვეზების იდენტიფიცირებისა და ინფორმირებული მიზნების დასახვით წლიდან წლამდე ინფორმაციის მიღების, სწავლისა და შედეგის მუდმივი გაუმჯობესება; და
- საკუთარი პროგრესის სხვა კომპანიებთან შედარების კორპორაციული მდგრადობის მსოფლიოს უმსხვილეს, უფასო და საჯარო მონაცემებზე წვდომის გზით.

წინამდებარე სახელმძღვანელო შემუშავებულია, რათა დაეხმაროს გაეროს გლობალური შეთანხმების მონაწილეებს პროგრესზე კომუნიკაციის კითხვარის შევსებაში. 75-ე გვერდზე ხელმისაწვდომია COP მონაცემთა შედგენის ჩამონათვალი, რომელიც ასახავს კითხვარის შევსებისთვის საჭირო ინფორმაციის სახეობას. პროგრესზე კომუნიკაციის დაწყებამდე ასეთი ინფორმაციი გაცნობა და/ან გადასინჯვა შესაძლოა სასარგებლო იყოს მონაწილე კომპანიებისთვის. სახელმძღვანელოში ასევე წარმოდგენილია თითოეული კითხვის, დაანგარიშების მეთოდოლოგია, და მაჩვენებლები, რომლებიც თითოეულ კითხვას უკავშირებს გლობალური ანგარიშგების ინიციატივას (როგორიც არის გლობალური ანგარიშგების ინიციატივა), გაეროს გლობალური შეთანხმების ათ პრინციპს, და მდგრადი განვითარების მიზნებს. დამატებით, დოკუმენტი მოიცავს წყაროებს, რომლებიც ბიზნესებს შეუძლიათ გამოიყენონ თითოეულ კითხვაში წარმოდგენილი თემის შესახებ ინფორმაციის მოძიებისთვის. ასევე, ხელმისაწვდომია კითხვარის ფარგლებში ფართოდ გამოყენებული ტერმინოლოგიის ნუსხა. წინამდებარე ტექნიკური სახელმძღვანელო არის სამუშაო დოკუმენტი, რომელიც გადაისინჯება და განახლდება რეგულარულად.

[1] რატომ უნდა გავწევრიანდეთ გაეროს გლობალური შეთანხმება

კორპორაციული მდგრადობის ანგარიშგების სფერო სწრაფად ფართოვდება და გაეროს გლობალური შეთანხმება მიზნად ისახავს მხარი დაუჭიროს მის მონაწილეებს პროცესის გაგებასა და წარმართვაში წარმატებული, ყოვლისმომცველი შედეგების მისაღწევად.

კორპორაციული მდგრადობის ანგარიშგებას საფუძვლად უდევს კომპანიის პროგრესის გამჭვირვალედ შეფასების სურვილი, რათა ძალისხმევა და რესურსები მიმართული იყოს საქმიანობის გაუმჯობესებისკენ საზოგადოების, გარემოსა და კომპანიის გრძელვადიანი ფუნქციონირებისა და მომგებიანობისთვის. ამის მიღწევაში კომპანიების მხარდასაჭერად ორგანიზაციები, როგორიცაა გაეროს გლობალური შეთანხმება, ანგარიშგების გლობალური ინიციატივა (GRI), საერთაშორისო მობილობის პროგრამა (IMP), საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების სტანდარტები (IFRS) და ევროპის ფინანსური ანგარიშგების მრჩეველთა ჯგუფი (EFRAG), ძალისხმევას არ იშურებენ საერთაშორისო მექანიზმებისა და მათთან დაკავშირებული მხარდამჭერი რესურსების თავსებადობის გასაუმჯობესებლად, რათა გაამარტივონ კორპორაციული მდგრადობის ანგარიშგება და ხელი შეუწყონ რეალურ პროგრესს. კითხვარი ეფუძნება ანგარიშგების შესაბამის ჩარჩოებს და უნდა იქცეს სასარგებლო მოსამზადებელ ინსტრუმენტად კომპანიებისთვის, რომლებიც ექვემდებარებიან უფრო მკაცრი ანგარიშგების ვალდებულებებს.

გთავაზობთ, შეისწავლოთ რესურსები, რომლებიც დაგეხმარებათ მდგრადობის ანგარიშგების უფრო და უფრო კომპლექსურ და მნიშვნელოვან სამყაროში სანავიგაციოდ.

- გაეროს გლობალური შეთანხმების პროგრესის შესახებ კომუნიკაცია - ევროკავშირის მდგრადობის ანგარიშგების სტანდარტების (ESRS) ანალიზის (mapping) ინსტრუმენტი (გამოქვეყნება მზადდება) ასახავს ევროპული სტანდარტებისა და CoP-ის კითხვარის შესაბამისობას, რაც მონაწილეებს საშუალებას აძლევს, ანგარიშებს შორის ადვილად გაიზიარონ პასუხები და შეისწავლონ შესაბამისი ტერმინოლოგია და თემები.

- ზემოქმედების მართვის პლატფორმის (IMP) სისტემური რუკა ქმნის საწარმოების, ინვესტორებისა და ფინანსური ინსტიტუტებისთვის ხელმისაწვდომი საერთაშორისო და საჯარო რესურსების მაღალი დონის ვიზუალიზაციას, რათა მართონ ზემოქმედება თავიანთ მდგრადობაზე და გააცნობიერონ ასეთი რესურსების ურთიერთკავშირი.

- ანგარიშგების გლობალური ინიციატივის (GRI) თაფლაკვერისა და მათრახის ინსტრუმენტი წარმოადგენს ონლაინ მონაცემთა ბაზას და დოკუმენტების საცავს იმ სავალდებულო და ნებაყოფლობითი საჯარო პოლიტიკის შესახებ, რომელიც აყალიბებს ბიზნესის მდგრადობასა და გარემოსდაცვით, სოციალურ და მმართველობით (ESG) ზემოქმედებას, რაც ბიზნესს შეუძლია გამოიყენოს რეგიონული ანგარიშგების მოთხოვნების გასაგებად.

- GRI-ESRS თავსებადობის ინდექსი (დასრულდება 2024 წლის დასაწყისში) ადგენს, თუ როგორ უკავშირდება GRI-ის გამჟღავნების მოთხოვნები ESRS მონაცემებს, რაც ხაზს უსვამს მიღწეული მსგავსების მაღალ ხარისხს.

სწრაფი წინსვლა

2030 წლისთვის მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად, გაეროს გლობალურმა შეთანხმებამ წამოიწყო ინიციატივა Forward Faster (სწრაფი წინსვლა) - ამბიციური და მდგრადი კორპორაციული მოქმედების გლობალური პლატფორმა. Forward Faster-ის ინიციატივის ფარგლებში, კომპანიები ადგენენ მიზნებს რომელიმე მიმართულებით შემდეგი ხუთიდან: გენდერული თანასწორობა, კლიმატის ცვლილების საწინააღმდეგო ქმედებები, საცხოვრებელი ხელფასი, წყლის მდგრადობა და ფინანსები და ინვესტიციები.

Forward Faster-ის ინიციატივა მიზნად ისახავს ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის ზრდას და მოუწოდებს კომპანიებს, საჯაროდ განაცხადონ თავიანთი ვალდებულებების შესახებ და ხაზი გაუსვან ქმედებებს, რომლებსაც განახორციელებენ ამ მიზნების მისაღწევად.

2025 წლიდან, კომუნიკაციის შესახებ პროგრესის გარდა, მონაწილე კომპანიები ციფრული პლატფორმის გამოყენებით წლიურ ანგარიშს წარუდგენენ გაეროს გლობალურ შეთანხმებას, რომელშიც პასუხს გასცემენ სამოქმედო სახელმძღვანელოებში (Action Guides) მოცემულ კითხვებს.

Forward Faster-ის ინიციატივაში ჩართულ კომპანიებს, რომლებიც იღებენ ვალდებულებას კლიმატის სამიზნე 1-ზე, მოეთხოვებათ ანგარიშის წარდგენა მეცნიერებაზე დაფუძნებული მიზნების ინიციატივის (SBTi) ფარგლებში.

წყლის მანდატის აღმასრულებელი დირექტორის ინიციატივა (CEO Water Mandate)

წყლის მანდატის აღმასრულებელი დირექტორის ინიციატივა არის 2007 წელს გაეროს გენერალური მდივნისა და გაეროს გლობალური შეთანხმების (UNGC) წყნარი ოკეანის ინსტიტუტთან ერთად დაწყებული საგანგებო ინიციატივა, რათა ხელი შეუწყოს მსოფლიოში წყლის კორპორატიულ მართვას. მანდატი ქმნის კომპანიების მძლავრ ფორუმს წყლის დეფიციტის, ხარისხის, მენეჯმენტის, სანიტარიისა და წვდომის მწვავე გამოწვევებთან დაკავშირებული მოწინავე გამოცდილების გასაზიარებლად და თანამშრომლობის დასამყარებლად.

წყლის მანდატის აღმასრულებელი დირექტორის ინიციატივის მხარდამჭერ კომპანიებს, მოეთხოვებათ წყლის შესახებ დამატებითი ინფორმაციის წარდგენა.

კითხვარის სტრუქტურა

პროგრესის შესახებ კომუნიკაცია შეიქმნა გაეროს გლობალური შეთანხმების მონაწილეების მიერ თანმიმდევრული და სანდო კორპორაციული მდგრადობის ანგარიშგებაზე გაზრდილი მოთხოვნის საპასუხოდ. ფორმატი შეიცვალა და ჩამოყალიბდა კითხვარი, რათა მიღებული იქნას რაოდენობრივი და შედარებადი მონაცემები, რაც საშუალებას მისცემს კომპანიებს მარტივად განსაზღვრონ დროთა განმავლობაში მიღწეული პროგრესი, და შეადარონ მონაცემები სხვა კომპანიების მიღწევებს. თითოეული კითხვა შესაბამისობაში ანგარიშგების გლობალურ ჩარჩოებთან, როგორიც არის კორპორაციული მდგრადობის ანგარიშგების დირექტივა (CSRD),გლობალური ანგარიშგების ინიციატივა (GRI), ნახშირბადის გაფრქვევების გამჟღავნების პროექტი (CDP), და მოხსენების და ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (ISAR), რათა მოხდეს აქტიური გაზიარება უკვე გადატვირთული ანგარიშგების მასშტაბის მიღმა. დამატებით, კითხვები შესაბამისობაში გაეროს ბიზნესის და ადამიანის უფლებების სახელმძღვანელო პრინციპებთან (UNGPs).

კითხვარი დაყოფილია ხუთ ნაწილად. პირველი ნაწილი, მმართველობა მიმოიხილავს კომპანიის მართვის სტრუქტურის მდგრადობას. დარჩენილი ოთხი ნაწილი შეეხება შემდეგ საკითხებს- ადამიანის უფლებები, შრომა, გარემოს დაცვა და კორუფციასთან ბრძოლა- კომპანიების მიერ გაეროს გლობალური შეთანხმების ათი პრინციპის კუთხით შესრულებული სამუშაოს დეტალების გამოკითხვა.

კითხვარის თითოეულ ნაწილში, კითხვები დაჯგუფებულია სხვადასხვა კატეგორიებად, და როგორც წესი შეეხება შემდეგს:

- პროცესები და პოლიტიკები, რომლებიც ასახავს კომპანიის *ძალისხმევას* მდგრადობის თემების წინსვლისკენ, რაც თავის მხრივ დაკავშირებულია ათ პრინციპთან;
- აღნიშნული საკითხებით გამოწვეული უარყოფითი სოციალური და გარემოზე ზემოქმედების *პრევენციის* მიზნით გადადგმული ნაბიჯები;
- *შესრულების* ინდიკატორები;
- და, *რეაგირების, აღდგენის და ანგარიშგების* მექანიზმები, რომლებიც გამოიყენება რეაგირების და მიღებული გამოცდილების ასახვისთვის.

დამატებით ნიუანსებს მოიცავს ორი ნაწილი- ადამიანის უფლებები და გარემო. ადამიანის უფლებების ნაწილი საშუალებას აძლევს კომპანიებს აირჩიო სასურველი თემა. მომდევნო კითხვები შეეხება ადამიანის უფლებების მხოლოდ იმ თემებს, რომლებიც ბიზნესმა აირჩია. ანალოგიურად, გარემოს ნაწილი მოიცავს დამატებით სექტორისთვის დამახასიათებელ კითხვებს (როგორიც არის წყალი, და ბიომრავალფეროვნება), რომლებზეც პასუხი უნდა გასცენ მხოლოდ იმ მონაწილე კომპანიებმა, რომლებიც მიიჩნევენ, რომ ეს თემები მნიშვნელოვანია. ზოგიერთ შემთხვევაში, კომპანიას შეიძლება დასჭირდეს ისეთ კითხვაზე პასუხი, რომელიც არ არის არსებითი. ასეთ დროს კომპანიას შეუძლია აირჩიოს პასუხი „არ შეესაბამება“. ასეთ შემთხვევაში საჭიროა დამატებითი ინფორმაციის მოწოდება და არჩევანის დასაბუთება.

კითხვები შეიძლება დავყოთ ხუთ კატეგორიად: **არსებითი, ვალდებულება, პრევენცია, შესრულება ან აღდგენა და ანგარიშგება.** ცხრილში 1 მოცემულია კითხვარის სტრუქტურის მიმოხილვა, და კითხვების კატეგორიები.

ცხრილი 1. კითხვარის სტრუქტურის მიმოხილვა

	არსებითობა	ძალისხმევა	პრევენცია	შესრულება	აღდგენა და ანგარიშგება
მმართველობა	N/A	G1-G5	G6-G8	G10, G11	G9, G12, G13
ადამიანის უფლებები	HR1	HR2- HR3	HR4-HR6	N/A	HR7-HR8
შრომა	HR1	L1- L1.2	L2-L5	L6-L10	L11-L12
გარემო	E11	E1- E1.1	E2-E5	E6-E10, E11-E19 (აირჩიეთ სექტორები)	E20
კორუფციასთან ბრძოლა		AC1- AC2	AC3-AC4	AC5	AC6-AC8

შენიშვნა: G= მმართველობა; HR= ადამიანის უფლებები; L= შრომა; E=გარემო; AC=კორუფციასთან ბრძოლა. თითოეულ ველში მოცემული ტექსტი მიუთითებს კითხვარის კონკრეტულ კითხვაზე. მაგალითად, მმართველობის ნაწილის პირველი კითხვა აღნიშნულია G1-ით.

- კითხვარის თითოეული კითხვა მნიშვნელოვანია. კითხვები შეეხება მმართველობას, ადამიანის უფლებებს, შრომას, გარემოს, და კორუფციასთან ბრძოლის საკითხებს, რომლებიც უკავშირდება მონაწილე კომპანიებს მათი ზომის, სექტორის ან გეოგრაფიის მიუხედავად;
- ყველა კომპანიას შეუძლია პასუხი გასცეს ყველა კითხვას. მთლიანობაში კითხვები არ არის კომპლექსური, და ამ კითხვებზე პასუხისთვის საჭირო მონაცემები უკვე ხელმისაწვდომი იქნება გლობალური მდგრადობის ანგარიშგების სტანდარტებით მოსარგებლე კომპანიების და/ან მდგრადობის ანგარიშების მომზადებაში ჩართული კომპანიებისთვის;
- საზომები არის ობიექტური, და დამატებით განმარტებას არ მოითხოვს. კომპანიებს შეუძლიათ შეადარონ წარმოდგენილი პასუხებს კონკრეტულ საზომებს;
- კითხვების თემები ასახავს განხორციელებად მდგრად პრაქტიკებს, რომლებიც კომპანიებმა უნდა გაითვალისწინონ სამუშაოს შესრულების გაუმჯობესებისთვის;
- კითხვები მოიცავს სტანდარტულ არჩევანს, და მკაფიოდ განსაზღვრავს საზომებს, რომლებიც ქმნიან შედარებით მონაცემებს. მონაწილეებს საშუალება ეძლევათ ეს მონაცემები გამოიყენონ სხვა კომპანიების წარმატებასთან შედარებისთვის.

კითხვების უმრავლესობა ჩამოყალიბებულია როგორც რამდენიმე არჩევანის მქონე მატრიცა, თუმცა კითხვარში ასევე შეხვდებით კითხვებს, რომლებიც წარმოდგენილია რაოდენობრივ და თხრობით ფორმატში. მატრიცის ტიპის კითხვებში მარცხენა მხარეს წარმოდგენილია დაბალი შესრულების პასუხები, ხოლო მარჯვენა მხარეს შესრულების მაჩვენებელი იზრდება. ასეთი სტრუქტურა საშუალებას აძლევს მონაწილეებს ვიზუალურად აღიქვან შესრულების ხარისხი და დაფიქრდნენ სამომავლო გაუმჯობესებაზე. კითხვების სტრუქტურა ასევე ეხმარება კომპანიებს გაითვალისწინო და შეადარონ განსხვავებები.

ყველა კითხვას აქვს ველი „გთხოვთ წარმოადგინოთ დამატებითი ინფორმაცია“. აქ მონაწილეებმა უნდა იმსჯელონ არჩეული კითხვის კონტექსტში. კითხვების უმრავლესობისთვის ეს ველი არის არჩევითი. თუ კითხვა კომპანიის ზომის, სამუშაო სფეროს ან კონკრეტული მახასიათებლების გათვალისწინებით არ შეესაბამება მონაწილეს, მაშინ შესაძლებელია „არ შეესაბამება“ პასუხის არჩევა. თუ კომპანია აირჩევს პასუხს „არ შეესაბამება“, მაშინ სავალდებულო ხდება დასაბუთება.

ზოგიერთ შემთხვევაში, მონაწილეებს შეიძლება დაესვათ დამატებით კითხვები მათი სამუშაო სფეროს ან არჩეული პასუხის საფუძველზე. დამატებითი კითხვები საშუალებას მოგვცემს უკეთ აღვიქვათ ათი პრინციპის კუთხით დაფიქსირებული მიღწევები.

სახელმძღვანელო

წინამდებარე დოკუმენტში მოცემული თითოეული ნაწილი მოიცავს დეტალებს, რომლებიც ხელს უწყობს პროგრესზე კომუნიკაციის თითოეული კითხვის განმარტებას, და წარმოდგენილია ცხრილის სახით:

- პირველი სვეტი, **კითხვა**, მოიცავს ციფრს პროგრესის შესახებ კომუნიკაციის კითხვარის კითხვის თემას;
- მეორე სვეტი, **დასაბუთება და დაანგარიშების სახელმძღვანელო**, მოიცავს თითოეული კითხვის დეტალებს. ამ სვეტში განმარტებულია თუ რატომ დაისვა ესა თუ ის კითხვა, რატომ არის მნიშვნელოვანი დასმული კითხვა კორპორაციული მდგრადობის გაძლიერებისთვის, და/ან როგორ უნდა მოხდეს კითხვის ინტერპრეტირება. თუ კითხვა არის რაოდენობრივი, მაშინ სვეტში წარმოდგენილია მითითებები, თუ როგორ უნდა მოხდეს დაანგარიშება. გაეროს გლობალური შეთანხმება იყენებს ფართოდ აღიარებულ დასაბუთების და დაანგარიშების მეთოდოლოგიას, რომლებიც შექმნილია ანგარიშგების გარე ჩარჩოების და სტანდარტების გამოყენებით;
- მესამე სვეტში, **დაკავშირებული ანგარიშგების სტანდარტები**, მოცემულია ბმულები, რომლებზეც მიიღებთ ინფორმაციას მდგრადობის ანგარიშგების სტანდარტების შესახებ, ხელმისაწვდომობის შემთხვევაში. თუ კომპანიას უკვე აქვს გარკვეული სახის მდგრადობის სტანდარტი, მაშინ ხელმისაწვდომი ბმულები სასარგებლო იქნება იმ მონაცემების განსაზღვრისთვის, რომლებიც წარმოდგენილი უნდა იქნას პასუხში. ზოგიერთ შემთხვევაში, ბმულის სახით მოცემული სტანდარტი დამატებითი სახელმძღვანელოა კითხვაზე პასუხისთვის;
- თითოეული ცხრილის ბოლო ორი სვეტი, **შესაბამისობა გაეროს გლობალური შეთანხმების ათ პრინციპთან და შესაბამისობა მდგრადი განვითარების მიზნებთან**, აკავშირებს თითოეულ კითხვას გაეროს გლობალური შეთანხმების და მდგარდი განვითარების შესაბამის მიზანთან და პრინციპთან (პრინციპებთან). დამატებით, სახელმძღვანელოს ბოლოში მოცემულია ინდექსი, რომელიც საშუალებას მოგცემთ დამატები შეადაროთ ერთმანეთს პროგრესზე კომუნიკაციის კითხვები და მდგრადი განვითარების მიზნები.

დამატებითი დახმარების მიზნით, მომხმარებლებს შეუძლიათ ძირითადი ტერმინების განმარტებები მოიძიონ განმარტებების ნუსხაში, რომელიც მოცემულია წინამდებარე დოკუმენტის ბოლოში.

პროგრესის შესახებ კომუნიკაციისთვის

ციფრული პლატფორმის კითხვები

ციფრული პლატფორმის საშუალებით პროგრესზე კომუნიკაციის კითხვარის შევსებისას მონაწილეებს ეძლევათ ორი კითხვა: R2, პროგრესზე კომუნიკაციის კითხვარის საანგარიშო პერიოდთან დაკავშირებით და R3, პროგრესზე კომუნიკაციის საქმიანობის სფეროებთან დაკავშირებით. ამ შემთხვევაში R3 არჩევითია, R2 კი უნდა დადასტურდეს კითხვარის შევსებამდე.

კითხვა	დასაბუთება და დაანგარიშების სახელმძღვანელო	დაკავშირებული ანგარიშგების სტანდარტები	შესაბამისობა გაეროს გლობალური შეთანხმების ათ პრინციპთან	შესაბამისობა მდგრადი განვითარების მიზნებთან
R2: ანგარიშგების პერიოდი	კომპანიებმა პროგრესზე კომუნიკაციის კითხვარი უნდა შეავსონ მონაცემთა შეგროვების უახლესი დახურული პროცესის მონაცემების გამოყენებით. იდეალურ შემთხვევაში, მონაცემები უნდა მოიცავდეს თორმეტთვიან პერიოდს, რომელიც დასრულდა პროგრესზე კომუნიკაციის წარმოდგენამდე 12-თვიან პერიოდში (მაგ., 2024 წლის პროგრესზე კომუნიკაციის კითხვარისთვის კომპანიას შეუძლია გამოიყენოს მონაცემები, რომელიც მოიცავს პერიოდს 2022 წლის ივლისიდან 2023 წლის ივნისამდე; 2023 წლის იანვრიდან 2023 წლის დეკემბრამდე; ან 2023 წლის აპრილიდან 2024 წლის მარტამდე). კომპანიებს მოეთხოვებათ, ციფრული პლატფორმის დასაწყისშივე მიუთითონ პროგრესზე კომუნიკაციის კითხვარის მონაცემების პერიოდი და ამავე პერიოდების ასახვა გააგრძელონ წლიდან წლამდე, რათა დროთა განმავლობაში მონაცემები უფრო მარტივად იყოს ერთმანეთთან შესადარებელი. თუ კითხვით გათვალისწინებული პერიოდის შესახებ მონაცემები ხელმისაწვდომი არ არის, მაშინ კომპანიებმა თითოეული კითხვის ბოლოს უნდა განმარტონ თუ როდის მოხდა მონაცემების შეგროვება.			
(არჩევითი) R3: ანგარიშგების ფარგლები	არჩევითი (არასავალდებულო) კითხვა კომპანიებს სთხოვს, განმარტონ მათი CoP-ის ანგარიშგების ფარგლები. მიუხედავად იმისა, რომ ანგარიშვალდებული კომპანიების გადასაწყვეტია, რამდენად დაწვრილებით მიაწვდიან ინფორმაციას პროგრესის შესახებ კომუნიკაციის თაობაზე, კომპანიები უნდა ცდილობდნენ, რომ პროგრესის შესახებ მათი კომუნიკაცია შეძლებისდაგვარად ზუსტად ასახავდეს მათ საქმიანობასა და ზემოქმედებას. კომპანიების ჯგუფის ან მშობელი კომპანიის დონეზე განხორციელებული პროგრესის შესახებ კომუნიკაციის შემთხვევაში, მომხსენებელ კომპანიას შეუძლია აირჩიოს, გააერთიანოს თუ არა მისი შვილობილი კომპანიების ინფორმაცია, ან გააკეთოს ეს მხოლოდ გარკვეული საკითხების და/ან მხოლოდ ზოგიერთი შვილობილი კომპანიის შემთხვევაში, ან ეს საერთოდ არ გააკეთოს. იმის გათვალისწინებით, რომ სტანდარტიზებულ კითხვარში ინფორმაციის გაერთიანებას ყოველი კითხვისთვის ყოველთვის არ აქვს აზრი, ან რომ ზოგიერთ კომპანიას შეიძლება არ ჰქონდეს კონსოლიდირებული მონაცემები ყველა კითხვასთან დაკავშირებით, მშობელ კომპანიას შეუძლია, აირჩიოს საკუთარი მიდგომა და გამოიყენოს ეს კითხვა და/ან კონკრეტული კითხვების ბოლოს დამატებითი ინფორმაციისთვის მოცემული გრაფა, რათა გამოხატოს თავისი დამოკიდებულება ისე, როგორც მიაჩნია მიზანშეწონილად. ანალოგიურად, ფინანსურ ინსტიტუტებს შეიძლება სურდეთ თავიანთი CoP-ების სფეროსა და, ასეთის არსებობის შემთხვევაში, CoP-ის პასუხებში შესული ოპერაციებისა ან ინვესტიციების დაზუსტება. კონსულტანტებს არ მოეთხოვებათ გააჟღერონ კლიენტებისთვის მიცემული რჩევები, თუმცა ამ კითხვაზე დამატებითი ინფორმაციის მიწოდება შეიძლება მათთვისაც მნიშვნელოვანი იყოს.	GRI 2-2 სტანდარტი		

კითხვარის ნაწილი 1: მმართველობა

მმართველობა შეეხება არსებულ სისტემებს და პროცესებს, რომლებიც ხელს უწყობს ორგანიზაციის ეფექტური სტრატეგიის ჩამოყალიბებას და ოპერირებას. კარგი მმართველობა მოიცავს სამართლებრივ შესაბამისობას და ხელს უწყობს ანგარიშვალდებულებას, ინტეგრაციას, ინკლუზიურობას, და გამჭვირვალობას- ყოველივე ჩამოთვლილი კი აუცილებელია ნებისმიერი ჩამოყალიბებული ორგანიზაციული მიდგომის მდგრადობისთვის. მმართველობის მნიშვნელოვანების გათვალისწინებით, ამ ნაწილში მოცემული კითხვები იყოფა ოთხ ქვე-ნაწილად: ადამიანის უფლებები, შრომა, გარემო და კორუფციასთან ბრძოლა.

კითხვა	დასაბუთება და დაანგარიშების სახელმძღვანელო	დაკავშირებული ანგარიშგების სტანდარტები	შესაბამისობა გაეროს გლობალური შეთანხმების ათ პრინციპთან	შესაბამისობა მდგრადი განვითარების მიზნებთან
G1: საბჭო/უფროსი ხელმძღვანელობის ჩართულობა	დაინტერესებულ მხარეებს, მათ შორის ინვესტორებს, მთავრობებს, სამოქალაქო საზოგადოებას, და მდგრადობის გასაჯაროების სხვა მომხმარებლებს სურვილი აქვთ გაიგონ თუ რა როლს თამაშობს საბჭო მდგრადობასთან დაკავშირებული საკითხების ზედამხედველობის პროცესში, ასევე თუ რა როლს ასრულებს მენეჯმენტი ამ საკითხების შეფასების და მართვის კუთხით. აღნიშნული ინფორმაცია ხელს უწყობს იმის შეფასებას შესაბამის ყურადღებას უთმობს თუ არა საბჭო და მენეჯმენტი მდგრადობასთან დაკავშირებულ საკითხებს. წყარო: TCFD რეკომენდაციები ადაპტირებულია მდგრადობის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ISSB), საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების სტადარტების (IFRS) S1 მდგრადი განვითარების შესახებ ფინანსური ინფორმაციის გამჟღავნების საერთო მოთხოვნებიდან დამატებით, ანგარიშვალდებულების კუთხით ასევე მნიშვნელოვანია საბჭომ/უმაღლესმა მმართველმა ორგანომ დაამტკიცოს/დაადასტუროს მდგრადობის მიზნები და დააკვირდეს/მიმართოს/ზედამხედველობა გაუწიოს ESG ანგარიშგების პრაქტიკებს. ყოველწლიური ანგარიში საჯაროდ არის ხელმისაწვდომი ანგარიშის, ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციის, ან დაინტერესებულ მხარეებთან ყოველწლიური კომუნიკაციის სახით. გენერალური დირექტორის პროგრესზე კომუნიკაციის სავალდებულო განცხადება არ ითვლება ამ მოთხოვნის ნაწილად. ანგარიშვალდებულების გასაზრდელად მნიშვნელოვანია, რომ საბჭომ/მმართველობის უმაღლესმა ორგანომ დაამტკიცოს/ხელი მოაწეროს მდგრადობის მიზნებს და დააკვირდეს/მართოს/მეთვალყურეობა გაუწიოს ESG-ის ანგარიშგების პრაქტიკას. წლიური ანგარიშგება შესაძლებელია მრავალი განსხვავებული ფორმით, როგორიცაა ანგარიში, ვებგვერდი ან წლიური კომუნიკაცია. ის ხშირად შედის კომპანიის ყოველწლიურ ინტეგრირებულ ანგარიშში ან მდგრადობაზე ორიენტირებულ საჯაროდ ხელმისაწვდომ რაიმე ცალკეულ პუბლიკაციაში, რომელიც ხელმოწერილია კომპანიის აღმასრულებლების მიერ და შეიცავს ინფორმაციას კომპანიის მდგრადობის მიზნებისა და პროგრესის შესახებ. კომპანიამ ასევე შეიძლება წარმოადგინოს მოკლე წლიური განცხადება, რომელიც ემყარება ხელმისაწვდომ, განახლებულ პოლიტიკას ისეთ თემებზე, როგორიცაა კორუფცია, გარემო, ადამიანის უფლებები და ა.შ.	GRI გასაჯაროება 2-12, 2-14, 2-22 (2021)	პრინციპი 1 პრინციპი 7	5.5, 8.1, 8.3, 8.5, 8.7, 8.8, 16.1, 16.2, 16.3, 16.4, 16.5, 16.6, 16.7

კითხვა	დასაბუთება და დაანგარიშების სახელმძღვანელო	დაკავშირებული ანგარიშგების სტანდარტები	შესაბამისობა გაეროს გლობალური შეთანხმების ათ პრინციპთან	შესაბამისობა მდგრადი განვითარების მიზნებთან
G2: საჯაროდ გაცხადებული ვალდებულება	„მნიშვნელოვანი ცვლილება კომპანიის ხელმძღვანელობიდან იწყება. კომპანიის აღმასრულებლის საჯაროდ გაცხადებული ვალდებულება, რომელსაც მხარს უჭერს დირექტორთა საბჭო, აუცილებელია გაეროს გლობალურ შეთანხმებაში მონაწილეობისთვის. ხელმძღვანელობა ორგანიზაციაში უნდა გაავრცელოს მნიშვნელოვანი გზავნილი, რომ მდგრადობა აუცილებელია და ყველა პასუხისმგებლობა მნიშვნელოვანი.“ წყარო: გაეროს გლობალური შეთანხმება, კორპორაციული მდგრადობის სახელმძღვანელო ვალდებულება ამ შემთხვევაში ნიშნავს კომპანიის მიერ საჯაროდ გაკეთებულ განცხადებას მის პასუხისმგებლობებზე, ვალდებულებებზე ან მოლოდინებზე, რომლებიც ხელს უწყობს რისკების და შესაძლებლობების იდენტიფიცირებას და მართვას; სასარგებლო მომსახურებების, პროდუქტების და ინვესტიციების წახალისებას; უარყოფითი ზემოქმედების შერბილებას; და/ან პრობლემებზე რეაგირების პროცესის დამკვიდრებით შემთხვევებზე რეაგირების ჩამოყალიბებას. მართალია, მონაწილე კომპანიების საჯაროდ გაცხადებული ვალდებულებები საუკეთესო შემთხვევაში უნდა შეეხებოდეს გაეროს გლობალური შეთანხმების ათ პრინციპს, განცხადება უნდა გავრცელდეს არხებით, როგორიც არის კომპანიის ვებგვერდი, სხვა მდგრადობასთან დაკავშირებული ანგარიშები, ან კომპანიის ხელმძღვანელობის ინტერვიუები, სხვა სიტყვებით იმ არხების გამოყენებით, რომლებიც სცდება პროგრესის შესახებ კომუნიკაციას. კომპანიებმა უნდა აირჩიონ „არა, მაგრამ ვგეგმავთ მომდევნო ორი წლის განმავლობაში“ პასუხი, თუ საკითხი პრობლემურ სფეროს შეეხება და მასზე რეაგირება სასურველია ახლო მომავალში. თუ კომპანია საჯაროდ განაცხადა იმ ვალდებულების შესახებ, რომელიც სცდება მხოლოდ კომპანიის ოპერაციებს და ღირებულებათა ჯაჭვს, მაშინ მონაწილემ უნდა აირჩიოს „დიახ, ყურადღებას ვამახვილეთ ჩვენს ოპერაციებსა და ღირებულებათა ჯაჭვზე“. აღსანიშნავია, რომ ეს არჩევანი არ არის ყოვლისმომცველი, და ორგანიზაციებს არ სჭირდებათ ყველა ბიზნეს ურთიერთობის ღირებულებათა ჯაჭვზე რეაგირება ამ პასუხის არჩევისთვის (მაგალითად, თუ მონაწილე მოიცავს მომწოდებლების 20%-ს და ზოგიერთ მოხმარებელს, მაშინ მას შეუძლია ამ პასუხის არჩევა). სასურველია, დამატებითი ინფორმაციისთვის განკუთვნილ ველში კომპანიებმა მოკლედ განმარტონ ღირებულებათა ჯაჭვის კონკრეტულად რომელ ბიზნეს ურთიერთობებზე ხდება რეაგირება. თუ კომპანიას აქვს საჯაროდ გაცხადებული ვალდებულება, მაშინ აუცილებელია ბმულის, ან სხვა დამატებითი დოკუმენტაციის მითითება, და თუ არა საჭიროა დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენა.	GRI გასაჯაროება 2-23 (2021)	პრინციპი 1 პრინციპი 7 პრინციპი 10	8.1, 8.3, 8.5, 8.7, 8.8, 16.1, 16.2, 16.3, 16.4, 16.5, 16.6, 16.7
G3: ქცევის კოდექსი	ქცევის კოდექსი ეთიკური ქცევის მაღალი სტანდარტების დაცვის ვალდებულებაა, და შეიძლება არსებობდეს ერთი ან მეტი დოკუმენტი, რომელიც ასახავს კომპანიის ფასეულობებს, და მისწრაფებას (მისწრაფებებს), მიმართავს მენეჯერების და დასაქმებულების ეთიკურ ქცევას. ქცევის კოდექსი განსაზღვრავს პრინციპებს, რომლებიც არეგულირებს ინდივიდუალურ ქცევას, და ადგენს მინიმალურ სტანდარტებს „კანონთან შესაბამისობისთვის“, მაგალითად, შესაძლო ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევების პრევენცია და გასაჯაროება, გარე აქტივობები, და შემთხვევები დაფიქსირება. „კეთილსინდისიერების ძალისხმევის“ დემონსტრირება, რათა მოხდეს უკანონო ქმედებების პრევენცია, რაც შეამცირებს დარღვევისთვის გათვალისწინებულ სახელმწიფო ჯარიმებთან დაკავშირებულ ფინანსურ რისკებს. წყარო: NASDAQ, ESG ანგარიშგების სახელმძღვანელო 2.0 მდგრადობის თითოეული საკითხი, რომელიც ჩამოთვლილია კითხვაში G3 კონკრეტულად უნდა იყოს ასახული კომპანიის ქცევის კოდექსში. კომპანიებმა უნდა აირჩიონ „არა, მაგრამ ვგეგმავთ მომდევნო ორი წლის განმავლობაში“ პასუხი, თუ კომპანიის ქცევის კოდექსი ერთ ან რამდენიმე დასაქმებულს და მომწოდებელს, მაშინ მონაწილემ უნდა აირჩიოს „დიახ, ყურადღებას ვამახვილეთ ჩვენს ოპერაციებსა და ღირებულებათა ჯაჭვზე“. აღსანიშნავია, რომ ეს არჩევანი არ არის ყოვლისმომცველი, და ორგანიზაციებს არ სჭირდებათ ყველა ბიზნეს ურთიერთობის ღირებულებათა ჯაჭვზე რეაგირება ამ პასუხის არჩევისთვის.	NASDAQ G6.1 GRI გასაჯაროება 2-23 (2021)	პრინციპი 1 პრინციპი 7 პრინციპი 10	5.2, 5.5, 8.1, 8.3, 8.5, 8.7, 8.8, 16.1, 16.2, 16.3, 16.4, 16.5, 16.6, 16.7

კითხვა	დასაბუთება და დაანგარიშების სახელმძღვანელო	დაკავშირებული ანგარიშგების სტანდარტები	შესაბამისობა გაეროს გლობალური შეთანხმების ათ პრინციპთან	შესაბამისობა მდგრადი განვითარების მიზნებთან
G4: პასუხისმგებელი პირი ან ჯგუფი	თითოეულ საკითხზე პასუხისმგებელი პიროვნების ან ჯგუფის განსაზღვრით ბიზნეს საწარმო ქმნის ანგარიშვალდებულების მექანიზმს სოციალური და გარემოს დაცვის პოლიტიკების დანერგვისთვის; ინიციატივების განხორციელების და რისკების შეფასების და მართვისთვის; და უარყოფით ზემოქმედებაზე რეაგირებისთვის. დანიშნული პირების მაგალითი მოიცავს აღმასრულებელ დირექტორს, ადამიანის უფლებათა შესაბამისობის ოფიცერს, ინტეგრირების უფროს ოფიცერს, მდგრადობის უფროს ოფიცერს, შრომითი ურთიერთობების აღმასრულებელ მრჩეველს, და მექრთამეობასთან და კორუფციასთან ბრძოლის ოფიცერს.	GRI გასაჯაროება 2-23 (2021)	პრინციპი 1 პრინციპი 7 პრინციპი 10	5.2, 5.5, 8.1, 8.3, 8.5, 8.7, 8.8, 16.1, 16.2, 16.3, 16.4, 16.5, 16.6, 16.7
G5: ოფიციალური სტრუქტურა	ოფიციალური სტრუქტურები კომპანიისთვის წარმოადგენს ბერკეტს სოციალურ და გარემოს პრობლემებზე რეაგირებისთვის, რისთვისაც მათ აძლევენ კომუნიკაციის კარგად ჩამოყალიბებულ არხებს და პროცესებს მონაწილეობისთვის. იმის გათვალისწინებით, რომ „მცირე და საშუალო საწარმოებს შესაძლოა ჰქონდეთ ნაკლები შესაძლებლობები, ასევე მეტად არა-ფორმალური პროცესები და მართვის სტრუქტურები ვიდრე დიდ კომპანიებს, მათი ინდივიდუალური პოლიტიკები და პროცესები შეიძლება განსხვავებული ფორმის იყოს“. წყარო: გაეროს ბიზნესის და ადამიანის უფლებების სახელმძღვანელო პრინციპები ოფიციალური სტრუქტურების მაგალითები მოიცავს მენეჯმენტის მდგრადობის კომიტეტებს, საბჭოს დაინტერესებული მხარეების კომიტეტებს, და საბჭოს მდგრადობის კომიტეტებს. კომპანიაში შეიძლება იყოს ერთი ან მეტი სტრუქტურა. წყარო: საერთაშორისო ფინანსური კორპორაცია (IFC) ისეთი კომპანიებისთვის, როგორიც არის SME ან განვითარების ადრეულ ეტაპზე მყოფი კომპანიები, შესაძლოა მიზანშეწონილი იყოს, რომ საბჭოს ან უმაღლეს აღმასრულებელ პოზიციაზე მყოფ პირს ჰქონდეს მდგრადობის სტრატეგიაში ინტეგრირების და ბიზნეს გეგმის განხორციელების დროს გამოყენების პირდაპირი პასუხისმგებლობა. კომპანიებმა, რომლებსაც არ შეუძლიათ ფორმალური სტრუქტურების დანერგვა უნდა აირჩიონ „ოფიციალური სტრუქტურა არ არის“ და წარმოადგინონ დამატებითი ინფორმაცია სპეციალურად გამოყოფილ ველში.	GRI გასაჯაროება 2-9, 2-13 (2021)	პრინციპი 1 პრინციპი 7 პრინციპი 10	5.2, 5.5, 8.1, 8.3, 8.5, 8.7, 8.8, 16.1, 16.2, 16.3, 16.4, 16.5, 16.6, 16.7
G6: რისკის შეფასების პროცესები	„იმის გათვალისწინებით, რომ ბიზნესის პლანეტაზე ზემოქმედება იზრდება, და კორპორაციულ ვალდებულებასთან დაკავშირებული მოლოდინები ვრცელდება ღირებულებათა ჯაჭვზე, იზრდება ბიზნეს რისკებიც, რომლებიც უკავშირდება ბიზნესის მიერ [სოციალურ და] გარემოს ზემოქმედებასთან დაკავშირებული რისკების აღქმის და მათზე რეაგირების წარუმატებლობას. წყარო: WEF საერთო საზომები პროგრესის შესახებ კომუნიკაციაში „რისკის შეფასება“ ორიენტირებულია იმაზე, თუ რა ზეგავლენას ახდენს მდგრადობის საკითხები კომპანიაზე, და მოიცავს ისეთ ბიზნეს რისკებს, როგორიც არის ფინანსური რისკები, ოპერაციული რისკები, გადასვლის რისკების, გარემოს დაცვის რისკები, სტრატეგიული რისკები და სხვა. ეს განსხვავდება ვალდებულებების შესრულების პროცესისგან, რომელიც რეაგირებს ადამიანებსა და გარემოზე პოტენციურ და რეალურ უარყოფით ზემოქმედებაზე. ამ კითხვის მიზანი არის იმის გამორკვევა თუ რა პროცესები არსებობს ბიზნესის სოციალური, გარემოს და კორუფციული რისკების იდენტიფიცირებისთვის, და მისი საბოლოო მიზანი არის ხელი კომპანიების უკეთესი ფუნქციონირების ხელშეწყობა. თუ კომპანიას აქვს პროცესი, ან პროცესები, რომელიც აფასებს ამავე კომპანიის ოპერაციების და მომწოდებლების მიღმა არსებულ რისკს, მაშინ მან უნდა აირჩიოს „არა, მაგრამ ვგეგმავთ მომდევნო ორი წლის განმავლობაში“ პასუხი. აღსანიშნავია, რომ ეს არჩევანი არ არის ყოვლისმომცველი, და ორგანიზაციებს არ სჭირდებათ ყველა ბიზნეს ურთიერთობის ღირებულებათა ჯაჭვზე რეაგირება ამ პასუხის არჩევისთვის. სასურველია, კომპანიებმა წარმოადგინონ დამატებითი ინფორმაცია სპეციალურად გამოყოფილ ველში.	GRI გასაჯაროება 205-1 (2016)	პრინციპი 1 პრინციპი 7 პრინციპი 10	5.2, 5.5, 8.1, 8.3, 8.5, 8.7, 8.8, 16.1, 16.2, 16.3, 16.4, 16.5, 16.6, 16.7

კითხვა	დასაბუთება და დაანგარიშების სახელმძღვანელო	დაკავშირებული ანგარიშგების სტანდარტები	შესაბამისობა გაეროს გლობალური შეთანხმების ათ პრინციპთან	შესაბამისობა მდგრადი განვითარების მიზნებთან
G6.1: რისკის შეფასების დეტალები	ეს კითხვა მიზნად ისახავს შემდგომი გამჭვირვალობის უზრუნველყოფას იმ საქმიანი ურთიერთობების მონიტორინგისთვის, რომლებმაც შეიძლება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი რისკი შეუქმნან კომპანიის მიერ ათი პრინციპის შესრულების წინსვლას. ზოგიერთი ურთიერთობა, როგორიც არის მომწოდებლები, რომლებიც მუშაობენ ისეთ სფეროებში(გეოგრაფია, მრეწველობა და ა.შ.), რომლებიც ცნობილია როგორც ან უკავშირდება ადამიანის უფლებების რისკებს ან გარემოზე ზემოქმედებას, შეიძლება საჭიროებდეს განსაკუთრებულ ყურადღებას მძიმე ზემოქმედების მინიმუმამდე დაყვანის მიზნით. მართალია, ამ საკითხებზე რეაგირება სირთულით გამოირჩევა, მაგრამ ეს არის შესაძლებლობა ღირებულებათა ჯაჭვის ოპერაციების გაუმჯობესებისთვის.		პრინციპი 1 პრინციპი 7 პრინციპი 10	5.2, 5.5, 8.1, 8.3, 8.5, 8.7, 8.8, 16.1, 16.2, 16.3, 16.4, 16.5, 16.6, 16.7
G7: წინასწარი შეფასება	„წინასწარი შეფასების მიზანი უპირველესყოვლისა არის ადამიანებზე, გარემოზე, და საზოგადოებაზე მძიმე ზემოქმედების გამოწვევის ან ასეთი ზემოქმედების განხორციელების ხელშეწყობის თავიდან არიდება, და ოპერაციებთან, პროდუქტებთან ან ბიზნესებთან დაკავშირებული პირდაპირი უარყოფითი ზემოქმედების პრევენცია. როდესაც უარყოფითი ზეგავლენის თავიდან არიდება შეუძლებელია, წინასწარმა შეფასებამ საწარმოს უნდა მისცეს შესაძლებლობა შეარბილოს აღნიშნული ზემოქმედება, მოახდინოს განმეორების პრევენცია, და შესაძლებლობის შემთხვევაში უზრუნველყოს გამოსწორება.“ „უარყოფითი ზეგავლენის ეფექტურმა პრევენციამ, და შერბილებამ შესაძლოა ხელი შეუწყოს საწარმოს საზოგადოებისთვის დადებითი კონტრიბუციის გაზრდაში, გაუმჯობესოს ურთიერთობა დაინტერესებულ მხარეებთან, და დაიცვას საწარმოს რეპუტაცია. წინასწარი შეფასება ეხმარება საწარმოებს შექმნან მეტი ღირებულება ხარჯების შემცირების შესაძლებლობების იდენტიფიცირების გზით; გაუმჯობესონ ბაზრების და მომარაგების სტრატეგიული წყაროების შესახებ ცოდნა; გაძლიერონ კომპანიის შესაბამისი ბიზნესის და ოპერაციული რისკების მართვა; შემცირონ შემთხვევების ალბათობა; და შემცირონ სისტემური რისკების ზემოქმედება. საწარმომ წინასწარი შეიძლება ჩაატაროს იმ სამართლებრივი მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით, რომლებიც შეეხება კონკრეტულ საკითხებს, როგორიც არის ადგილობრივი შრომის, გარემოს, კორპორაციული მართვის, სისხლის სამართლის ან მექრთამეობასთან ბრძოლის კანონები.“ წყარო: OECD წინასწარი შეფასების სახელმძღვანელო პასუხისმგებლიანი ბიზნეს ქცევისთვის „წინასწარი შეფასების პროცესი უნდა მოიცავდეს ადამიანის უფლებებზე არსებულ და შესაძლო ზემოქმედების შეფასებას, მიგნებების ინტეგრირებას და მათზე რეაგირებას, რეაგირებაზე დაკვირვებას, და ზემოქმედებაზე რეაგირების შესახებ კომუნიკაციას. წინასწარი შეფასება: - უნდა მოიცავდეს ადამიანის უფლებებზე ზემოქმედებას, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს ბიზნეს აქტივობით, ან ხელი შეუწყოს ბიზნეს აქტივობამ, ან რომელიც შეიძლება უშუალოდ უკავშირდებოდეს ბიზნეს ურთიერთობების ოპერაციებს, პროდუქტებს ან მომსახურებებს; - განსხვავდება ბიზნეს საწარმოს კომპლექსურობის, ადამიანის უფლებებზე ზემოქმედების რისკების, ხასიათის და ოპერაციების კონტექსტის მიხედვით; - უნდა იყოს მიმდინარე, უნდა აღიარებდეს, რომ ადამიანის უფლებების რისკები შეიძლება შეიცვალოს დროთა განმავლობაში, ბიზნეს ოპერაციების და ოპერირებს კონტექსტის განვითარებასთან ერთად.“ წყარო: გაეროს ბიზნესის და ადამიანის უფლებების სახელმძღვანელო პრინციპები	GRI გასაჯაროება 2-12, 2-23-a-ii, 3-1, 3-3d (2021)	პრინციპი 1 პრინციპი 7 პრინციპი 10	5.2, 5.5, 8.1, 8.3, 8.5, 8.7, 8.8, 16.1, 16.2, 16.3, 16.4, 16.5, 16.6, 16.7
G7.1: წინასწარი შეფასების დეტალები	წინასწარი შეფასება რისკების შეფასების ნაწილია. ამგვარად, მიუხედავად იმისა, რომ რისკის შეფასების ზოგიერთი ასპექტი მოიცავს „წინასწარი შეფასების“ საყოველთაოდ მიღებულ ზოგიერთ პროცედურას, არსებობს რისკის შეფასების ისეთი ასპექტები, რომლებიც „წინასწარ შეფასებას“ სცილდება. მაგალითად, კორუფციული რისკის შეფასების შემთხვევაში, შეფასება ძირითადად ფოკუსირებულია კომპანიის პროცედურების დაუცველობაზე პოტენციური კორუფციული რისკებისგან (კორუფციის ერთ-ერთი პოტენციური წყაროა ბიზნესპარტნიორები, მაგრამ არსებობს მრავალი სხვაც), ხოლო წინასწარი შეფასება, უპირველეს ყოვლისა, ეხება საქმიანი ურთიერთობის შედეგად წარმოშობილ სამართლებრივ და რეპუტაციურ რისკებს. ამიტომ, მესამე მხარეებთან დაკავშირებული ძირითადი რისკები, რომლებიც არ განიხილება წინასწარი შეფასებისას, შეიძლება გამოვლინდეს უფრო ყოვლისმომცველი რისკების შეფასებისას. ეს კითხვა მიზნად ისახავს შემდგომი გამჭვირვალობის უზრუნველყოფას იმ საქმიანი ურთიერთობების	GRI გასაჯაროება 2-23-e, 3-1 (2021)	პრინციპი 1 პრინციპი 7 პრინციპი 10	5.2, 5.5, 8.1, 8.3, 8.5, 8.7, 8.8, 16.1, 16.2, 16.3, 16.4, 16.5, 16.6, 16.7

	მონიტორინგისთვის, რომლებმაც შეიძლება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი რისკი შეუქმნან კომპანიის მიერ ათი პრინციპის შესრულების წინსვლას. ზოგიერთი ურთიერთობა, როგორიც არის მომწოდებლები, რომლებიც მუშაობენ ისეთ სფეროებში, რომლებიც ცნობილია როგორც ან უკავშირდება ადამიანის უფლებების რისკებს ან გარემოზე ზემოქმედებას, შეიძლება საჭიროებდეს განსაკუთრებულ ყურადღებას მძიმე ზემოქმედების მინიმუმამდე დაყვანის მიზნით. მართალია, ამ საკითხებზე რეაგირება სირთულით გამოირჩევა, მაგრამ ეს არის შესაძლებლობა ღირებულებათა ჯაჭვის ოპერაციების გაუმჯობესებისთვის.			

კითხვა	დასაბუთება და დაანგარიშების სახელმძღვანელო	დაკავშირებული ანგარიშგების სტანდარტები	შესაბამისობა გაეროს გლობალური შეთანხმების ათ პრინციპთან	შესაბამისობა მდგრადი განვითარების მიზნებთან
G8: კომპანიის ქცევასთან დაკავშირებული საკითხების დაფიქსირება	„მხილების ეფექტური მექანიზმები არის კარგი მმართველობისა და ანტიკორუფციული სისტემების ძირითადი მახასიათებელი, ასევე ჯანსაღი კორპორაციული კულტურის ამსახველი. მათ შეუძლიათ დაეხმარონ კომპანიებს არაეთიკურ ან უკანონო ქმედებებთან დაკავშირებული რისკების შერბილებაში, რამაც უყურადღებობის შემთხვევაში, შეიძლება გამოიწვიოს მნიშვნელოვანი კორპორაციული წარუმატებლობა და ფინანსური დანაკარგები .... ამ საკითხების მოგვარება იწვევს საოპერაციო ეფექტურობის გაუმჯობესებას და, შესაბამისად, უფრო მაღალ შემოსავალს ინსტიტუციური ინვესტორებისთვის და მათი ბენეფიციარებისთვის; ამავდროულად, ხელს უწყობს საზოგადოებრივი სიკეთის დაცვას, როგორიცაა ინსტიტუტებისადმი ნდობა, ასევე მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევა“. წყარო: გაეროს პრინციპები პასუხისმგებლიანი ინვესტიციებისთვის (PRI)	ანგარიშგების სახელმძღვანელო კორუფციასთან ბრძოლის მე-10 პრინციპზე-B3: GRI გასაჯაროება 2-26 (2021)	პრინციპი 1 პრინციპი 7 პრინციპი 10	5.2, 5.5, 8.1, 8.3, 8.5, 8.7, 8.8, 16.1, 16.2, 16.3, 16.4, 16.5, 16.6, 16.7
G8.1: კომპანიის ქცევასთან დაკავშირებული საკითხების დაფიქსირების დეტალები	„აღნიშნული გზით ხდება არსებული მექანიზმების იდენტიფიცირება (როგორიც არის კორპორაციული ინფორმირების პოლიტიკის პროცედურები) ეთიკის საკითხების მიმართულებით გადადგმულ ნაბიჯებზე და პოტენციურ პრობლემებზე ინფორმაციის მიღების მიზნით. ასევე, განისაზღვრება ამ მექანიზმების მართვის გზები ან პრობლემის დაფიქსირების წახალისება. დაცული ეთიკის რჩევის და ანგარიშგების მექანიზმები მიუთითებს საბჭოს და მენეჯმენტის ავთენტურ ჩანაფიქრზე განმარტონ და ხელი შეუწყონ ეთიკურ და სამართლებრივ ქცევას, და მოახდინო არაეთიკური ან უკანონო ქმედებების პრევენცია. ეს საკითხი არჩეული იქნა მისი უნივერსალურობის გათვალისწინებით და გამომდინარე იქიდან, რომ შესაძლებელია ეთიკურ ქცევაზე საბჭოს ზედამხედველობის შედარება და შეფასება. თანამშრომლების და სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის კითხვის დასმის ან შესაძლო ან არსებული არაეთიკური ან უკანონო ქცევის დაფიქსირების მექანიზმის არ არსებობის პირობებში კომპანიებს არ მიეცემათ შესაძლებლობა მოახდინონ თანმდევი პრობლემების იდენტიფიცირება და შერბილება. კომპანიებს, რომლებიც დაინტერესებულ მხარეებს მოუწოდებენ აწარმოონ უკუკავშირი, სწრაფად შეუძლიათ რეაგირება გადაცდომაზე, იმსახურებენ დაინტერესებული მხარეების ნდობას, და იცავენ გრძელვადიან ფასეულობებს.“ წყარო: WEF საერთო საზომი „ყველა თანამშრომელი“ მიუთითებს კომპანიის მიერ წარმოებულ ოპერაციებში ჩართულ მუშაკებზე, დაწყებული ხაზის თანამშრომლებით, დასრულებული ზედა რგოლით. იმისთვის, რომ ყველა თანამშრომელი ინფორმირებული იყოს უკუკავშირის პროცედურებზე და შეეძლოს კომპანიის ქცევასთან დაკავშირებული საკითხების დაფიქსირება აუცილებელია, რომ ასეთი ინფორმაცია ხელმისაწვდომი იყოს ყველა იმ ენაზე, რომელიც საჭიროა დასაქმებულებისთვის. თუ აირჩევთ „სხვა“ აუცილებელია სპეციალურად გამოყოფილ ველში დამატებითი ინფორმაციის შეყვანა.	GRI გასაჯაროება 2-26 (2021) WEF საერთო საზომი	პრინციპი 1 პრინციპი 3 პრინციპი 7 პრინციპი 10	5.2, 5.5, 8.1, 8.3, 8.5, 8.7, 8.8, 16.1, 16.2, 16.3, 16.4, 16.5, 16.6, 16.7
G9: გაკვეთილები	„ბიზნეს საწარმოებმა განსაკუთრებული ძალისხმევა უნდა გამოიჩინონ იმ ზემოქმედებებზე რეაგირების ეფექტურობის დასადგენად, რომელიც შეიძლება შეეხებოდეს მოწყვლადობის ან მარგინალიზების მომატებული რისკის ქვეშ მყოფ პირებს ან ჯგუფებს. რეაგირების მონიტორინგი ინტეგრირებული უნდა იყოს შესაბამისი შიდა ანგარიშგების პროცესებში. ბიზნეს საწარმოებმა შეიძლება გამოიყენონ ის ხელსაწყოები, რომლებსაც ისინი უკვე იყენებენ სხვა საკითხებზე. აქ იგულისხმება როგორც ხელშეკრულებები, ასევე განხილვა, კვლევები და აუდიტი, გენდერულად დახარისხებული მონაცემების გამოყენება საჭიროების შესაბამისად. ოპერაციული დონს საჩივრების მექანიზმი შესაძლოა ბიზნესის ეფექტურობასთან დაკავშირებული უკუკავშირის მიღების შესაძლებლობად მოგვევლინოს.“ წყარო: წყარო: გაეროს ბიზნესის და ადამიანის უფლებების სახელმძღვანელო პრინციპები ბიზნესმა უნდა მოახდინოს მიღებული გამოცდილების დოკუმენტირება, რათა უკეთ აღიქვას კარგად ხდება თუ არა მდგრადობის და გარემოს პოლიტიკების დანერგვა, თუ რამდენად ეფექტურია კომპანიის მოქმედებები, სად არის გაუმჯობესების შესაძლებლობა, და რა უნდა გაკეთდეს უწყვეტი გაუმჯობესების მიღწევისთვის. ასეთი დოკუმენტაცია შეიძლება მოიცავდეს ხელშეკრულებებს, განხილვებს, გამოკითხვებს და სხვა შესაბამის მონაცემებს. მიღებული გამოცდილების გამოყენება ბიზნეს პრაქტიკისა და გადაწყვეტილების მიღების გასაუმჯობესებლად შეიძლება	GRI გასაჯაროება 3-3-e (2021)	პრინციპი 1 პრინციპი 7 პრინციპი 10	5.2, 5.5, 8.1, 8.3, 8.5, 8.7, 8.8, 16.1, 16.2, 16.3, 16.4, 16.5, 16.6, 16.7

	მნიშვნელოვანი იყოს, რათა თავიდან ავიცილოთ ან შევასუსტოთ როგორც შიდა, ასევე გარე უარყოფითი ზემოქმედება. ამ შემთხვევაში შიდა საკითხები შეიძლება ეხებოდეს კომპანიის მდგრადობის მართვის პროცესებს, მაგალითად, შიდა ზედამხედველობასა და კონტროლს, მონაცემთა შეგროვებასა და ა.შ. მიღებული გამოცდილების მეშვეობით გარე საკითხებზე ზემოქმედება გულისხმობს კომპანიის გავლენის ან შესაძლებლობების გამოყენებას კომპანიის საქმიანი ურთიერთობების შესაცვლელად. მაგალითად, გამოვლენილი ზემოქმედებების პასუხად, კომპანიამ შეიძლება მოსთხოვოს შესაბამის მომწოდებლებს, შეიმუშაონ ადამიანის უფლებების პოლიტიკა და დაეხმაროს ამ საკითხზე ტრენინგსა ან შესაძლებლობების განვითარებაში.			
კითხვა	**დასაბუთება და დაანგარიშების სახელმძღვანელო**	**დაკავშირებული ანგარიშგების სტანდარტები**	**შესაბამისობა გაეროს გლობალური შეთანხმების ათ პრინციპთან**	**შესაბამისობა მდგრადი განვითარების მიზნებთან**
G10: მდგრადობასთან დაკავშირებული აღმასრულებლის ანაზღაურება	„აღმასრულებელი ხელმძღვანელობის ანაზღაურების მდგრადობასთან დაკავშირებას შეუძლია: ა) შესაბამისობაში მოიყვანოს კომპანიის საზოგადოებრივი მოლოდინები, რომლებიც პირდაპირ არ უკავშირდება წილის ფასს; ბ) [გააფართოვოს] დაინტერესებული მხარეების ინტერესები ფინანსური ღირებულების მიღმა, და გ) [გადაიტანოს კომპანიის ყურადღება] მიზანზე- თუ როგორ მოუტანოს სარგებელი საზოგადოებას. მდგრადობასთან დაკავშირებული მოქმედება შეიძლება შესაბამისობაში მოვიყვანოთ ამ მიდგომასთან, და აღმასრულებელი ხელმძღვანელობის ანაზღაურების შესაბამისობაში მოყვანა ამ მიდგომის ლოგიკური ნაბიჯი იქნება.“ წყარო: ჰარვარდის სამართლის სკოლა- აღმასრულებლის ანაზღაურება და ESG საქმიანობა „საბჭოს წევრების და ზემდგომი ხელმძღვანელობისთვის მიწოდებულ ინიციატივებს, მათ ჩამოყალიბებას, მნიშვნელოვანი ზეგავლენა შეიძლება ჰქონდეს გრძელვადიანი ფასეულობების განმტკიცებაზე. მნიშვნელოვანია, რომ აქ აუცილებელია კომპანიის მიერ იმის დაფიქსირება თუ როგორ უკავშირდება ანაზღაურება ორგანიზაციის ეკონომიკურ, გარემოს და სოციალურ მიზნებს. თუ ანაზღაურება არ პასუხობს გრძელვადიან მიზნებს, მათ შორის კომერციული და სოციალური ფასეულობის ჩამოყალიბების მიზნებს, მაშინ საფრთხე შეიძლება შეექმნას მმართველი ორგანოების მიერ ეფექტური ზედამხედველობის უნარს. ეს ნაწილი არის საბჭოს ხარისხის მნიშვნელოვანი ინდიკატორი, გვაძლევს ინფორმაციას ანაზღაურების სხვადასხვა მექანიზმებზე, და თუ როგორ ხდება ამ მექანიზმების გამოყენება. იმის გაზიარება თუ როგორ შეესაბამება მმართველი ორგანოების ინიციატივები გრძელვადიან ფასეულობებს სასარგებლო ინდიკატორია ორგანიზაციის მიერ ამ ფასეულობების მიღწევის შესაძლებლობის განსაზღვრისთვის. ამ ეტაპზე, ვლინდება მნიშვნელოვანი ინფორმაცია გარე დაინტერესებული მხარეებისთვის, რომლებიც აფასებენ მმართველობის სხვადასხვა ასპექტების, გამჭვირვალობის და ნდობის შესაბამისობას.“ წყარო: WEF საერთო საზომი აღმასრულებელი ხელმძღვანელობის ანაზღაურებაში იგულისხმება ხელფასი, პრემია, და ზემდგომი ხელმძღვანელობისთვის გათვალისწინებული სხვა კომპენსაცია. ამ თემასთან დაკავშირებით საჯარო განცხადების არსებობა აუცილებელი არ არის, თუმცა საჭიროა კითხვაზე პასუხის დაფიქსირება.	CDP W6.4 (2022); CDP F4.3a (2022); CDP C1.3a (2022); Nasdaq G3 2335; GRI გასაჯაროება 2-19 (2021); WEF საერთო საზომი	პრინციპი 1 პრინციპი 7 პრინციპი 10	
G11: საბჭოს შემადგენლობა	ზოგიერთ კომპანიაში უმაღლესი მმართველი ორგანოს/უმაღლესი დონის აღმასრულებლების/გენერალური დირექტორის ხელფასი ეფუძნება კომპანიის მუშაობის საერთო შედეგს მდგრადობის საკითხების ჩათვლით, კერძოდ, ადამიანის უფლებების, შრომის უფლებების, გარემოს დაცვისა და/ან ანტიკორუფციულ სფეროებს, სურვილის შემთხვევაში, გთხოვთ, აირჩიოთ „დიახ“ შესაბამისი თემისთვის და მიუთითოთ დამატებითი დეტალები არასავალდებულო ტექსტურ ველში. თუ თქვენი მდგრადობის ფოკუსის სფერო არ მოიცავს არც ერთ ზემოხსენებულ თემას, გთხოვთ, მონიშნოთ შესაბამისად „არა“ ან „არა, მაგრამ ჩვენ ამას ვგეგმავთ მომდევნო ორი წლის განმავლობაში“. „ამ ინდიკატორის გაანგარიშებისთვის საჭირო ინფორმაცია როგორც წესი ხელმისაწვდომია ადამიანური რესურსების სამსახურში, საინფორმაციო სისტემებში (თანამშრომლების პირადი საქმეები და ეროვნულ ან საიტის დონეზე ხელმისაწვდომი ინფორმაცია ანაზღაურებაზე), რომლებიც როგორც წესი იმართება ადამიანური რესურსების ფუნქციის მიერ.“ წყარო:GRI გასაჯაროება 2-9 (2021), 405-1 (2016) ამ კითხვის ზოგიერთი განზომილება არ შეესაბამება ყველა კომპანიას. კომპანიებმა, მათ შორის მცირე და საშუალო საწარმოებმა, რომლებსაც არ ჰყავთ სამეთვალყურეო საბჭო, უნდა მონიშნონ „არ შეესაბამება“ და დამატებითი დეტალები მიუთითონ სპეციალურად განკუთვნილ ველში.	UNCTAD, ISAR D.1.2 (2019), UNCTAD, ISAR D.1.3 (2019); GRI გასაჯაროება 29 (2021),	პრინციპი 1 პრინციპი 6	5.5, 8.5, 8.7, 8.8, 16.7

G11: საბჭოს შემადგენლობა	ტერმინების განმარტება: „არა ბინარული“- ზოგიერთი ადამიანი არ განეკუთვნება არცერთ გენდერს. ადამიანები, რომელთა გენდერი არ არის ქალი ან კაცი ბევრ სხვა ტერმინს იყენებენ საკუთარი თავის აღწერისთვის, და არა ბინარული ერთერთი ყველაზე ფართოდ გავრცელებული ტერმინია. დამატებითი ინფორმაციისთვის გთხოვთ ეწვიოთ გაერთიანებული ერების ვებგვერდს, „კონცეფციები და განმარტებები“. „უმცირესობა ან მოწყვლადი ჯგუფები“- მართალია არ არსებობს საერთაშორისო განმარტება იმისა თუ კონკრეტულად ვინ არის უმცირესობა, ეს ტერმინი შეიძლება მოიცავდეს „ობიექტურ ფაქტორებს (როგორიც არის ეთნიკური, ენობრივი ან რელიგიური მახასიათებლები), და სუბიექტურ ფაქტორებს (მათ შორის, უნდა მოხდეს ეროვნული ან ეთნიკური, რელიგიური ან ლინგვისტური, უმცირესობის ჯგუფის წევრობის მიხედვით იდენტიფიცირება).“ ამ კითხვაზე პასუხისთვის გირჩევთ ამოიყენოთ ეროვნულ დონეზე აღიარებული განმარტებები. „აღმასრულებელი“ საბჭოს წევრები უნდა მართავდნენ და ხელმძღვანელობდნენ გუნდებს ან დეპარტამენტებს, დამატებით მუშაობდნენ დირექტორთა საბჭოზე. ისინი ანგარიშვალდებული არიან საბჭოს წინაშე. ეს პოზიცია განსხვავდება არა-აღმასრულებელი საბჭოს წევრისგან, რომელიც იღებს სტრატეგიულ გადაწყვეტილებებს და მიჰყავს ორგანიზაცია ბიზნეს მიზნების შესრულებისკენ. ეს დირექტორები არ არიან პასუხისმგებელი გუნდების ან დეპარტამენტების ყოველდღიურ მართვაზე, და არ ასრულებენ ყოველდღიურ ფუნქციების ბიზნესის ფარგლებში. აღმასრულებელი დირექტორები კი პირიქით და ორგანიზაციის უშუალო თანამშრომლებს წარმოადგენენ. „დამოუკიდებელი“ დირექტორი არის დირექტორთა საბჭოს წევრი, რომელსაც არ აქვს მატერიალური ან ფინანსური ურთიერთობა კომპანიასთან ან დაკავშირებულ პირებთან, და წევრობისთვის იღებს ანაზღაურებას.	405-1 (2016)		

კითხვა	დასაბუთება და დაანგარიშების სახელმძღვანელო	დაკავშირებული ანგარიშგების სტანდარტები	შესაბამისობა გაეროს გლობალური შეთანხმების ათ პრინციპთან	შესაბამისობა მდგრადი განვითარების მიზნებთან
G12: მდგრადობის ანგარიშგებას	„არსებული ბიზნეს მოდელი სწორად არ ასახავს კერძო აქტივობის ზემოქმედებას გარემოსა და საზოგადოებაზეა. კერძო სექტორთან დაკავშირებული ტრანსფორმაცია ვერ მიიღწევა თუ არ იქნება მეტი გამჭვირვალობა კომპანიების მიერ მდგრადი განვითარების მიზნებზე ზემოქმედების შესახებ.“ წყარო: UN/DESA- პოლიტიკის მიმოხილვა #99 ანგარიშგება მდგრადობის ანგარიშგების სტანდარტების მიხედვით ხელს უწყობს ხარისხის და გასაჯაროებული მონაცემების შედარებას, ზრდის გამჭვირვალობას და კორპორაციული მდგრადობის მიმართულებით მოქმედებას. თუ აირჩევთ „სხვა ნებაყოფლობითი ჩარჩოები“, მაშინ გთხოვთ დამატებითი ინფორმაცია მიუთითოთ სავალდებულო ველში.	Nasdaq G9.1	პრინციპი 1 პრინციპი 7 პრინციპი 10	8.1, 8.3, 8.5, 8.7, 8.8, 16.1, 16.2, 16.3, 16.4, 16.5, 16.6, 16.7
G13: ინფორმაციის დადასტურება	მესამე მხარის დადასტურება, მთლიანად ან ნაწილობრივ, გამოიყენება მოწოდებული მონაცემების სიზუსტის გასაუმჯობესებლად. ეს განსაკუთრებით შეეხება მეტად კომპლექსურ რაოდენობრივ მონაცემებს (როგორიც არის, სათბურის აირების ემისიები), და ასეთ შემთხვევაში მესამე მხარის დასტურმა შეიძლება მნიშვნელოვნად გაზარდოს მოწოდებული ინფორმაციის ხარისხი და ინტეგრირება. გარე დადასტურება უნდა განხორციელდეს კომპეტენტური მხარეების მიერ, რომლებსაც აქვთ შესაბამისი საექსპერტო ცოდნა და კვალიფიკაცია. მესამე მხარემ, რომელიც ახორციელებს დადასტურებას „უნდა იყოს დამოუკიდებელი და ორგანიზაციის მიერ დასახული მიზნების მიღწევის შესახებ მომზადებული დასკვნები უნდა იყოს მიუკერძოებელი“. მესამე მხარის მიერ დადასტურება შესაძლოა განახორციელონ აუდიტორულმა ფირმებმა, ადგილობრივმა კონსულტანტებმა, ან სხვა ლიცენზირებულმა პროვაიდერებმა AA1000 დასტურების სტანდარტის, ISAE 3000, ან სხვა სტანდარტების შესაბამისად, რომლებიც ჩამოთვლილია კითხვაში G12. წყარო: GRI გასაჯაროება 2-5, GRI საფუძველი 5.2	CDP C.10.1 (2022) GRI	პრინციპი 10	16.1, 16.6

	არსებობს დადასტურების რამდენიმე განსახვავებული დონე: სრული დადასტურება, გონივრული დადასტურება, შეზღუდული დადასტურება, და დადასტურების გარეშე. შეზღუდული დადასტურების შემთხვევაში, ძირითადი სამუშაო, რომელსაც აუდიტორები ასრულებენ მოიცავს ნაკლებ დეტალს, ეფუძნება საწყის გამოკითხვას და ანალიზს (მაგალითად, ფინანსური დოკუმენტაციის შესწავლა). გონივრული დადასტურება არის მაღალი ხარისხის დადასტურება. ის მიიღება მას შემდეგ, რაც აუდიტორი მოიპოვებს საკმარის მტკიცებულება რათა გაურკვევლობის დონე შემცირდეს მისაღებ მინიმალურ დონემდე. მართალია, არცერთი ტიპის დადასტურება არ არის სრულყოფილი, გონივრული დადასტურება უფრო დეტალურია და უნდა განაპირობებდეს რისკის მართვის უფრო მაღალ დონეს ვიდრე შეზღუდული დადასტურება. წყარო: ადაპტირებულია UNTERM-დან ეს კითხვა მიზნად ისახავს მონაცემების დადასტურების პროცესზე დამატებითი ინფორმაციის მიღებას და გამჭვირვალობას გაზრდას. არის შემთხვევები, როდესაც კომპანიას არ შეუძლია მის ხელთ არსებული ყველა მონაცემის დადასტურება. ყველა შესაბამისი ვერსიის არჩევა საშუალებას გვაძლევს გავიგოთ მეტი კომპანიაში დადასტურების მიმართულებით არსებული ძალისხმევის და რესურსების შესახებ. „სხვა“ არჩევის შემთხვევაში, გთხოვთ დამატებითი ინფორმაცია მიუთითოთ სავალდებულო ველში.	გასაჯაროება 2-5 (2021)		

კითხვარის ნაწილი 2: ადამიანის უფლებები

ადამიანის უფლებები არის უნივერსალური უფლებები, რომლებიც ხელმისაწვდომია „ადამიანთა ოჯახის ყველა წევრისათვის თანდაყოლილი ღირსებისა და თანასწორი და განუყოფელი უფლებების აღიარებისთვის“, ეს უფლებები „მსოფლიოში წარმოადგენს თავისუფლების, სამართლიანობის და საყოველთაო მშვიდობის საფუძველს“ და ასახულია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში (1948). გაეროს გლობალური შეთანხმების ათი პრინციპის პირველი ორი პრინციპი სწორედ ამ დეკლარაციიდან გამომდინარეობს, და გვეუბნება:

- პრინციპი 1: ბიზნესებმა ხელი უნდა შეუწყონ და პატივი სცენ საერთაშორისოდ აღიარებულ ადამიანთა უფლებების დაცვას; და
- პრინციპი 2: უნდა უზრუნველყონ, რომ არ ჩაერთონ ადამიანის უფლებების დარღვევაში.

აღნიშნული პრინციპების დაცვით, ბიზნესები გვიჩვენებენ, რომ მათ აქვთ ადამიანის უფლებების პატივისცემის მინიმალური პასუხისმგებლობა, და რეაგირებენ მათი ბიზნეს ოპერაციებით გამოწვეულ უარყოფით ზეგავლენაზე. გარდა უარყოფითი ზემოქმედების შერბილებისა, კომპანიები უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობენ ისეთი გარემოს ჩამოყალიბებაში, რომელიც ხელს უწყობს მრავალფეროვნებას და ინკლუზიურობას, მონიტორინგს და ადამიანის უფლებების დაცვას ღირებულებათა ჯაჭვში, მოწყვლადი და მარგინალიზებული ჯგუფების გათვალისწინებას, და ზოგადად საზოგადოებაში დადებითი ცვლილებების დანერგვას.

ადამიანის უფლებათა ნაწილში წარმოდგენილი კითხვები მიზნად ისახავს იმის გამორკვევას ადამიანის უფლებათა თუ რომელი საკითხი არის უფრო მნიშვნელოვანი თითოეული ორგანიზაციისთვის, ზემოქმედების შერბილების მიზნით რა პოლიტიკების და პროცესების დანერგვა ხდება, და რა ნაბიჯები იდგმება ორგანიზაციულ და საზოგადოებრივ დონეზე ადამიანის უფლებების პოპულარიზაციისთვის.

კითხვა	დასაბუთება და დაანგარიშების სახელმძღვანელო	დაკავშირებული ანგარიშგების სტანდარტები	შესაბამისობა გაეროს გლობალური შეთანხმების ათ პრინციპთან	შესაბამისობა მდგრადი განვითარების მიზნებთან
HR1: მატერიალური საკითხები	„მატერიალური საკითხები არის საკითხები, რომლებიც წარმოადგენს ორგანიზაციის ყველაზე მნიშვნელოვან ზემოქმედებას ეკონომიკაზე, გარემოსა და ადამიანებზე, მათ შორის ზემოქმედებას ადამიანის უფლებებზე.“ წყარო: GRI 3: მატერიალური საკითხები ადამიანის უფლებათა მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც განსაზღვრულია გაეროს ბიზნესის და ადამიანის უფლებების სახელმძღვანელო პრინციპებით, არსებითობის განხილვის დროს როგორც წესი ფასდება როგორც „განსაკუთრებული ზემოქმედება“. კომპანიისთვის მნივშენლოვანია ადამიანის უფლებების საკითხები, არის ის საკითხები, რომლებიც გამოირჩევა კომპანიის აქტივობების ან ბიზნეს ურთიერთობების ყველაზე მძიმე ზემოქმედების რისკის გამო. ამ ნაწილში კომპანიებს შეუძლიათ აირჩიონ ადამიანის უფლებების საკითხები, რომლებიც მნიშვნელოვანია მათი ბიზნესისთვის. იმ შემთხვევაში, თუ ადამიანის უფლებების შესაბამისი თემა არ არის ჩართული პასუხის ვარიანტად, რეკომენდირებულია, კომპანიებმა აირჩიონ იმდენი თემა ადამიანის უფლებების სფეროდან, რამდენზეც მოიპოვებენ მასალას, „სხვა“ ველის ჩათვლით. მატერიალური თემების განსაზღვრის ინსტრუქციისთვის, იხილეთ GRI-ის გამჟღავნება 3-2. და EFRAG დანერგვის სახელმძღვანელო - მატერიალურობის შეფასება. ეწვიეთ ბმულს: GRI გასაჯაროება 3-2 კითხვის ფარგლებში არჩეული ადამიანის უფლებების საკითხები, რომლებიც კომპანიის შეხედულებით არის არსებითი თუ აირჩევთ გამოვლინდება დამატებით შვიდი ქვე-კითხვა, რომელიც ხელს შეუწყობს ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული აქტივობების განსაზღვრას. შრომის უფლებების საკითხები (გაერთიანების თავისუფლება და კოლექტიური მოლაპარაკების უფლების ეფექტური აღიარება, ბავშვთა შრომა, იძულებითი შრომა, დასაქმების და შრომის კუთხით დისკრიმინაციაზე უარის თქმა, უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო) წარმოადგენს ადამიანის უფლებების დამატებით ნაწილს, და შესაბამისად გათვალისწინებულია ამ კითხვაში. კომპანიებმა შრომის უფლებების საკითხებთან დაკავშირებით უნდა წარმოადგინონ დამატებით დეტალები მომდევნო ნაწილში (L1 და სხვა ნაწილები), მიუხედავად იმისა თუ რა არჩევანს გააკეთებენ ამ ნაწილში.	GRI გასაჯაროება 3-2 (2021)	პრინციპი 1 პრინციპი 2	1.1, 1.2, 1.3, 1.4, 1.5, 1.a, 1.b, 2.1, 2.3, 2.5, 2.a., 2.c., 4.1, 4.4, 4.5, 4.7, 5.1, 5.2, 5.4, 5.6, 6.1, 6.2, 8.7, 8.8, 9.1, 10.2, 10.3, 10.7, 11.1, 16.1, 16.2, 16.3
HR2: პოლიტიკის ვალდებულებები	„პოლიტიკის ვალდებულება მიუთითებს კომპანიის ნებისმიერ ერთ ან რამდენიმე საჯაროდ ხელმისაწვდომ პასუხისმგებლობაზე, ვალდებულებაზე ან მოლოდინზე, რომელიც უკავშირდება მისი ოპერაციების და ბიზნეს ურთიერთობების ფარგლებში ადამიანის უფლებების დაცვას (...). ვალდებულებას შეიძლება ჰქონდეს ერთჯერადი, ერთი საჯარო პოლიტიკის ფორმა, რომელიც უკავშირდება ადამიანის უფლებებს, ან შესაძლოა გათვალისწინებული იქნას უფრო მასშტაბურ დოკუმენტში, როგორიც არის ეთიკის კოდექსი, ან ბიზნეს პრინციპები (...). პოლიტიკის ვალდებულების მიზანი არის განმარტოს თუ როგორ ესმის კომპანიას ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული პასუხისმგებლობები, და როგორ აისახება ის დასაქმებულების, ბიზნეს პარტნიორების, და ბიზნესების ან კომპანიის ოპერაციებთან, პროდუქტებთან ან მომსახურებებთან დაკავშირებულ მოლოდინებში.“ წყარო: UNGP ანგარიშგების ჩარჩო ორგანიზაცია უნდა აირჩიოს პასუხი „არა, და ჩვენ არ გვაქს პოლიტიკის მომზადებასთან დაკავშირებული გეგმები“, თუ საკითხი არსებითია კომპანიისთვის, მაგრამ პოლიტიკა ჯერ არ შემუშავებულა. კომპანიამ უნდა აირჩიოს „არა, მაგრამ ჩვენ ვგეგმავთ მომდევნო ორ წელიწადში“, თუ საკითხი დაფიქსირებულია როგორც პრობლემა, და იგეგმება მასზე რეაგირება ახლო მომავალში. აღნიშნული პასუხები არ მოითხოვს ორგანიზაციის მიერ პოლიტიკის შემუშავებას ან დანერგვას. თუ კომპანია აირჩევს პასუხს „დიახ, გათვალისწინებულია ფართო პოლიტიკის ან ცალკე აღებული პოლიტიკის ფარგლებში“ პასუხს, მაშინ კომპანიამ უნდა უპასუხოს HR2.1 წარმოდგენილ კითხვებს, და დეტალურად უნდა განმარტოს პოლიტიკა, და მიუთითოს პოლიტიკის ბოლო განახლების თარიღი. თუ კომპანიას აქვს პოლიტიკით გათვალისწინებული	GRI Disclosures 2-23-a-iv, 2-23-b, 3-3-c (2021)	პრინციპი 1 პრინციპი 2	1.1, 1.2, 1.3, 1.4, 1.5, 1.a, 1.b, 2.1, 2.3, 2.5, 2.a., 2.c., 4.1, 4.4, 4.5, 4.7, 5.1, 5.2, 5.4, 5.6, 6.1, 6.2, 8.7, 8.8, 9.1, 10.2, 10.3, 10.7, 11.1, 16.1,

	ვალდებულება, აუცილებელია ბმულის ან შესაბამისი დოკუმენტის მითითება, და თუ არა, მაშინ აუცილებელია დამატებითი დასაბუთება.			16.2, 16.3
კითხვა	**დასაბუთება და დაანგარიშების სახელმძღვანელო**	**დაკავშირებული ანგარიშგების სტანდარტები**	**შესაბამისობა გაეროს გლობალური შეთანხმების ათ პრინციპთან**	**შესაბამისობა მდგრადი განვითარების მიზნებთან**
HR2.1: პოლიტიკის დეტალები	„ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული ვალდებულებების დამკვირდების მიზნით, ბიზნეს საწარმოებმა პოლიტიკაში შესაბამისი დებულებით უნდა დაადასტურონ საკუთარი პასუხისმგებლობა, რომ: (ა) პასუხისმგებლობა დადასტურებულია ბიზნეს საწარმოს უმაღლეს დონეზე; (ბ) ეცნობა შესაბამის შიდა და/ან გარე ექსპერტებს; (გ) ასახავს საწარმოს მიერ ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ თანამშრომლების, ბიზნეს პარტნიორების და კომპანიის ოპერაციებთან, პროდუქტებთან ან მომსახურებებთან დაკავშირებული სხვა მხარეების მოლოდინებს; (დ) საჯაროდ არის ხელმისაწვდომი და მიწოდებულია პერსონალის, ბიზნეს პარტნიორების და სხვა შესაბამისი მხარეებისთვის; (ე) ასახულია ოპერაციულ პოლიტიკებში და პროცედურები, რომლებიც აუცილებელია ბიზნესის ოპერირებისთვის.“ წყარო: [გაეროს ბიზნესის და ადამიანის უფლებების სახელმძღვანელო პრინციპები] ადამიანის უფლებათა ზოგიერთი საერთაშორისო სტანდარტი მოიცავს გაეროს ბიზნესის და ადამიანის უფლებების სახელმძღვანელო პრინციპებს, OECD მრავალეროვნული საწარმოების სახელმძღვანელოს, და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის MNE დეკლარაციას. კითხვა მიზნად ისახავს ორგანიზაციის ადამიანის უფლებების პოლიტიკების სტრუქტურის და გამჭვირვალობის დეტალურად შესწავლას.	[GRI გასაჯაროება 3-1-b, 3-3-f, (2021)]	პრინციპი 1 პრინციპი 2	1.1, 1.2, 1.3, 1.4, 1.5, 1.a, 1.b, 2.1, 2.3, 2.5, 2.a., 2.c., 4.1, 4.4, 4.5, 4.7, 5.1, 5.2, 5.4, 5.6, 6.1, 6.2, 8.7, 8.8, 9.1, 10.2, 10.3, 10.7, 11.1, 16.1, 16.2, 16.3
HR3: დაინტერესებული მხარეების ჩართულობაა	ორგანიზაციებმა უნდა გააცნობიერონ თუ რა კონკრეტულ ზეგავლენას ახდენენ კონკრეტულ ადამიანებზე, ოპერაციების ასპექტების გათვალისწინებით. როგორც წესი ეს მოიცავს შესაძლებლობის შემთხვევაში ადამიანის უფლებების კონტექსტის შეფასებას შემოთავაზებული ბიზნეს აქტივობის განხორციელებამდე; სავარუდო ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირების იდენტიფიცირება; შესაბამისი სტანდარტების და საკითხების გათვალისწინება; და იმის პროგნოზირება თუ რა ზეგავლენა შეიძლება იქონიოს ბიზნეს ურთიერთობებმა და შემოთავაზებულმა აქტივობებმა ადამიანის უფლებებზე. ამ პროცესში, ბიზნეს საწარმომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმოს ისეთ ადამიანებზე ან ჯგუფებზე ზემოქმედებას, რომლებიც მოწყვლადობის ან მარგინალიზების მაღალი რისკის ჯგუფს განეკუთვნებიან. ასევე, ბიზნესმა უნდა გაითვალისწინოს განსხვავებული რისკები, რომლებიც ქალებს და მამაკაცებს შეიძლება შეექმნათ. დაინტერესებული მხარეების ჯგუფებთან ჩართულობა შეიძლება განხორციელდეს შესაბამის ჯგუფებთან უშუალო მუშაობით- დასაქმებულები, დაქირავებული მუშახელი, მომარაგების ქსელის თანამშრომლები, ზემოქმედების ქვეშ მოქცეული თემები, და მომხმარებლები- ან მათ ოფიციალურ წარმომადგენელთან კომუნიკაციის გზით, როგორიც არის პროფესიული კავშირები, თემის ლიდერები, ან სხვა. ზემოქმედების ქვეშ მოქცეულმა დაინტერესებულმა მხარეებმა შეიძლება ჩართონ შიდა (მაგალითად, თანამშრომლები და დაქირავებული თანამშრომლები), ასევე გარე დაინტერესებული მხარეები (როგორიც არიან მომარაგების ჯაჭვის თანამშრომლები, თემები, მომხმარებლები და პროდუქტის საბოლოო მომხმარებლები). გთხოვთ იხილოთ „ზემოქმედების ქვეშ მოქცეული დაინტერესებული მხარეები“-ს განმარტება 59-ე გვერდზე ხელმისაწვდომ სიაში. აქვე წარმოდგენილია ზემოქმედების ქვეშ მოქცეული დაინტერესებული მხარეების და მათი წარმომადგენლების კონცეფციები და დამატებითი განმარტებები. ორგანიზაციამ ასევე შეიძლება აირჩიოს პასუხი „ამ საკითხზე ჩართულობა არ არის“, თუ საკითხი არ არის არსებითი ბიზნესისთვის და შესაბამისი განმარტება წარმოადგინოს განკუთვნილ ველში.	[GRI გასაჯაროება 2-23c, 2-23-d, 2-23-e (2021)]	პრინციპი 1 პრინციპი 2	1.1, 1.2, 1.3, 1.4, 1.5, 1.a, 1.b, 2.1, 2.3, 2.5, 2.a., 2.c., 4.1, 4.4, 4.5, 4.7, 5.1, 5.2, 5.4, 5.6, 6.1, 6.2, 8.7, 8.8, 9.1, 10.2, 10.3, 10.7, 11.1, 16.1, 16.2, 16.3

კითხვა	დასაბუთება და დაანგარიშების სახელმძღვანელო	დაკავშირებული ანგარიშგების სტანდარტები	შესაბამისობა გაეროს გლობალური შეთანხმების ათ პრინციპთან	შესაბამისობა მდგრადი განვითარების მიზნებთან
HR4: პრევენცია/ შერბილება	„მას შემდეგ, რაც კომპანია შეიმუშავებს პოლიტიკას და ჩაატარებს შესაბამისი რისკის და ზემოქმედების შეფასებას, მან უნდა „გადადგას შესაბამისი ნაბიჯები ზემოქმედების შეწყვეტის ან პრევენციისთვის.“ თუ ბიზნეს საწარმოს აქვს ბერკეტები უარყოფითი ზემოქმედების პრევენციის ან შერბილებისთვის, მაშინ მან ეს ბერკეტები უნდა გამოიყენოს.. და თუ საწარმოს აკლია ბერკეტები, შეიძლება არსებობდეს მათი გაძლიერების გზები. ბერკეტი შეიძლება გაძლიერდეს, მაგალითად, დაკავშირებული ორგანიზაციისთვის შესაძლებლობების განვითარების ან სხვა წახალისების შეთავაზებით, ან სხვა აქტორებთან თანამშრომლობით.“ წყარო: გაეროს ბიზნესის და ადამიანის უფლებების სახელმძღვანელო პრინციპები აქ, „შესაბამის ურთიერთობებში შესაძლებლობების განვითარება“ მიუთითებს დაინტერესებულ მხარეებთან მუშაობაზე, რათა მოხდეს ზემოქმედების პრევენცია ან შერბილება, და შეიძლება მოიცავდეს ახან ან გაძლიერებულ კომუნიკაციის არხებს კომპანიის ამოცანის ან პოლიტიკების დაკავშირებისთვის, სწავლებებს შესაბამის პრაქტიკებზე, ან პროცედურებზე, ან ანგარიშგების მექანიზმების შემუშავებას, რომლებიც აუმჯობესებს ღირებულებათა ჯაჭვის გამჭვირვალობას. „ჩატარდა აუდიტის პროცესი“ შეიძლება განიმარტოს, როგორც საწარმოო ადგილის ვერიფიკაციის აქტივობა, როგორიც არის პროცესის ან ხარისხის სისტემის ინსპექტირება ან შემოწმება, რაც უზრუნველყოფს შესაბამის მოთხოვნებთან შესაბამისობას. აღნიშნული როგორც წესი ხორციელდება დამოუკიდებელი მხარის მიერ. ”კოლექტიური მოქმედება სხვა კომპანიებთან ან დაინტერესებულ მხარეებთან ერთად საკითხზე რეაგირებისთვის“ შეიძლება მოიცავდეს თანამშრომლობას სექტორის მასშტაბით ისეთი პროდუქტების და მომსახურებების განვითარებისთვის, რომლებიც ამცირებს რისკებს და ადამიანების უფლებებზე ზემოქმედებას. „თანამშრომლობა სამთავრობო ან მარეგულირებელ ორგანოებთან“ შეიძლება მოიცავდეს პოლიტიკის პირდაპირ ზეგავლენას, როგორიც არის: ჩვენების მიცემა, ჩანაწერები, ან კომიტეტებში მონაწილეობა, სახელმწიფო-კერძო საწარმოები, და/ან ეროვნული ან საერთაშორისო პროფესიული ფორუმები, ტექნოლოგიები, და ა.შ. ამ კითხვაში, ორგანიზაციას შეუძლია აირჩიოს ისეთი პასუხი, რომელიც ასახავს არსებული შესაძლებლობების განვითარების და სამოქმედო გეგმებს. ორგანიზაციებს შეუძლიათ აირჩიონ პასუხი „სხვა“, რათა გასცენ კითხვას მათზე მორგებული პასუხი და წარმოადგინონ დამატებითი ინფორმაცია.	GRI გასაჯაროება 3-3-d, (2021)	პრინციპი 1 პრინციპი 2	1.1, 1.2, 1.3, 1.4, 1.5, 1.a, 1.b, 2.1, 2.3, 2.5, 2.a., 2.c., 4.1, 4.4, 4.5, 4.7, 5.1, 5.2, 5.4, 5.6, 6.1, 6.2, 8.7, 8.8, 9.1, 10.2, 10.3, 10.7, 11.1, 16.1, 16.2, 16.3
HR5: სწავლება	„ამ კითხვით ირკვევა თუ როგორ იყენებს კომპანია პოლიტიკას პასუხისმგებლიანი ბიზნეს მოქმედებისთვის, მათ შორის ადამიანის უფლებებთან მიმართებით, განხორციელებული აქტივობების და ბიზნეს ურთიერთობების პირობებში. ეს უზრუნველყოფს, რომ ადამიანები ყველა დონეზე მოიქცნენ პასუხისმგებლობით, და ადამიანის უფლებების გათვალისწინებითა და პატივისცემით.“ წყარო: GRI გასაჯაროება 2-24 მოცემული კითხვისთვის, „სწავლება“ მიუთითებს: - ყველა სახის პროფესიულ სწავლებაზე და ინსტრუქციებზე; - ანაზღაურებად სასწავლო აქტივობებზე, რომლებიც ორგანიზებულია საწარმოს მიერ მისი თანამშრომლებისთვის; - სწავლება ან განათლება გარე დაწესებულებაში, რომლის ღირებულებასაც მთლიანად ან ნაწილობრივ ანაზღაურებს ორგანიზაცია; - სწავლება კონკრეტულ თემებზე წყარო: GRI გასაჯაროება 404-1 სწავლება უნდა იყოს ცოდნის სისტემატური და დადასტურებადი გადაცემა. კურსებში ჩართვა ხდება პერიოდულად, სხვადასხვა დონეზე, და ხშირად გაიცემა „დასწრების/მონაწილეობის სერტიფიკატი“. ზოგჯერ ასეთ კურსებში მონაწილეობა აუცილებელია მაღალი თანამდებობისთვის. ინფორმაციის გაზიარება და სხვა სახის კომუნიკაცია სწავლების მისაღები ფორმაა, თუ ასეთი ქმედება არ ხდება პერიოდულობით, და შესაძლებელია მიღებული შედეგების მეტნაკლებად გაზომვა.			

	ორგანიზაციებს შეუძლიათ აირჩიონ პასუხი „სხვა“ რათა წარმოადგინონ მათზე მორგებული პასუხი და დამატებითი ინფორმაცია.			
კითხვა	**დასაბუთება და დაანგარიშების სახელმძღვანელო**	**დაკავშირებული ანგარიშგების სტანდარტები**	**შესაბამისობა გაეროს გლობალური შეთანხმების ათ პრინციპთან**	**შესაბამისობა მდგრადი განვითარების მიზნებთან**
HR6: პრევენციის/შერბილების პროგრესის შეფასება	„განხორციელებული მოქმედებების ეფექტურობის მონიტორინგი აუცილებელია, რათა ორგანიზაციამ გაიგოს ოპტიმალურად ხდება თუ არა პოლიტიკების და პროცესების დანერგვა. ასევე, მნიშვნელოვანია რათა ორგანიზაციამ იცოდეს ეფექტურად მოხდა თუ არა ზემოქმედებაზე რეაგირება, და უწყვეტად განხორციელდეს გაუმჯობესება.“ წყარო: GRI გასაჯაროება 3-3-e, (2021) ადამიანის უფლებებზე ზემოქმედების შერბილების მიზნით ბიზნესის მიერ გადადგმული ნაბიჯების პროგრესის მონიტორინგის დროს, კომპანიები ხშირად იყენებენ შესრულებული სამუშაოს ინდიკატორებს, რომლებიც ორიენტირებულია ქვემოთ მოცემული მონაცემების მარტივად მოგროვებაზე: - ძალისხმევა (როგორიც არის რესურსების და ფინანსების გამოყოფა); - პროგრამული აქტივობები (როგორიც არის ადამიანის უფლებების თემაზე ჩატარებული სწავლების რაოდენობა, შეფასება და აუდიტი); ან - საბაზისო შედეგები (მაგალითად, შეუსაბამობების აუდიტი). ჩამოთვლილ ინდიკატორებთან ერთად, ბიზნესმა ყურადღება უნდა გაამახვილოს მათ მიერ ადამიანის უფლებებზე უარყოფითი ზეგავლენის აღმოფხვრის მიზნით გადადგმული ნაბიჯებით მიღწეული დადებითი შედეგები მონიტორინგზე (მაგალითად, ადამიანების რაოდენობა, რომელთაც უნაზღაურდებათ საცხოვრებლის ღირებულება, რაც გამოიწვია შესყიდვების პოლიტიკებში სასარგებლო ცვლილებების შეტანამ, ან მომწოდებელთან ხელშეკრულების გაფორმებამ). გარე პროგრამები, მიუთითებს მიზნებზე, რომლებიც ოფიციალურად არის გაწერილი მეთოდოლოგიებით ან სახელმძღვანელოებით, და შეეხება რამდენიმე დაინტერესებული მხარის ჩართულობით მომზადებულ ინიციატივებს, ან სხვა სამიზნეებს, რომლებიც განისაზღვრა ან დადგინდა მესამე მხარის მიერ (მაგალითად, გაერო, მთავრობა, არასამთავრობო ორგანიზაციები, ბიზნეს ასოციაციები). შიდა პროგრამები მიუთითებს კომპანიის მიერ გამოცხადებულ მიზნებზე, რომლებიც ოფიციალურად არ უკავშირდება გარე ინიციატივებს. ორგანიზაციებს შეუძლიათ აირჩიონ პასუხი „სხვა“ რათა წარმოადგინონ მათზე მორგებული პასუხი და დამატებითი ინფორმაცია.	GRI გასაჯაროება 3-3-e, (2021)	პრინციპი 1 პრინციპი 2	1.1, 1.2, 1.3, 1.4, 1.5, 1.a, 1.b, 2.1, 2.3, 2.5, 2.a., 2.c., 4.1, 4.4, 4.5, 4.7, 5.1, 5.2, 5.4, 5.6, 6.1, 6.2, 8.7, 8.8, 9.1, 10.2, 10.3, 10.7, 11.1, 16.1, 16.2, 16.3
HR7: გამოსწორება	„საუკეთესო პოლიტიკების და პრაქტიკების არსებობის პირობებში კი, ბიზნეს საწარმოს შეუძლა გამოიწვიოს, ან ხელი შეუწყოს გარემოზე ან საზოგადოებაზე უარყოფით ზემოქმედებას, რომელიც მან ვერ გათვალა ან ვერ მოახერხა პრევენცია.“ „როდესაც სახეზე გვავს უარყოფითი ზემოქმედება, რომელიც არ გამოუწვევია კონკრეტულ ბიზნესს, მაგრამ პირდაპირ უკავშირდება ამ ბიზნესის ოპერაციებს, პროდუქტებს ან მომსახურებებს, მაშინ ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული პასუხისმგებლობა არ მოითხოვს თავად საწარმოს მიერ გამოსწორების ზომების მიღებას, თუმცა, გულისხმობს საწარმოს მონაწილეობასაც. ზოგიერთ სიტუაციაში, როდესაც შემთხვევას თან ახლავს დანაშაული, აუცილებელია სამართლებრივი მექანიზმების გამოყენება.“ „მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ ადამიანის უფლებების დაცვის პასუხისმგებლობა განსხვავდება სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხისგან, რომელიც მეტწილად იმართება ეროვნული კანონებით. სამართლებრივი ვალდებულების არ არსებობის პირობებში კი, კომპანიებმა UNDGP წესების თანახმად ხელი უნდა შეუწყონ ან ითანამშრომლონ ადამიანის უფლებების პატივისცემის კუთხით.“ „გამოსწორების მზიანი არის ადამიანის უფლებებისთვის მიყენებული ზიანის გამოსწორება. მიზანი უნდა	GRI გასაჯაროება 3-3-ii, (2021)	პრინციპი 1 პრინციპი 2	1.1, 1.2, 1.3, 1.4, 1.5, 1.a, 1.b, 2.1, 2.3, 2.5, 2.a., 2.c., 4.1, 4.4, 4.5, 4.7, 5.1, 5.2, 5.4, 5.6, 6.1, 6.2, 8.7, 8.8, 9.1, 10.2, 10.3, 10.7, 11.1, 16.1, 16.2, 16.3

	გულისხმობდეს ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ადამიანების და თემების ისეთ მდგომარეობაში დაბრუნებას, რომელშიც ისინი იყვნენ ზიანის მიღებამდე- ან ამ მდგომარეობასთან მაქსიმალურად მიახლოებულ მდგომარეობაში დაბრუნებას. „ „გამოსწორების ნაბიჯებს შეიძლება ბევრი ფორმა ჰქონდეს, როგორიც არის აღდგენა, კომპენსირება, რეაბილიტაცია, დაკმაყოფილება, ან განმეორების პრევენცია.“ წყარო: [გაეროს ბიზნესის და ადამიანის უფლებების სახელმძღვანელო პრინციპები] GRI განსაზღვრავს „ზემოქმედებას“, როგორც „ეფექტი, რომელიც ორგანიზაციას აქვს, ან შეიძლება იქონიოს ეკონომიკაზე, გარემოზე, და ადამიანებზე, მათ შორის მათ უფლებებზე, რომლებიც თავის მხრივ მიუთითებს მდგრადი განვითარების კუთხით გაწეულ წვლილზე (დადებითი ან უარყოფითი). ზემოქმედება შეიძლება იყოს რეალური, ან პოტენციური, უარყოფითი ან დადებითი, მოკლე ან გრძელვადიანი, მიზანმიმართული ან შემთხვევითი, და გამოსწორებადი, ან გამოუსწორებადი.“ კონსულტაციებისთვის, გამოსავლის უზრუნველყოფა გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ორგანიზაციამ თავად გამოიწვია ან წვლილი შეიტანა ადამიანის უფლებების საკითხებთან დაკავშირებულ არასასურველ ზემოქმედებაში და არა იმ შემთხვევაში, თუ კომპანია ურჩევს კლიენტებს საკუთარი უარყოფითი ზემოქმედების გამოსწორებას. კომპანიას შეუძლია აირჩიოს „მირჩევნია არ განვმარტო“, მაგალითად იმ შემთხვევაში თუ კონკრეტული საკითხის გასაჯაროება უკავშირდება სამართლებრივ თემებს. თუ კომპანია უარს იტყვის გასაჯაროებაზე, ის უნდა გადავიდეს დამატებითი ინფორმაციის ნაწილზე. თუ ადგილი არ ჰქონია უარყოფით ზემოქმედებას (და, შესაბამისად, არ დამდგარა გამოსწორების საჭიროება), მაშინ კომპანიას შეუძლია აირჩიოს პასუხი „უარყოფით ზემოქმედება იდენტიფიცირებული/გამოწვეული არ არის.“ თუ არასასურველ ზემოქმედებას არ ჰქონია ადგილი, მაგრამ კომპანიას გააჩნია სათანადო პროცედურა და სურს დაართოს ეს ინფორმაცია, კომპანიას შეუძლია გამოიყენოს მოცემული გრაფა დამატებითი ინფორმაციისთვის, , რათა განმარტოს, რომ არსებობს პროცედურები ზემოქმედების აღმოსაფხვრელად, მიუხედავად იმისა, რომ მათი გამოყენება არ არის საჭირო.			

დამატებითი რესურსები ადამიანის უფლებების საკითხზე

საკითხი	რესურსი
ადამიანის უფლებები (ზოგადი)	გაეროს გლობალური შეთანხმება, OHCHR, Shift. „ელექტრონული სასწავლო კურსი ბიზნესის და ადამიანის უფლებების საკითხებში: როგორ შეუძლიათ კომპანიებს გაეროს სახელმძღვანელო პრინციპების შესრულება (2021) გაეროს გლობალური შეთანხმება, OHCHR: ადამიანის უფლებები 2.0 ადამიანის უფლებები: მდგრადი ბიზნესის საფუძველი მცირე და საშუალო საწარმოების კომპასი ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაცია, კომპლექსური შემოწმების სახელმძღვანელო პასუხისმგებლიანი ბიზნესისთვის CSR რისკის შემოწმება გაეროს გლობალური შეთანხმება, OHCHR: გზამკვლევი ადამიანის უფლებათა პოლიტიკის შემუშავების შესახებ გაეროს გლობალური შეთანხმება, ბიზნესისა და ადამიანის უფლებების საკითხებზე გერმანული დახმარების ცენტრი, Verisk Maplecroft: ბიზნესისა და ადამიანის უფლებების გზამკვლევი OHCHR: ბიზნესის ქცევის სტანდარტები: ლგბტ პირთა დისკრიმინაციის დაძლევა კერძო სექტორში გაეროს გლობალური შეთანხმება, OHCHR, PGLE, BSR: გაეროს LGBTIQ+ სტანდარტების ხარვეზების ანალიზის ინსტრუმენტი OHCHR: კორპორაციული პასუხისმგებლობა ადამიანის უფლებების პატივსაცემად: ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) ინტერპრეტაციული გზამკვლევი: ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD სახელმძღვანელო მრავალეროვნული საწარმოებისთვის პასუხისმგებლიანი ბიზნეს-ქცევის შესახებ

წვდომა წყლის რესურსებზე და სანიტარულ სერვისებზე	ადამიანის უფლებათა საბჭოს 2020 წლის 6 ოქტომბრის რეზოლუცია: ადამიანის უფლებები უსაფრთხო სასმელ წყალზე და სანიტარიულ სერვისებზე ამოცანა 6: წყალზე და სანიტარულ სერვისებზე წვდომის უზრუნველყოფა წყნარი ოკეანის ინსტიტუტი, გაეროს გლობალური შეთანხმება. სახელმძღვანელო კომპანიებისთვის წყალთან და სანიტარულ სერვისებთან მიმართებაში ადამიანის უფლებების პატივისცემის შესახებ: ადამიანის უფლებებზე ფოკუსირება ის ლინზების შემოტანა წყლის რესურსებზე კორპორაციულ ზედამხედველობაში. (2015)
ციფრული უსაფრთხოება / კონფიდენციალურობა	„წითელი დროშა 16. მონაცემების გამოყენება იმ ფორმით, რომელიც აზიანებს კონფიდენციალურობის და სხვა უფლებებს“. (2021) OHCHR და კონფიდენციალურობა ციფრულ ეპოქაში OECD: ციფრული უსაფრთხოება და კონფიდენციალურობა
მკვიდრი მოსახელობის უფლებები	საცნობარო გზამკვლევი გაეროს დეკლარაციაში მკვიდრი მოსახლეობის უფლებების შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, მსოფლიოს მკვიდრი მოსახლეობების მდგომარეობა მკვიდრი მოსახლეობის საკითხების საერთაშორისო სამუშაო ჯგუფი (IWGIA) და შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია (ILO), კოვიდ-19-ის გავლენა ადგილობრივ თემებზე: მოსაზრებები მკვიდრი მოსახლეობის თვალთახედვიდან საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია (IFC), დაინტერესებული მხარეების ჩართულობა: კარგი პრაქტიკის სახელმძღვანელო კომპანიებისთვის, რომლებიც საქმიანობენ განვითარებად ბაზრებზე IFC, ინვესტიცია ადამიანებში: საზოგადოების მდგრადი განვითარება გაუმჯობესებული ბიზნეს პრაქტიკით DIHR, მკვიდრი მოსახლეობის უფლებების პატივისცემა: სახელმძღვანელო მითითებების ჩამონათვალი კომპანიებისთვის IWGIA, გაეროს სახელმძღვანელო პრინციპების ინტერპრეტაცია მკვიდრი მოსახლეობისთვის UNDP, სტანდარტი 6: მკვიდრი მოსახლეობა შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია, ამონარიდები შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის სამეთვალყურეო უწყებების ანგარიშებიდან და კომენტარებიდან: მკვიდრი მოსახლეობის და ტომების კონვენცია, 1989 წ. (N. 169) გაეროს დეკლარაცია მკვიდრი მოსახლეობის უფლებების შესახებ გაეროს გლობალური შეთანხმება. მკვიდრი მოსახლეობის უფლებები და თავისუფალი, წინასწარი და ინფორმირებული თანხმობის როლი (2014)

დევნილების და მიგრანტების უფლებები	შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია – მიგრანტების ანაზღაურების სხვაობა: მიგრანტების და მოქალაქეების ხელფასებს შორის განსხვავება რელიგიათა შორისი ცენტრი კორპორაციული პასუხისმგებლობის შესახებ (ICCR) – საუკეთესო პრაქტიკის სახელმძღვანელო მიგრანტი მუშაკების ეთიკური ფორმით დაქირავების საკითხზე. Verité – სამართლიანი დაქირავების პრინციპები. სამართლიანი შრომის ასოციაცია – სამმაგი დისკრიმინაცია: ქალი, ორსული და მიგრანტი, ორსულობისას დისკრიმინაციის პრევენცია დროებით მიგრანტებში, მალაიზიის, ტაივანის და ტაილანდის მაგალითები. BSR – მიგრანტ მუშაკთა მართვის მეთოდები: გლობალური ჩარჩო შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია – ქალებისთვის, ქალების მიერ: სახელმძღვანელო და აქტივობები ქალ მიგრანტ მუშაკთა ქსელის შესაქმნელად OHCHR - პრინციპები და მითითებები მიგრანტების უფლებების დაცვის შესახებ, მოწყვლად სიტუაციებში

კითხვარის მე-3 ნაწილი: შრომა

კომპანიებმა პატივი უნდა სცენ, დაიცვან და ხელი შეუწყონ შრომის ფუნდამენტური და საყოველთაოდ აღიარებული უფლებების დაცვას საკუთარ საქმიანობაში და ღირებულების ჯაჭვების ფარგლებში. გაეროს გლობალური შეთანხმების ოთხი პრინციპი მომდინარეობს ფუნდამენტური პრინციპებისა და უფლებების შესახებ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 1998 წლის დეკლარაციიდან:

- პრინციპი 3: ბიზნესმა უნდა დაიცვას გაერთიანების თავისუფლება და აღიაროს კოლექტიური მოლაპარაკებების წარმოების უფლება.
- პრინციპი 4: იძულებითი და სავალდებულო შრომის ყველა ფორმის აღმოფხვრა;
- პრინციპი 5: ბავშვთა შრომის დაუშვებლობა; და
- პრინციპი 6: დასაქმების და პროფესიის მხრივ დისკრიმინაციის აღმოფხვრა.

მშრომელთა უფლებების პატივისცემა და შრომის სტანდარტების დაცვა ღირსეული შრომის საფუძველი. შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია ღირსეულ შრომას განმარტავს, როგორც „პროდუქტიულ სამუშაოს ქალების და მამაკაცებისთვის, თავისუფლების, თანასწორობის, უსაფრთხოების და ადამიანური ღირსების პირობებში“. კომპანიებს სულ უფრო მეტად მოეთხოვებათ საკუთარ ოპერაციებში და ბიზნეს პარტნიორებთან ურთიერთობებში სათანადო ყურადღების მიქცევა ადამიანის უფლებების საკითხებისთვის. შრომითი უფლებები გახდა ნებისმიერი სამუშაო პროცესის მაკვანძო კომპონენტი და გადამწყვეტი საყრდენია.

უპირველეს ყოვლისა, საწარმოები ხელს უწყობენ მდგრად განვითარებას და მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევას მუშაკთა უფლებების პატივისცემით, ღირსეული სამუშაოს პრიორიტეტებში მათი ყოველდღიური ოპერაციებით და ინვესტირებით. ღირსეული სამუშაოს უზრუნველყოფის და მუშაკების ცხოვრების დონის ამაღლებისთვის, ყველა კომპანიამ უნდა დანერგოს მდგრადი, პასუხისმგებლიანი და ინკლუზიური სამუშაო პრაქტიკა, ხოლო მიწოდების ქსელის მქონე კომპანიებმა უნდა მიმართონ მათ ხელთ არსებულ ზომებს ღირსეული სამუშაოს განხორციელებაში წვლილის შესატანად.

შრომის საკითხების ნაწილი ადამიანის უფლებების საკითხების ნაწილის პარალელურია; შეიცავს კითხვებს ნეგატიური ზემოქმედების შესამცირებლად შემუშავებული პოლიტიკის და პროცესების და ორგანიზაციულ და სოციალურ დონეზე ადამიანის უფლებების გასაუმჯობესებლად მიღებული ზომების შესახებ. ამ ნაწილში ასევე მოცემულია შედეგზე ორიენტირებული კითხვები ისეთ თემებზე, როგორიცაა გენდერული მრავალფეროვნება, თანაბარი ანაზღაურება და მუშაკთა ჯანმრთელობა და უსაფრთხოება.

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ ეს ნაწილი უმეტესად ორიენტირებულია შრომის ოთხ პრინციპზე, თუ კომპანია HR1 პუნქტში აირჩევს „სამუშაო პირობები (ხელფასი, სამუშაო საათები)“, როგორც ადამიანის უფლებების მნიშვნელოვან საკითხად, ის ასევე განხილული იქნება ამ ნაწილში.

კითხვა	დასაბუთება და დაანგარიშების სახელმძღვანელო	დაკავშირებული ანგარიშგების სტანდარტები	შესაბამისობა გაეროს გლობალური შეთანხმების ათ პრინციპთან	შესაბამისობა მდგრადი განვითარების მიზნებთან
L1: პოლიტიკის განხორციელების ვალდებულება	„პოლიტიკის განხორციელების ვალდებულება ეხება ნებისმიერ ერთ ან მეტ საჯარო განცხადებას კომპანიის პასუხისმგებლობის, ვალდებულებების ან მოლოდინების შესახებ, შრომითი უფლებების პატივისცემასთან დაკავშირებით მის საქმიანობასა და საქმიან ურთიერთობებში. (...) ვალდებულება შეიძლება იყოს ერთი, დამოუკიდებელი საჯარო პოლიტიკა შრომის უფლებების პატივისცემასთან დაკავშირებით, ან შეტანილი იყოს უფრო კომპლექსურ დოკუმენტში, როგორიცაა ეთიკის კოდექსი, ან ბიზნესის პრინციპები. (...) პოლიტიკის განხორციელების ვალდებულების მიზანია განმარტოს, თუ როგორ აღიქვამს კომპანია შრომის უფლებების პატივისცემის პასუხისმგებლობას და როგორ აფიქსირებს შედეგად წარმოქმნილ მოლოდინებს სამუშაო ძალის, ბიზნეს პარტნიორების და ბიზნეს ოპერაციებთან, პროდუქტებთან და მომსახურებასთან უშუალოდ დაკავშირებული სხვა სუბიექტების მიმართ. ” წყარო: UNGP ანგარიშგების ჩარჩო ორგანიზაციამ უნდა აირჩიოს პასუხი „არ გვაქვს პოლიტიკა და მისი შემუშავების გეგმები“, თუ საკითხი კომპანიისთვის მნიშვნელოვანია, მაგრამ პოლიტიკა ჯერ არ არის შემუშავებული. კომპანიებმა უნდა აირჩიონ პასუხი „არ გვაქვს პოლიტიკა, თუმცა ვგეგმავთ მის შემუშავებას მომდევნო ორი წლის განმავლობაში“, თუ საკითხი ფიქსირდება როგორც პრობლემური სფერო, რომელიც მნიშვნელოვანია უმეტესად უახლოეს მომავალში. არ საჭიროებს ორგანიზაციის მიერ პოლიტიკის შემუშავებას ან განხორციელებას. კოლექტიური შრომითი ხელშეკრულება შეიძლება წარმოადგენდეს პოლიტიკის ვალდებულებას, თუ მოიცავს სამუშაო პირობებთან დაკავშირებულ ყველა შესაბამის წესს. თუ საჭიროდ თვლიან, კომპანიებს შეუძლიათ გამოიყენონ დამატებითი ინფორმაციისთვის განკუთვნილი გრაფა, რათა მიუთითონ ასეთი ვარიანტი. თუ კომპანია აირჩევს ვარიანტს „დიახ, შედის უფრო ფართო პოლიტიკაში ან წარმოადგენს ცალკე პოლიტიკას“, მას მოეთხოვება მიუთითოს პოლიტიკის გადახედვის ბოლო წელი და უპასუხოს კითხვას L1.1, რათა მიაწოდოს უფრო დეტალური ინფორმაცია ამ პოლიტიკის შესახებ. თუ კომპანიას აქვს პოლიტიკის ვალდებულება, მან უნდა დაურთოს ბმული ან სხვა დამხმარე დოკუმენტაცია. სხვა შემთხვევაში, უნდა დაურთოს დამატებითი ინფორმაცია. ორგანიზაციას ასევე შეუძლია აირჩიოს პასუხი „არ გამოიყენება“, თუ თემა არ არის ბიზნესისთვის არსებითი. ამ პასუხის არჩევისას, კომპანიამ უნდა მოგვაწოდოს დამატებითი ინფორმაცია.	GRI დოკუმენტი 3-3-cGRI 407 (2016), GRI 409 (2016), GRI 408 (2016), GRI 406 (2016), GRI 403 (2018) საკითხებისთვის	პრინციპი 3 პრინციპი 4 პრინციპი 5 პრინციპი 6	1.2, 1.3, 1.4, 1.5, 3.1, 3.2, 3.3, 3.4, 3.7, 3.8, 4.1, 4.2, 4.3, 5.1, 5.4, 5.5, 8.3, 8.5, 8.6, 8.7, 8.8, 9.2, 10.1, 10.2, 10.3, 10.4

L1.1: პოლიტიკის დეტალები	„როგორც შრომითი უფლებების პატივისცემის პასუხისმგებლობის საფუძველი, ბიზნეს საწარმოებმა უნდა დააფიქსირონ ამ პასუხისმგებლობის შესრულების ვალდებულება პოლიტიკის შესახებ განცხადების მეშვეობით, რომელიც: (ა) დამტკიცებულია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ; (ბ) გაცხადებულია შესაბამის შიდა ან/და გარე დონეებზე; (გ) ადგენს საწარმოს შრომითი უფლებების მოლოდინებს ბიზნეს პარტნიორების და სხვა მხარეების მიმართ, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებული არიან მის ოპერაციებთან, პროდუქტებთან, ან მომსახურებებთან; (დ)საჯაროდ ხელმისაწვდომია და ეცნობება შიდა და გარე პერსონალს, ბიზნეს პარტნიორებს და სხვა შესაბამის მხარეებს; (ე) აისახება საოპერაციო პოლიტიკასა და პროცედურებში, მთელ საწარმოში დასანერგად.“ წყარო: გაეროს ბიზნესის და ადამიანის უფლებების სახელმძღვანელო პრინციპები ამ კითხვის მიზანია მეტი დეტალების მიღება ორგანიზაციის შრომითი უფლებების პოლიტიკის ბუნების შესახებ, სტრუქტურირებული და გამჭვირვალე ფორმით. კითხვის მიზანია უფრო დეტალური ინფორმაციის მიწოდება ორგანიზაციის შრომითი უფლებების პოლიტიკის შესახებ სტრუქტურირებული და გამჭვირვალე ფორმით.	[შსო C155 - შრომის დაცვის კონვენცია, 1981 (N 155);](#) [GRI დოკუმენტები 2-23-c, 2-23-d, 2-23-e (2021)](#)	პრინციპი 3 პრინციპი 4 პრინციპი 5 პრინციპი 6	1.2, 1.3, 1.4, 1.5, 3.1, 3.2, 3.3, 3.4, 3.7, 3.8, 4.1, 4.2, 4.3, 5.1, 5.4, 5.5, 8.3, 8.5, 8.6, 8.7, 8.8, 9.2, 10.1, 10.2, 10.3, 10.4

კითხვა	დასაბუთება და დაანგარიშების სახელმძღვანელო	დაკავშირებული ანგარიშგების სტანდარტები	შესაბამისობა გაეროს გლობალური შეთანხმების ათ პრინციპთან	შესაბამისობა მდგრადი განვითარების მიზნებთან
L1.2: გაერთიანების და ერთობლივი მოლაპარაკებების უფლება	გაერთიანების და კოლექტიური მოლაპარაკებების წარმოების უფლების შესახებ შსო-ს №98 კონვენცია ითვალისწინებს გაერთიანებისადმი დისკრიმინაციის და ჩარევისგან დაცვას. დამსაქმებლის ჩარევისგან დაცვა მოიცავს შრომითი ურთიერთობის ყველა ეტაპს, დაქირავებიდან დასაქმების შეწყვეტამდე. ჩარევის პოტენციური აქტები შეიძლება მოიცავდეს თანამშრომლების პროფკავშირებში გაწევრიანების ან იქ აქტიურობის ხელშეშლის და/ან პროფკავშირის საქმიანობის შეფერხების ტაქტიკას. პროფკავშირების წარმომადგენლებს უნდა მიეწოდოთ საჭირო ინფორმაცია, მათ შორის ინფორმაცია, რომელიც საშუალებას მისცემს შეექმნათ უტყუარი და სამართლიანი წარმოდგენა საწარმოს საქმიანობის შესახებ. მოლაპარაკებები უნდა წარიმართოს საწარმოს წარმომადგენლებთან, რომლებიც უფლებამოსილნი არიან მიიღონ გადაწყვეტილებები მოლაპარაკების საკითხებზე. „კეთილსინდისიერი“ მოლაპარაკების წარმოება გულისხმობს, რომ მხარეები თავისუფლად ერთვებიან მოლაპარაკებებში და მათ გადაწყვეტილებებში ხელმძღვანელობა არ ერევა. კეთილსინდისიერების პრინციპი გულისხმობს, რომ მხარეები ცდილობენ მიაღწიონ შეთანხმებას, წარმართონ კონსტრუქციული მოლაპარაკებები, თავიდან აიცილონ მოლაპარაკებების უმიზეზო გაჭიანურება, პატივი სცენ დადებულ და კეთილსინდისიერად შესრულებულ შეთანხმებებს და საკმარისი დრო დაუთმონ კოლექტიური დავების განხილვას და გადაწყვეტას. მრავალეროვნული კომპანიების შემთხვევაში, კომპანიებმა თანამშრომლებს არ უნდა დაემუქრონ მოქმედი საწარმოს მთლიანად, ან მისი რომელიმე ნაწილის სხვა ქვეყანაში გადატანით და ამით არ მოახდინონ გავლენა მოლაპარაკებებზე. „საჩივრების განხილვის პროცედურები უნდა შემუშავდეს და მოქმედებდეს იმგვარად, რომ პროცედურით გათვალისწინებულ თითოეულ ეტაპზე რეალურად შესაძლებელი იყოს დავის გადაწყვეტა დასაქმებულის და დამსაქმებლის თანხმობით. ისინი ასევე უნდა იყოს მაქსიმალურად მარტივი და სწრაფი. ამ მიზნით, საჭიროების შემთხვევაში, შეიძლება დაწესდეს შესაბამისი ვადები; პროცედურების ფორმალობა მინიმუმამდე უნდა იყოს დაყვანილი. მუშაკებს, რომლებიც მონაწილეობენ საჩივრების გადაწყვეტის პროცედურებში, უნდა მიეცეთ უფლება მონაწილეობა მიიღონ უშუალოდ და ისარგებლონ დახმარებით ან წარმომადგენლობით. მუშაკები და მათი წარმომადგენლები დაცული უნდა იყვნენ საჩივრის შეტანის გამო ზიანისგან“. წყარო: შსო-ს რეკომენდაცია No130.	GRI დოკუმენტი 2-30(2021)	პრინციპი 3 პრინციპი 4 პრინციპი 6	1.1, 1.2, 1.3, 3.1, 3.3, 3.4, 3.7, 3.8, 3.9, 8.1, 8.3, 8.5, 8.7, 8.8, 9.2, 10.1, 10.3

კითხვა	დასაბუთება და დაანგარიშების სახელმძღვანელო	დაკავშირებული ანგარიშგების სტანდარტები	შესაბამისობა გაეროს გლობალური შეთანხმების ათ პრინციპთან	შესაბამისობა მდგრადი განვითარების მიზნებთან
L2: დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთობა	დაინტერესებული მხარეების ჩართულობა აუმჯობესებს გარემოსდაცვითი საკითხების გადაწყვეტის შედეგებს, უფრო ფართო პერსპექტივების ჩართვით და წარმოადგენს კომპლექსური შემოწმების და რისკის შეფასების პროცესების ძირითად ნაწილს. წყარო: ადაპტირებულია გაეროს ბიზნესის და ადამიანის უფლებების სახელმძღვანელო პრინციპებიდან. ორგანიზაციები უნდა ეცადონ გააცნობიერონ კონკრეტული ზემოქმედება კონკრეტულ ადამიანებზე, ოპერაციების კონტექსტის გათვალისწინებით. როგორც წესი, ეს მოიცავს შრომითი უფლებების კონტექსტის შეფასებას, სადაც ეს შესაძლებელია; იდენტიფიცირება, თუ ვინ შეიძლება დაზარალდეს; შესაბამისი სტანდარტებისა და საკითხების კატეგორიების განსაზღვრა და პროგნოზირება, თუ როგორ შეიძლება მოცემულმა საქმიანობამ და მასთან დაკავშირებულმა საქმიანმა ურთიერთობებმა უარყოფითი გავლენა მოახდინოს შრომით უფლებებზე. ამ პროცესში, ბიზნეს საწარმოებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ კონკრეტულ ზემოქმედებას ინდივიდებზე იმ ჯგუფებიდან და მოსახლეობიდან, რომლებიც შეიძლება იყოს დაუცველობის ან მარგინალიზაციის მაღალი რისკის ქვეშ და მხედველობაში უნდა მიიღონ განსხვავებული რისკები, რომელთა საფრთხეც შეიძლება შეექმნათ ქალებს და მამაკაცებს. დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფებთან ურთიერთობა შესაძლებელია უშუალოდ დაინტერესებული ჯგუფის წევრებთან - თანამშრომლებთან, კონტრაქტით დაქირავებულებთან, მიწოდების ჯაჭვის მუშაკებთან, დაზარალებულ თემებთან და მომხმარებლებთან - ან მათი კანონიერი წარმომადგენლების მეშვეობით, მაგ. პროფკავშირები, თემის ლიდერები და სხვ. ზემოქმედების ქვეშ მყოფ დაინტერესებულ მხარეებში შეიძლება შედიოდნენ შიდა დაინტერესებული მხარეები (მაგ., თანამშრომლები და კონტრაქტით დაქირავებულები), ასევე გარე დაინტერესებული მხარეები (მაგ., მიწოდების ჯაჭვის მუშაკები, თემები, პროდუქტის საბოლოო მომხმარებლები). დამატებითი განმარტებისთვის, იხილეთ „ზემოქმედების ქვეშ მყოფი დაინტერესებული მხარეების“ განმარტება ტერმინოლოგიაში ან UNGP-ს ანგარიშგების ჩარჩო დოკუმენტის 59-ე გვერდი, რომელიც დაკავშირებულია ზემოქმედების ქვეშ მყოფი დაინტერესებული მხარეების და ლეგიტიმური წარმომადგენლების კონცეფციასთან. ორგანიზაციას ასევე შეუძლია აირჩიოს პასუხი „ამ საკითხზე არ არის ჩართულობა“, თუ საკითხი არ არის ბიზნესისთვის არსებითი და განმარტოს არჩევანი მითითებულ გრაფაში. კომპანიებს ასევე შეუძლიათ აირჩიონ „სხვა“ და წარმოადგინონ დამატებითი ინფორმაცია.	GRI დოკუმენტები 3-1-b and 3-3-f (2021) საკითხებზე: GRI 407 (2016), GRI 409 (2016), GRI 408 (2016), GRI 406 (2016), GRI 403 (2018)	პრინციპი 3 პრინციპი 4 პრინციპი 5 პრინციპი 6	1.2, 1.3, 1.4, 1.5, 3.1, 3.2, 3.3, 3.4, 3.7, 3.8, 4.1, 4.2, 4.3, 5.1, 5.4, 5.5, 8.3, 8.5, 8.6, 8.7, 8.8, 9.2, 10.1, 10.2, 10.3, 10.4

კითხვა	დასაბუთება და დაანგარიშების სახელმძღვანელო	დაკავშირებული ანგარიშგების სტანდარტები	შესაბამისობა გაეროს გლობალური შეთანხმების ათ პრინციპთან	შესაბამისობა მდგრადი განვითარების მიზნებთან
L3: პრევენცია/ შემსუბუქება	პოლიტიკის შემუშავების და რისკების და ზემოქმედების სათანადოდ შეფასების შემდეგ, კომპანიამ უნდა „გადადგას აუცილებელი ნაბიჯები ზემოქმედების შეჩერების ან პრევენციისთვის“. თუ ბიზნეს საწარმოს აქვს უარყოფითი გავლენის პრევენციის ან შემსუბუქების ბერკეტები, მან უნდა გამოიყენოს ეს ბერკეტები და თუ საწარმოს აკლია ბერკეტები, შეიძლება არსებობდეს მათი გაძლიერების გზები. ბერკეტი შეიძლება გაძლიერდეს, მაგალითად, დაკავშირებული ორგანიზაციისთვის შესაძლებლობების განვითარების ან სხვა წახალისების შეთავაზებით, ან სხვა აქტორებთან თანამშრომლობით.“ წყარო: ადაპტირებულია გაეროს ბიზნესის და ადამიანის უფლებების სახელმძღვანელო პრინციპებიდან. ამ შემთხვევაში, „შექმნილი შესაძლებლობები შესაბამის ურთიერთობებში“ ეხება დაინტერესებულ მხარეებთან მუშაობას ზემოქმედების პრევენციის ან შემცირებისთვის და შეიძლება მოიცავდეს ახალ ან გაზრდილ საკომუნიკაციო არხებს კომპანიის მისიასთან ან პოლიტიკასთან დასაკავშირებლად, შესაბამისი პრაქტიკის ან პროცედურების ტრენინგის გასაუმჯობესებლად, ან ანგარიშგების მექანიზმების შესამუშავებლად, ღირებულებათა ჯაჭვში გამჭვირვალობის გაზრდისთვის. „ჩატარდა აუდიტის პროცესი“ შეიძლება განისაზღვროს, როგორც ადგილზე გადამოწმება, მაგალითად პროცესის ან ხარისხის კონტროლის სისტემის ინსპექტირება/შემოწმება, რათა დადგინდეს მოთხოვნებთან შესაბამისობა, როგორც წესი დამოუკიდებელი მხარის მიერ. „ერთობლივი ქმედება მეწყვილეებთან ან სხვა დაინტერესებულ მხარეებთან პრობლემის გადასაწყვეტად“ შეიძლება მოიცავდეს თანამშრომლობას დარგის მასშტაბით ინიციატივებზე, რათა შემცირდეს რისკები და ზემოქმედება შრომით უფლებებზე. „სამთავრობო ან მარეგულირებელ უწყებებთან თანამშრომლობა“ შეიძლება მოიცავდეს პოლიტიკის პირდაპირ გავლენას, მაგალითად: ჩვენების მიცემა, დადასტურება, ან მონაწილეობა კომიტეტებში, საჯარო-კერძო პარტნიორობაში ან/და ვაჭრობის, ტექნოლოგიების და სხვა ეროვნულ ან საერთაშორისო ფორუმებზე. ამ კითხვაში ორგანიზაციას შეუძლია აირჩიოს პასუხები და ასახოს არსებული შესაძლებლობების განვითარება და სამოქმედო გეგმები. ორგანიზაციებს შეუძლიათ მონიშნონ „სხვა“ და წარმოადგინონ დამატებითი ინფორმაცია.	GRI დოკუმენტი 3-3-d (2021) საკითხები: GRI 407 (2016), GRI 409 (2016), GRI 408 (2016), GRI 406 (2016), GRI 403 (2018)	პრინციპი 3 პრინციპი 4 პრინციპი 5 პრინციპი 6	1.2, 1.3, 1.4, 1.5, 3.1, 3.2, 3.3, 3.4, 3.7, 3.8, 4.1, 4.2, 4.3, 5.1, 5.4, 5.5, 8.3, 8.5, 8.6, 8.7, 8.8, 9.2, 10.1, 10.2, 10.3, 10.4

კითხვა	დასაბუთება და დაანგარიშების სახელმძღვანელო	დაკავშირებული ანგარიშგების სტანდარტები	შესაბამისობა გაეროს გლობალური შეთანხმების ათ პრინციპთან	შესაბამისობა მდგრადი განვითარების მიზნებთან
L4: ტრეინინგი	„ეს ინფორმაცია გვიქმნის შთაბეჭდილებას, თუ როგორ ასრულებს ორგანიზაცია პოლიტიკის ვალდებულებებს პასუხისმგებლიანი ბიზნესის წარმოებისთვის, ადამიანის უფლებების [და შრომითი უფლებების] პატივისცემის ვალდებულების ჩათვლით, მთელი თავისი საქმიანობის და საქმიანი ურთიერთობების მანძილზე. ეს უზრუნველყოფს, რომ ადამიანები ყველა დონეზე იმოქმედებენ პასუხისმგებლობით, ადამიანის უფლებების [და შრომითი უფლებების] გაცნობიერებით და პატივისცემით“. წყარო: GRI-ის დოკუმენტი 2-24 ამ შემთხვევაში, "ტრენინგში" იგულისხმება: ▪ ყველა სახის პროფესიული მომზადება და სწავლება; ▪ ორგანიზაციის მიერ თანამშრომლებისთვის ანაზღაურებული სასწავლო შვებულება; ▪ ტრენინგი ან განათლება, რომელსაც ატარებს გარე ორგანიზაცია და მთლიანად ან ნაწილობრივ დაფინანსებულია ორგანიზაციის მიერ; ▪ ტრენინგი კონკრეტულ საკითხებზე“. წყარო: GRI დოკუმენტი 404-1 ტრენინგზე უნდა მოხდეს ცოდნის სისტემატური გადაცემა და პარალელური შემოწმება. როგორც წესი, კურსები ტარდება პერიოდულად, აქვთ სხვადასხვა დონე და ხშირად გაიცემა „კურსის გავლის სერთიფიკატები“. ზოგჯერ, კურსების გავლა აუცილებელია უფრო მაღალ პოზიციებზე გადასვლისთვის. ინფორმაციის და სხვა მასალების გავრცელება ასევე ტრენინგის სწორი ფორმებია, თუ არ არის შემთხვევითი და მათი გავლენა შეიძლება რაიმე ფორმით შეფასდეს. ორგანიზაციებმა შეიძლება აირჩიონ პასუხი „სხვა“ და წარმოადგინონ დამატებითი ინფორმაცია.	GRI დოკუმენტი 3-3-d (2021), საკითხები GRI 407 (2016), GRI 409 (2016), GRI 408 (2016), GRI 406 (2016), GRI 403 (2018)	პრინციპი 3 პრინციპი 4 პრინციპი 5 პრინციპი 6	1.2, 1.3, 1.4, 1.5, 3.1, 3.2, 3.3, 3.4, 3.7, 3.8, 4.1, 4.2, 4.3, 5.1, 5.4, 5.5, 8.3, 8.5, 8.6, 8.7, 8.8, 9.2, 10.1, 10.2, 10.3, 10.4
L5: პრევენციის / შემსუბუქების პროგრესის შეფასება	„ორგანიზაციისთვის აუცილებელია მისი ქმედებების ეფექტურობის მონიტორინგი, რათა დაადგინოს, ოპტიმალურად ხორციელდება თუ არა მისი პოლიტიკა და პროცესები. ასევე აუცილებელია ვიცოდეთ, ეფექტური რეაგირება მოახდინა თუ არა ზემოქმედებაზე და აუმჯობესებს მუდმივად.” წყარო: GRI-ის დოკუმენტი 3-3-e ბიზნესის მიერ განხორციელებული ქმედებების პროგრესის მონიტორინგისას შრომითი უფლებების ზემოქმედების შესამცირებლად საკუთარ ოპერაციებში და საქმიან ურთიერთობებში, კომპანიები ხშირად აწესებენ შესრულების ძირითად ინდიკატორებს, რომლებიც ორიენტირებულია უფრო ადვილად მოსაპოვებელ მონაცემებზე, როგორიცაა: ▪ შემოსავალი (მაგ. რესურსების და ფინანსების განაწილება); ▪ პროგრამული აქტივობები (მაგ. შრომითი უფლებების შესახებ ჩატარებული ტრენინგების რაოდენობა, ჩატარებული შეფასებები და აუდიტები); ან ▪ ძირითადი შედეგები (მაგ. აუდიტის შეუსაბამობები). ამ ინდიკატორების გარდა, ბიზნესებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ, რა სასიკეთო შედეგი მოუტანა ადამიანებს მათმა ქმედებებმა კონკრეტული შრომითი უფლებების უარყოფითი ზემოქმედების აღმოსაფხვრელად. (მაგ., იმ ადამიანთა რაოდენობა, რომლებსაც ახლა უხდიან საარსებო მინიმუმს იმის გამო, რომ ხელსაყრელი ცვლილებები განხორციელდა შესყიდვის პოლიტიკაში ან მიმწოდებლის ხელშეკრულებაში). ამ შემთხვევაში, გარე პროგრამები უკავშირდება მიზნებს, რომლებიც ოფიციალურად დასახულია რამდენიმე დაინტერესებული მხარის ინიციატივებიდან ან სხვა მიზნებიდან დადგენილი მეთოდოლოგიებით, მხარის მიერ გამოვლენილ ან დასახულ გარკვეულ საკითხებზე (მაგ. გაერო, მთავრობები, არასამთავრობო ორგანიზაციები, ბიზნეს ასოციაციები). შიდა პროგრამები ეხება კომპანიის მიერ თვითდასახულ მიზნებს, რომლებიც ოფიციალურად არ არის დაკავშირებული, ან არ არის დადასტურებული გარე ინიციატივებით. ორგანიზაციებს შეუძლიათ აირჩიონ პასუხი „სხვა“ და წარმოადგინონ დამატებითი ინფორმაცია.	GRI დოკუმენტი 3-3-e (2021) საკითხები GRI 407 (2016), GRI 409 (2016), GRI 408 (2016), GRI 406 (2016), GRI 403 (2018)	პრინციპი 3 პრინციპი 4 პრინციპი 5 პრინციპი 6	1.2, 1.3, 1.4, 1.5, 3.1, 3.2, 3.3, 3.4, 3.7, 3.8, 4.1, 4.2, 4.3, 5.1, 5.4, 5.5, 8.3, 8.5, 8.6, 8.7, 8.8, 9.2, 10.1, 10.2, 10.3, 10.4

კითხვა	დასაბუთება და დაანგარიშების სახელმძღვანელო	დაკავშირებული ანგარიშგების სტანდარტები	შესაბამისობა გაეროს გლობალური შეთანხმების ათ პრინციპთან	შესაბამისობა მდგრადი განვითარების მიზნებთან
L6: კოლექტიური მოლაპარაკების შეთანხმებები	კოლექტიური მოლაპარაკება შესაძლებელია საწარმოს დონეზე, დარგობრივ დონეზე და ეროვნულ ან ცენტრალურ დონეზე. კოლექტიური მოლაპარაკებების საკითხებია სამუშაო პირობები, მაგალითად ხელფასი, დანამატები, შეღავათები, სამუშაო დრო, ზეგანაკვეთური სამუშაო, დასვენების პერიოდები, წლიური შვებულება, დეკრეტული შვებულება, შვებულება დედობისას, ოჯახზე პასუხისმგებლობის შვებულება, ავადმყოფობის შვებულებას, შრომის დაცვა და ჯანმრთელობის დაცვა. სამუშაო საათებთან დაკავშირებული საკითხებია სამუშაო დრო, ზეგანაკვეთური და დასვენების პერიოდები. წყარო: შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია		პრინციპი 3 პრინციპი 4 პრინციპი 6	1.1, 1.2, 1.3, 3.1, 3.3, 3.4, 3.7, 3.8, 3.9, 8.1, 8.3, 8.5, 8.7, 8.8, 9.2, 10.1, 10.3
L7: ქალები მმართველობით თანამდებობებზე	„ეს მაჩვენებელი დგინდება როგორც მენეჯერულ თანამდებობებზე მომუშავე ქალების რაოდენობა, გაყოფილი მენეჯერული პოზიციების საერთო რაოდენობაზე მოცემულ საანგარიშო პერიოდში. მენეჯერების მიერ შესრულებული ამოცანები ჩვეულებრივ მოიცავს: საწარმოების, მმართველობისა და სხვა ორგანიზაციების პოლიტიკის, ბიუჯეტის, კანონებისა და რეგულაციების ფორმულირებასა და კონსულტაციას; მიზნებისა და სტანდარტების დადგენას და მათი განხორციელების პროგრამებისა და პოლიტიკისა და პროცედურების ჩამოყალიბებასა და შეფასებას; სათანადო სისტემებისა და პროცედურების შემუშავებასა და დანერგვას საბიუჯეტო კონტროლის უზრუნველსაყოფად; მატერიალური, ადამიანური და ფინანსური რესურსების მიმართვას პოლიტიკისა და პროგრამების განსახორციელებლად; ორგანიზაციის ან საწარმოს და მისი პერსონალის მუშაობის მონიტორინგისა და შეფასებას; კადრების შერჩევას ან შერჩეული კადრების დამტკიცებას; ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვის უზრუნველყოფას; ყოველდღიური ოპერაციების დაგეგმვასა და წარმართვას; შეხვედრებსა და სხვა ფორუმებზე მთავრობის, საწარმოს ან ორგანიზაციული ერთეულის სახელით წარმომადგენლობასა და მოლაპარაკების წარმოებას. ტერმინ „მენეჯერის“ შემდგომი განმარტებისთვის, გთხოვთ, იხილოთ განმარტებების ნაწილი. Source: [შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია, პროფესიების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკაცია-08 (ISCO-08)] „როგორც წესი, ამ ინდიკატორის გამოსათვლელი ინფორმაცია გვხვდება ადამიანური რესურსების საინფორმაციო სისტემებში (თანამშრომლების მონაცემები და სახელფასო ინფორმაცია ხელმისაწვდომია ეროვნულ დონეზე ან ადგილზე). არაერთი სუბიექტი იყენებს სპეციალიზებულ პროგრამულ უზრუნველყოფას (ადამიანური რესურსების პროგრამული უზრუნველყოფა) თანამშრომლების შესახებ ინფორმაციის შეგროვების და შემუშავებისთვის, მათ შორის ინდიკატორის გამოსათვლელად აუცილებელ სხვა მონაცემებს. პროგრამული უზრუნველყოფა და მასთან დაკავშირებული ინფორმაციის ნაკადები ჩვეულებრივ იმართება ადამიანური რესურსების ფუნქციით. თუ მოქმედებს თანაბარი შესაძლებლობების კომიტეტი, მნიშვნელოვანი ინფორმაცია ასევე შეიძლება ავიღოთ კომიტეტის სხდომების ოქმებიდან“. ორგანიზაციებს შეუძლიათ გამოიყენონ თანამშრომლები ან სრულ განაკვეთზე მომუშავე	UNCTAD, ISAR C1.1(2022)	პრინციპი 6	1.2, 1.4, 3.1, 3.2, 3.3, 3.4, 3.7, 3.8, 4.3, 5.1, 5.4, 5.5, 8.5

	ეკვივალენტი (FTE) და დააფიქსირონ ეს მაჩვენებელი საანგარიშო პერიოდის ბოლოს. მენეჯერული როლების იდენტიფიკაცია უნდა შეესაბამებოდეს სამუშაოთა შიდა კლასიფიკაციას და საკონტროლო სიებს ან/და პროფესიის კლასიფიკაციის სისტემებს, რომლებიც დამტკიცებულია შრომის სტატისტიკის ექსპერტთა კრების მიერ (პროფესიების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკაცია, 2008 (ISCO). ერთმა ადამიანმა უნდა დაიკავოს ერთი მენეჯერულ თანამდებობა, მაშინაც კი, თუ მას შეუძლია მრავალი მენეჯერული როლის შესრულება. წყარო: UNCTAD, ISAR C1.1 მენეჯერული პოზიციების შესახებ მეტი ინფორმაციისთვის იხილეთ UNCTAD/ISAR-ის სახელმძღვანელო, გვერდი 34 და მოგვაწოდეთ დამატებითი ინფორმაცია, თუ რომელი სამუშაო კატეგორიები ან კლასიფიკაციის სისტემა გაითვალისწინეთ კითხვაზე პასუხის გაცემისას. კომპანიას შეუძლია აირჩიოს პასუხი „უცნობია“, თუ არ ახდენს მენეჯერულ პოზიციებზე ქალების დასაქმების მონიტორინგს.			

კითხვა	დასაბუთება და დაანგარიშების სახელმძღვანელო	დაკავშირებული ანგარიშგების სტანდარტები	შესაბამისობა გაეროს გლობალური შეთანხმების ათ პრინციპთან	შესაბამისობა მდგრადი განვითარების მიზნებთან
L8: თანაბარი ანაზღაურება	„თანაბარი სამუშაოსთვის თანაბარი ანაზღაურების ხელშეწყობა ფუნდამენტური უფლებაა, რომელიც გათვალისწინებულია თანაბარი ანაზღაურების კონვენციაში (1951 (No. 100)) - შსო-ს ყველაზე ფართო მასშტაბით რატიფიცირებულ კონვენციებს შორის“. წყარო: შსო- C100- თანაბარი ანაზღაურების კონვენცია 1951 (No.100) შსო-ს 100 კონვენციის შესაბამისად, ტერმინი საბაზისო ხელფასი მოიცავს ჩვეულებრივ, ძირითად ან მინიმალურ ხელფასს და ნებისმიერ დამატებით ანაზღაურებას, რომელიც დამსაქმებელმა დასაქმებულს უნდა გადაუხადოს პირდაპირ ან ირიბად, ფულადი თუ არაფულადი ფორმით. წყარო: GRI დოკუმენტი 405-2 კითხვის მიზანია, განსაზღვროს თანამდებობების ერთსა და იმავე დონეზე კაც და ქალ თანამშრომლებს შორის ანაზღაურების პოტენციური სხვაობა და მოითხოვს კომპანიებისგან, დაადგინონ პოტენციური ანაზღაურების სხვაობა კაცებსა და ქალებს შორის თითოეულ თვითგანსაზღვრულ სამუშაო დონეზე, შემდეგ კი საშუალო სხვაობის თითოეულ დონეზე გამოიყენონ სქესებს შორის პოზიციებისა და ანაზღაურების სხვაობის დასადგენად მთელ კომპანიაში. რეკომენდირებულია, რომ კომპანიებმა დაიცვან GRI-405-2 სტანდარტი ან ქალთა გაძლიერების პრინციპების (WEPs) მეთოდოლოგია. კომპანიებს ეძლევათ რეკომენდაცია დაიცვან GRI-405-2 სტანდარტი ან ქალთა უფლებამოსილებების გაზრდის პრინციპების (WEPs) მეთოდოლოგია. თითოეული სამუშაო დონის ან კატეგორიისთვის, კომპანიებმა უნდა გამოთვალონ მთლიანი საათობრივი შემოსავლის თანაფარდობა, რომელიც გადაეხდებათ მდედრობითი და მამრობითი სქესის თანამშრომლებს და დააფიქსირონ შემოსავლის საშუალო თანაფარდობა სამუშაო კატეგორიებში, პროცენტული მაჩვენებლის სახით. მაგალითად, თუ საშუალოდ ქალები სამუშაო კატეგორიებში მამაკაცებთან შედარებით 1%-ით ნაკლებს გამოიმუშავებენ, პასუხი იქნება 99%. თუ ქალებს თანაბარ ანაზღაურებას უხდიან თანაბარი სამუშაოსთვის ყველა სამუშაო კატეგორიაში, პასუხი უნდა იყოს 100%. კომპანიებს სურვილის შემთხვევაში შეუძლიათ გამოიყენონ მოცემული გრაფა დამატებითი ინფორმაციისთვის. ეს მონაცემები უნდა გამოითვალოს მეთოდოლოგიით, რომელიც აღწერილია სწრაფი წინსვლის მიზანში : გენდერული ანაზღაურების თანასწორობა: საშუალო მთლიანი საათობრივი შემოსავალი კაცი თანამშრომლებისთვის - ქალი თანამშრომლების მთლიანი საშუალო საათობრივი შემოსავალი = 100% კაცი თანამშრომლების საშუალო მთლიანი საათობრივი შემოსავალი დამატებითი ინფორმაციისთვის, გთხოვთ გრაფაში მიუთითოთ გამოყენებული მეთოდოლოგია. კომპანიებს შეუძლიათ აირჩიონ პასუხი „უცნობია“, თუ არ ხდება ამ მონაცემების დადგენა. ამასთან, კომპანიებს შეუძლიათ აირჩიონ პასუხი „არ გამჟღავნდეს“. თუ კომპანია გადაწყვეტს არ გაამჟღავნოს ინფორმაცია, უნდა წარმოადგინოს დამატებითი ინფორმაცია.	GRI დოკუმენტი 405-2(2016)	პრინციპი 6	1.2, 1.4, 3.1, 3.2, 3.3, 3.4, 3.7, 3.8, 4.3, 5.1, 5.4, 5.5, 8.5

კითხვა	დასაბუთება და დაანგარიშების სახელმძღვანელო	დაკავშირებული ანგარიშგების სტანდარტები	შესაბამისობა გაეროს გლობალური შეთანხმების ათ პრინციპთან	შესაბამისობა მდგრადი განვითარების მიზნებთან
L9: ტრავმების სიხშირე	GRI 403-9-ს შესაბამისად, „სამუშაო ტრავმების სახეობები შეიძლება მოიცავდეს (არა მხოლოდ) გარდაცვალებას, კიდურის ამპუტაციას, ჭრილობას, მოტეხილობას, თიაქარს, დამწვრობას, გონების დაკარგვას და დამბლას. სამუშაოსთან დაკავშირებული ინციდენტის შედეგად საზოგადოების წევრების დაზიანებები არ შედის ამ ინფორმაციაში“. სიხშირის კოეფიციენტი გამოითვლება შემდეგი ფორმით: სამუშაოსთან დაკავშირებული დაზიანებების ჩანაწერების რაოდენობა / საანგარიშო პერიოდში მუშაკების მიერ ნამუშევარი საათების საერთო რაოდენობა. წყარო: 2019 წლის UNCTAD, ISAR მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით. ეს მაჩვენებელი დაკავშირებულია საანგარიშო პერიოდში დაშავებულთა რაოდენობასთან და მოიცავს მონაცემებს ყველა დაზიანებების შესახებ სამუშაო საათების საერთო რაოდენობაზე გაანგარიშებით. სამუშაოსთან დაკავშირებული დაზიანებების შესახებ მონაცემები მუშაკებისთვის მიყენებული ზიანის მასშტაბის საზომია; ეს არ არის უსაფრთხოების საზომი. როდესაც ძირითადი ბიზნესი რეგულარულად იყენებს მესამე მხარის მუშაკებს (მაგ., მშენებლობა ან IT), კომპანიას უნდა ჰქონდეს კოორდინირებული მიდგომა უსაფრთხოების მიმართ. როგორც ასეთი, „მუშაკები“ აქ მოიცავს როგორც თანამშრომლებს, ასევე მესამე მხარის მუშაკებს, რომლებიც ჩართულნი არიან ძირითადი ბიზნესის საქმიანობაში. თუ კომპანიას სურს დააზუსტოს, ვინ შედის ამ გაანგარიშებაში, მან უნდა გამოიყენოს მოცემული გრაფა დამატებითი ინფორმაციისთვის. კომპანიებს შეუძლიათ აირჩიონ პასუხი „უცნობია“, თუ ინციდენტების მაჩვენებელი არ იზომება. ამასთან, კომპანიებს შეუძლიათ აირჩიონ ოფცია „არ გამჟღავნდეს“. თუ კომპანია გადაწყვეტს არ გაამჟღავნოს ინფორმაცია, უნდა წარმოადგინოს დამატებითი ინფორმაცია.	UNCTAD, ISAR C.3.2.(2019) GRI დოკუმენტი 403-9(2018)	პრინციპი 3 პრინციპი 4 პრინციპი 5 პრინციპი 6	1.2, 1.4, 3.1, 3.2, 3.3, 3.4, 3.7, 3.8
L10: Incident rate	„ეს მაჩვენებელი დაკავშირებულია საანგარიშო პერიოდში საწარმოო ავარიების, დაზიანებებისა და დაავადებების რაოდენობასთან. მიუთითებს ორგანიზაციის თანამშრომელთა ჯანმრთელობის და უსაფრთხოების პოლიტიკის ეფექტურობაზე და უნარზე შექმნას ჯანსაღი, უსაფრთხო და პროდუქტიული სამუშაო გარემო.” „ინციდენტის მაჩვენებელი გამოითვლება შემდეგნაირად: დაშავებულთა საერთო რაოდენობა / დასაქმებულთა საერთო რაოდენობა საანგარიშო პერიოდში“. თუ შესაძლებელია, ეს გაანგარიშება უნდა მოიცავდეს ყველა მუშაკს, მათ შორის მესამე მხარის მუშაკებს, რომლებიც ჩართულნი არიან ძირითად ბიზნეს საქმიანობას. წყარო: UNCTAD, ISAR C.3.2 კომპანიებს შეუძლიათ აირჩიონ პასუხი „უცნობია“, თუ ინციდენტების მაჩვენებელი არ იზომება. ამასთან, კომპანიებს შეუძლიათ აირჩიონ ოფცია „არ გამჟღავნდეს“. თუ კომპანია გადაწყვეტს არ გაამჟღავნოს ინფორმაცია, უნდა წარმოადგინოს დამატებითი ინფორმაცია. კომპანიებმა უნდა გამოიყენონ მოცემული გრაფა დამატებითი ინფორმაციისთვის, წარმოადგინონ მნიშვნელოვანი დეტალები ინციდენტების სიხშირის შესახებ (მაგ., კოვიდის გავრცელება).	UNCTAD, ISAR C.3.2	პრინციპი 3 პრინციპი 4 პრინციპი 5 პრინციპი 6	1.2, 1.4, 3.1, 3.2, 3.3, 3.4, 3.7, 3.8

კითხვა	დასაბუთება და დაანგარიშების სახელმძღვანელო	დაკავშირებული ანგარიშგების სტანდარტები	შესაბამისობა გაეროს გლობალური შეთანხმების ათ პრინციპთან	შესაბამისობა მდგრადი განვითარების მიზნებთან
L11: გამოსწორება	„საუკეთესო პოლიტიკის და პრაქტიკის პირობებშიც კი, ბიზნეს საწარმომ შეიძლება გამოიწვიოს ან ხელი შეუწყოს არასასურველ ზემოქმედებას გარემოზე ან სოციალურ საკითხებზე, რომლის თავიდან აცილებაც ვერ განჭვრიტა, ან ვერ შეძლო. „არასასურველ ზემოქმედებისას, რომელიც არ გამოუწვევია და არ შეუწყვია ხელი ბიზნეს საწარმოს, მაგრამ რომელიც პირდაპირ კავშირშია მის ოპერაციებთან, პროდუქტებთან ან სერვისებთან, [შრომითი] უფლებების პატივისცემის ვალდებულება არ მოითხოვს, რომ საწარმომ თავად უზრუნველყოს გამოსწორება, თუმცა შეიძლება თავისი როლი ითამაშოს. ზოგიერთ შემთხვევაში, განსაკუთრებით სავარაუდო დარღვევისას, როგორც წესი საჭიროა თანამშრომლობას სასამართლო უწყებებთან. „ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ შრომითი უფლებების პატივისცემაზე პასუხისმგებლობა განსხვავდება სამართლებრივი პასუხისმგებლობისგან, რომელიც მეტწილად რეგულირდება ეროვნული კანონმდებლობით. მაშინაც კი, თუ კანონით არ არის სავალდებულო, კომპანიებს მაინც მოეთხოვებათ, რომ UNGP-ის ფარგლებში უზრუნველყონ ან ითანამშრომლონ გამოსწორების პროცესში, მათი პასუხისმგებლობის ნაწილის სახით, პატივი სცენ [შრომით] უფლებებს. რეაგირების ზომების მიზანია შრომითი უფლებების ნებისმიერი დარღვევის აღმოფხვრა. მიზანი უნდა იყოს დაზარალებული პირების და თემების მდგომარეობის აღდგენა იმ სიტუაციაში, რომელშიც ისინი იქნებოდნენ ზიანის არარსებობისას – ან მიახლოებულ სიტუაციაში.” „აღდგენის საშუალებებში შეიძლება შედიოდეს რესტიტუცია, კომპენსაცია, რეაბილიტაცია, დაკმაყოფილება, განმეორების პრევენცია“. წყარო: ადაპტირებულია გაეროს ბიზნესის და ადამიანის უფლებების სახელმძღვანელო პრინციპებიდან. GRI განსაზღვრავს „ზემოქმედებას“, როგორც „ეფექტს, რომელსაც ორგანიზაცია ახდენს, ან შესაძლოა მოახდინოს ეკონომიკაზე, გარემოზე და ადამიანებზე, მათ შორის ადამიანის უფლებებზე, რაც თავის მხრივ შეიძლება მიუთითებდეს მის წვლილზე (ნეგატიურზე ან პოზიტიურზე) მდგრად განვითარებაში. ზემოქმედება შეიძლება იყოს ფაქტობრივი ან პოტენციური, ნეგატიური ან პოზიტიური, მოკლევადიანი ან გრძელვადიანი, დაგეგმილი ან გაუთვალისწინებელი და შექცევადი ან შეუქცევადი. კომპანიას შეუძლია აირჩიოს ოფცია „არ გამჟღავნდეს“, მაგალითად, თუ არსებობს სამართლებრივი სენსიტიური საკითხები კონკრეტული თემის გამჟღავნების მხრივ. თუ კომპანია გადაწყვეტს არ გაამჟღავნოს ინფორმაცია, უნდა წარმოადგინოს დამატებითი ინფორმაცია. თუ არ არის გამოწვეული ნეგატიური ზემოქმედება (და შესაბამისად არ არის საჭირო გამოსწორება), კომპანიას შეუძლია აირჩიოს „ნეგატიური ზემოქმედება არ გამოვლენილა“. თუ არასასურველ ზემოქმედებას არ ჰქონია ადგილი , მაგრამ კომპანიას გააჩნია სათანადო პროცედურა და სურს შეიტანოს ეს ინფორმაცია, კომპანიას შეუძლია გამოიყენოს მოცემული გრაფა დამატებითი ინფორმაციისთვის, რათა განმარტოს, რომ არსებობს პროცედურები ზემოქმედების აღმოსაფხვრელად, მიუხედავად იმისა, რომ მათი გამოყენება არ არის საჭირო.	GRI დოკუმენტი 3-3- d-ii (2021) საკითხები: GRI 407 (2016), GRI 409 (2016), GRI 408 (2016), GRI 406 (2016), GRI 403 (2018)	პრინციპი 3 პრინციპი 4 პრინციპი 5 პრინციპი 6	1.2, 1.4, 3.1, 3.2, 3.3, 3.4, 3.7, 3.8, 4.1, 4.2, 4.3, 5.1, 5.4, 5.5, 8.6, 8.7, 8.8, 9.2, 10.1, 10.2, 10.3, 10.4
L12: პრაქტიკული ზომები	ეს გრაფა განკუთვნილია კომპანიების მიერ დამატებითი ინფორმაციის წარმოსადგენად, რომელიც არ დაფიქსირებულა წინა პასუხებში, მათ შორის განხორციელებული დამატებითი შესაბამისი აქტივობები, შრომის უფლებებთან დაკავშირებული ამოცანები ან/და შრომითი საკითხების გადაწყვეტის პროცესში არსებული დაბრკოლებები.	დოკუმენტები 3-3-c and 3-3-d (2021) საკითხები GRI 407 (2016), GRI 409 (2016), GRI 408 (2016), GRI 406 (2016), GRI 403 (2018)	პრინციპი 3 პრინციპი 4 პრინციპი 5 პრინციპი 6	1.2, 1.4, 3.1, 3.2, 3.3, 3.4, 3.7, 3.8, 4.1, 4.2, 4.3, 5.1, 5.4, 5.5, 8.6, 8.7, 8.8, 9.2, 10.1, 10.2, 10.3, 10.4

დამატებითი რესურსები შრომის საკითხებზე

საკითხი	რესურსი
შრომა (ზოგადი)	შრომა | გაეროს გლობალური შეთანხმება [გაეროს გლობალური შეთანხმება: ბიზნესში ღირსეული შრომის ხელშეწყობა გაეროს გლობალური შეთანხმების შრომითი პრინციპების მეშვეობით] ღირსეული სამუშაო გლობალურ მიწოდების ჯაჭვებში - საბაზისო ანგარიში ბიზნესის და ადამიანის უფლებათა ნავიგატორი
გაერთიანების თავისუფლება და კოლექტიური მოლაპარაკებების უფლების აღიარება	მესამე პრინციპი: ბიზნესებმა უნდა დაიცვან გაერთიანების თავისუფლება და რეალურად აღიარონ კოლექტიური მოლაპარაკებების უფლება გაერთიანების თავისუფლება და განვითარება შსო-ს N98 კონვენცია ორგანიზების და კოლექტიური მოლაპარაკებების წარმართვის უფლების კონვენცია C087 - გაერთიანების თავისუფლების და ორგანიზების უფლების დაცვა, 1948 წლის კონვენცია (N 87)
იძულებითი შრომა	მეოთხე პრინციპი: იძულებითი და სავალდებულო შრომის ყველა ფორმის აღმოფხვრა იძულებითი შრომის წინააღმდეგ ბრძოლა: ინსტრუქცია დამსაქმებლების და ბიზნესისთვის შსო-ს N 29 კონვენცია იძულებითი შრომის შესახებ
ბავშვთა შრომა	მეხუთე პრინციპი : უნდა უზრუნველყონ ბავშვთა შრომის რეალური აღმოფხვრა ბავშვთა შრომის, იძულებითი შრომის და ადამიანებით ვაჭრობის შეწყვეტა გლობალურ მიწოდების ჯაჭვებში ILO-IOE ბავშვთა შრომის საკითხების სახელმძღვანელო ბიზნესისთვის შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენცია N 138 მინიმალური ასაკის შესახებ შსო-ს N 182 კონვენცია ბავშვთა შრომის ყველაზე მძიმე ფორმების შესახებ
დასაქმების კუთხით დისკრიმინაციის გამორიცხვა	UN LGBTIQ+ სტანდარტების ხარვეზების ანალიზის ინსტრუმენტი თანასწორობის ხელშეწყობა: გენდერულად ნეიტრალური სამუშაოს შეფასება თანაბარი ანაზღაურებისთვის. თანმიმდევრული ინსტრუქცია გენდერული თანასწორობა ქცევის კოდექსებში შსო-ს N 100 კონვენცია თანაბარი ანაზღაურების შესახებ შსო-ს N 111 კონვენცია დისკრიმინაციის შესახებ (დასაქმება და პროფესია) შსო-ს N 190 კონვენცია ძალადობის და შევიწროების შესახებ *WEPs GAT Tool - მთავარი (weps-gapanalysis.org)* [ქალთა გაძლიერების პრინციპების გენდერული ხარვეზის ანალიზის ინსტრუმენტი] [მრავალფეროვნება, თანასწორობა და ჩართულობა (DEI) |გაეროს გლობალური შეთანხმება] [თანაბარი ანაზღაურება თანაბრად ღირებულები სამუშაოსთვის | SDG-ების მიღწევის საორიენტაციო ნიშანი]

უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემო	ცხრა ბიზნეს-პრაქტიკა მიწოდების ჯაჭვებში უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის გასაუმჯობესებელი და პრევენციისა და დაცვის კულტურის შესაქმნელად შსო-ს N 155 კონვენცია შრომის დაცვის და ჯანდაცვის შესახებ
სამუშაო პირობები (ხელფასები, სამუშაო საათები)	სამუშაო პირობების მარეგულირებელი კანონების მონაცემთა ბაზა თამაშის წესები: შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის სტანდარტებთან დაკავშირებული აქტივობების შესავალი. ბიზნესისა და ადამიანის უფლებათა გზამკვლევი: სამუშაო დრო

კითხვარის მე-4 ნაწილი: გარემო

გაეროს გლობალური შეთანხმების მეშვიდე-მეცხრე პრინციპები უზრუნველყოფს ჩარჩოს კომპანიებისთვის, მდგრადი ბიზნეს პრაქტიკის დასანერგად:

- პრინციპი 7: ბიზნესმა მხარი უნდა დაუჭიროს გარემოსდაცვითი პრობლემებისადმი პრევენციულ მიდგომას;
- პრინციპი 8: ინიციატივების გატარება გარემოზე ზრუნვის მეტი პასუხისმგებლობის ხელშეწყობის მიზნით; და
- პრინციპი 9: ეკოლოგიური ტექნოლოგიების განვითარების და გავრცელების ხელშეწყობა.

ამ პრინციპების მიზანია დაეხმაროს ბიზნესს გარემოსდაცვითი ზიანის პრევენციაში, ზემოქმედების გაზომვაში და საზოგადოებისთვის უფრო მეტი სარგებელის შექმნაში გარემოს დაცვის მონიტორინგში აქტიური მონაწილეობით, ასევე პროდუქტის დიზაინის, განვითარების და გავრცელების მეშვეობით. ამ აქტივობას შეუძლია შეამციროს კომპანიის ფინანსური, ოპერატიული და რეპუტაციული რისკები; ხარჯების შემცირება გაზრდილი ეფექტურობით; ახალი ბიზნეს შესაძლებლობების შექმნა; ინვესტიციების მოზიდვა; ამასთან, მარეგულირებლები ბევრ რეგიონში მიმართავენ უფრო ძლიერ კონტროლის მექანიზმებს გარემოსდაცვითი საქმიანობის კუთხით და სავარაუდოდ გარემოსდაცვითი ანგარიშგება მთელს მსოფლიოში მრავალი კომპანიისთვის სავალდებულო გახდება.

გარემოსდაცვითი კითხვები დაყოფილია ორ ნაწილად: (1) ძირითადი კითხვები, ყველა კომპანიისთვის და (2) დარგის სპეციფიკური კითხვები, მხოლოდ კონკრეტულ დარგში მოქმედი კომპანიებისთვის.

ყველა კომპანიამ უნდა უპასუხოს ძირითად გარემოსდაცვით კითხვებს, რომლებიც დაკავშირებულია ვალდებულებებთან, პრევენციასთან, შესრულებასთან, რეაგირებასა და ანგარიშგებასთან. შესრულების შესაფასებლად, ყველა კომპანიისთვის დასმული კითხვები ეხება კლიმატის დაცვის ზომებს, ენერგიისა და რესურსების გამოყენებასა და ტექნოლოგიას. ეს საკითხები ინტერდისციპლინური ხასიათისაა და ზოგადად ესადაგება ყველა ბიზნესს. დამატებითი სპეციფიკურად თემატური კითხვები მიზნად ისახავს კომპანიის მუშაობის შეფასებას გარემოსდაცვით თემებზე, რომლებიც მნიშვნელოვანია კომპანიების კონკრეტული ქვეჯგუფისთვის. ეს საკითხები ეხება წყლის რესურსებს; ტყეებს; ბიომრავალფეროვნებასა და მიწათსარგებლობას; ჰაერის დაბინძურებასა და ნარჩენებს.

კითხვა	დასაბუთება და დაანგარიშების სახელმძღვანელო	დაკავშირებული ანგარიშგების სტანდარტები	შესაბამისობა გაეროს გლობალური შეთანხმების ათ პრინციპთან	შესაბამისობა მდგრადი განვითარების მიზნებთან

E1: პოლიტიკის გატარების ვალდებულება	„პოლიტიკის განხორციელების ვალდებულება ეხება ნებისმიერ ერთ ან მეტ საჯარო განცხადებას კომპანიის პასუხისმგებლობის, ვალდებულებების ან მოლოდინების შესახებ, შრომითი უფლებების პატივისცემასთან დაკავშირებით მის საქმიანობასა და საქმიან ურთიერთობებში. (...) ვალდებულება შეიძლება იყოს ერთი, დამოუკიდებელი საჯარო პოლიტიკა შრომის უფლებების პატივისცემასთან დაკავშირებით, ან შეტანილი იყოს უფრო კომპლექსურ დოკუმენტში, როგორიცაა ეთიკის კოდექსი, ან ბიზნესის პრინციპები. (...) პოლიტიკის განხორციელების ვალდებულების მიზანია განმარტოს, თუ როგორ აღიქვამს კომპანია შრომის უფლებების პატივისცემის პასუხისმგებლობას და როგორ აფიქსირებს შედეგად წარმოქმნილ მოლოდინებს სამუშაო ძალის, ბიზნეს პარტნიორების და ბიზნეს ოპერაციებთან, პროდუქტებთან და მომსახურებასთან უშუალოდ დაკავშირებული სხვა სუბიექტების მიმართ. ” წყარო: ადაპტირებულია UNGP ანგარიშგების ჩარჩოდან. ორგანიზაციამ უნდა აირჩიოს პასუხი „არ გვაქვს პოლიტიკა და მისი შემუშავების გეგმები“, თუ საკითხი კომპანიისთვის მნიშვნელოვანია, მაგრამ პოლიტიკა ჯერ არ არის შემუშავებული. კომპანიებმა უნდა აირჩიონ პასუხი „არ გვაქვს პოლიტიკა, თუმცა ვგეგმავთ მის შემუშავებას მომდევნო ორი წლის განმავლობაში“, თუ საკითხი ფიქსირდება როგორც პრობლემური სფერო, რომელიც მნიშვნელოვანია უმეტესად უახლოეს მომავალში. არ საჭიროებს ორგანიზაციის მიერ პოლიტიკის შემუშავებას ან განხორციელებას. თუ კომპანია აირჩევს პასუხს „დიახ, უფრო ფართო პოლიტიკის ნაწილია, ან შემუშავებულია როგორც დამოუკიდებელი პოლიტიკა“, ორგანიზაციამ პასუხი უნდა გასცეს E1.1 კითხვას, რათა მოგვაწოდოს დამატებითი დეტალები პოლიტიკის შესახებ და მიუთითოს პოლიტიკის ბოლო განახლების თარიღი. თუ კომპანიას აქვს პოლიტიკის განხორციელების ვალდებულება, უნდა დაერთოს ბმული ან სხვა დამხმარე დოკუმენტაცია, ხოლო თუ არ აქვს, უნდა მოგვაწოდოს დამატებითი ინფორმაცია. ორგანიზაციას ასევე შეუძლია აირჩიოს პასუხი „არ გამოიყენება“, თუ თემა არ არის ბიზნესისთვის მნიშვნელოვანი. მაგალითად, „წყალი“ შეიძლება არ იყოს მნიშვნელოვანი საკითხი საბანკო სექტორში. ამ პასუხის არჩევისას, კომპანიამ უნდა მოგვაწოდოს დამატებითი ინფორმაცია.	CDP C4.1 (2022); GRI დოკუმენტი 3-3-c (2021) საკითხები: GRI 303 (2018), GRI 304 (2016), GRI 305 (2016), GRI 306 (2020), GRI 302 (2016)	პრინციპი 7 პრინციპი 8	1.5, 2.1, 2.3, 2.4, 3.2, 3.4, 3.8, 3.9, 6.1, 6.3, 6.4, 6.5, 6.6, 7.1, 7.2, 7.3, 8.4, 9.4, 9.5, 11.3, 11.5, 12.1, 12.2, 12.3, 12.4, 12.5, 12.6, 13.1, 13.2, 13.3, 13.a, 13.b, 14.1, 14.2, 14.3, 15.1, 15.2, 15.3, 15.4, 15.5, 15.a, 15.b

კითხვა	დასაბუთება და დაანგარიშების სახელმძღვანელო	დაკავშირებული ანგარიშგების სტანდარტები	შესაბამისობა გაეროს გლობალური შეთანხმების ათ პრინციპთან	შესაბამისობა მდგრადი განვითარების მიზნებთან
E1.1: პოლიტიკის დეტალები	„როგორც შრომითი უფლებების პატივისცემის პასუხისმგებლობის საფუძველი, ბიზნეს საწარმოებმა უნდა დააფიქსირონ ამ პასუხისმგებლობის შესრულების ვალდებულება პოლიტიკის შესახებ განცხადების მეშვეობით, რომელიც: (ა) დამტკიცებულია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ; (ბ) გაცხადებულია შესაბამის შიდა ან/და გარე დონეებზე; (გ) ადგენს საწარმოს შრომითი უფლებების მოლოდინებს ბიზნეს პარტნიორების და სხვა მხარეების მიმართ, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებული არიან მის ოპერაციებთან, პროდუქტებთან, ან მომსახურებებთან; (დ)საჯაროდ ხელმისაწვდომია და ეცნობება შიდა და გარე პერსონალს, ბიზნეს პარტნიორებს და სხვა შესაბამის მხარეებს; (ე) აისახება საოპერაციო პოლიტიკასა და პროცედურებში, მთელ საწარმოში დასანერგად.“ წყარო: გაეროს ბიზნესის და ადამიანის უფლებების სახელმძღვანელო პრინციპები კითხვის მიზანია, სტრუქტურირებულად და გამჭვირვალედ, მეტი დეტალი წარმოაჩინოს ორგანიზაციის გარემოსდაცვითი პოლიტიკის ბუნების შესახებ საერთაშორისო სტანდარტები შეიძლება მოიცავდეს ავტორიტეტულ სამთავრობათაშორისო დოკუმენტებს, რომლებიც მოხსენიებულია ვალდებულებაში, მაგ. მეცნიერებაზე დაფუძნებული მიზნების ინიციატივა Net-Zero სტანდარტი, რომელიც შეესაბამება პარიზის შეთანხმებით დადგენილ 1.5C მიზნებს, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის სტანდარტებს (ჰაერის ხარისხი და ა.შ.), ISO სტანდარტებს ISO 14000 ჯგუფში, IUCN ბიომრავალფეროვნების სტანდარტებს, რიოს დეკლარაციას გარემოს და განვითარების შესახებ, სტოკჰოლმის დეკლარაცია და სამოქმედო გეგმა ადამიანის გარემოსთვის, გაეროს გლობალური შეთანხმების მდგრადი ოკეანის პრინციპები, ელენ მაკარტურის ფონდის გლობალური ვალდებულება ახალ პლასტმასის მასალებზე და სხვა.	CDP C4.1 (2022); GRI დოკუმენტები 2-23-c, 2-23-d, 2-23-e (2021)	პრინციპი 7 პრინციპი 8	1.5, 2.1, 2.3, 2.4, 3.2, 3.4, 3.8, 3.9, 6.1, 6.3, 6.4, 6.5, 6.6, 7.1, 7.2, 7.3, 8.4, 9.4, 11.3, 11.5, 12.1, 12.2, 12.3, 12.4, 12.5, 12.6, 13.1, 13.2, 13.3, 13.a, 13.b, 14.1, 14.2, 14.3, 15.1, 15.2, 15.3, 15.4, 15.5, 15.a, 15.b
E2: დაინტერესებული მხარეების ჩართულობა	დაინტერესებული მხარეების ჩართულობა აუმჯობესებს გარემოსდაცვითი საკითხების გადაწყვეტის შედეგებს, უფრო ფართო პერსპექტივების ჩართვით და წარმოადგენს კომპლექსური შემოწმების და რისკის შეფასების პროცესების ძირითად ნაწილს. წყარო: ადაპტირებულია გაეროს ბიზნესის და ადამიანის უფლებების სახელმძღვანელო პრინციპებიდან. ორგანიზაციები უნდა ეცადონ გააცნობიერონ კონკრეტული ზემოქმედება კონკრეტულ ადამიანებზე, ოპერაციების კონტექსტის გათვალისწინებით. როგორც წესი, ეს მოიცავს შრომითი უფლებების კონტექსტის შეფასებას, სადაც ეს შესაძლებელია; იდენტიფიცირება, თუ ვინ შეიძლება დაზარალდეს; შესაბამისი სტანდარტებისა და საკითხების კატეგორიების განსაზღვრა და პროგნოზირება, თუ როგორ შეიძლება მოცემულმა საქმიანობამ და მასთან დაკავშირებულმა საქმიანმა ურთიერთობებმა უარყოფითი გავლენა მოახდინოს შრომით უფლებებზე. ამ პროცესში, ბიზნეს საწარმოებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ კონკრეტულ ზემოქმედებას ინდივიდებზე იმ ჯგუფებიდან და მოსახლეობიდან, რომლებიც შეიძლება იყოს დაუცველობის ან მარგინალიზაციის მაღალი რისკის ქვეშ და მხედველობაში უნდა მიიღონ განსხვავებული რისკები, რომელთა საფრთხეც შეიძლება შეექმნათ ქალებს და მამაკაცებს.			

E2: დაინტერესებული მხარეების ჩართულობა	დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფებთან ურთიერთობა შესაძლებელია უშუალოდ დაინტერესებული ჯგუფის წევრებთან - თანამშრომლებთან, კონტრაქტით დაქირავებულებთან, მიწოდების ჯაჭვის მუშაკებთან, დაზარალებულ თემებთან და მომხმარებლებთან - ან მათი კანონიერი წარმომადგენლების მეშვეობით, მაგ. პროფკავშირები, თემის ლიდერები და სხვ. ზემოქმედების ქვეშ მყოფ დაინტერესებულ მხარეებში შეიძლება შედიოდნენ შიდა დაინტერესებული მხარეები (მაგ., თანამშრომლები და კონტრაქტით დაქირავებულები), ასევე გარე დაინტერესებული მხარეები (მაგ., მიწოდების ჯაჭვის მუშაკები, თემები, პროდუქტის საბოლოო მომხმარებლები). დამატებითი განმარტებისთვის, იხილეთ „ზემოქმედების ქვეშ მყოფი დაინტერესებული მხარეების“ განმარტება ტერმინოლოგიაში ან UNGP-ს ანგარიშგების ჩარჩო დოკუმენტის 59-ე გვერდი, რომელიც დაკავშირებულია ზემოქმედების ქვეშ მყოფი დაინტერესებული მხარეების და ლეგიტიმური წარმომადგენლების კონცეფციასთან. კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებით „თანამშრომლობა რისკების/ზემოქმედების პრევენციის/შემცირების საკითხში“ მაგალითები შეიძლება მოიცავდეს შემდეგს: ▪ საზოგადოებრივ ჯგუფებთან მუშაობა ადაპტაციის ზომების და პროექტების პრიორიტეტების განსაზღვრისთვის. ▪ საზოგადოებრივ ჯგუფებთან მუშაობა კომპანიის ღირებულებათა ჯაჭვის მასშტაბით, მდგრადობის ხელშესაწყობად. ▪ ადგილობრივ ხელისუფლებასთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან მუშაობა პროცესებში, როგორიცაა საზღვაო სივრცითი დაგეგმარება. ამ შემთხვევაში სახელშეკრულებო ვალდებულება არ ნიშნავს დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობას. მაგალითად, თუ კომპანია მოითხოვს ყველა მომწოდებლისგან, მიაწოდონ სატყეო სამეურვეო საბჭოს (FSC) და ტყის სერტიფიცირების დამოწმების პროგრამით (PEFC) სერტიფიცირებული ხის მასალა (მიუხედავად იმისა, რომ ეს თავისთავად დადებითი ფაქტია), იგი არ განიხილება დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობად, თუმცა ასეთი დეტალი შეიძლება იყოს მითითებული დამატებითი ინფორმაციისთვის განკუთვნილ ველში.შეუძლიათ აირჩიონ პასუხი „ამ საკითხში ჩართულობა არ არის“ იმ შემთხვევებში, როდესაც გარემოსდაცვითი თემა არ არის არსებითი ორგანიზაციისთვის და შეუძლიათ წარმოადგინონ დამატებითი ინფორმაცია. კომპანიებს ასევე შეუძლიათ აირჩიონ პასუხი „სხვა“ და წარმოადგინონ დამატებითი ინფორმაცია.	GRI დოკუმენტები 3-1-b and 3-3-f (2021) საკითხები: GRI 303(2018), GRI 304 (2016), GRI 305 (2016), GRI 306 (2020), GRI 302 (2016), and GRI Disclosure201-2-a-iv (2016)	პრინციპი 7 პრინციპი 8	1.5, 2.1, 2.3, 2.4, 3.2, 3.4, 3.8, 3.9, 6.1, 6.3, 6.4, 6.5, 6.6, 7.1, 7.2, 7.3, 8.4, 9.4, 11.3, 11.5, 12.1, 12.2, 12.3, 12.4, 12.5, 12.6, 13.1, 13.2, 13.3, 13.a, 13.b, 14.1, 14.2, 14.3, 15.1, 15.2, 15.3, 15.4, 15.5, 15.a, 15.b

კითხვა	დასაბუთება და დაანგარიშების სახელმძღვანელო	დაკავშირებული ანგარიშგების სტანდარტები	შესაბამისობა გაეროს გლობალური შეთანხმების ათ პრინციპთან	შესაბამისობა მდგრადი განვითარების მიზნებთან
E3: პრევენცია / შემცირება	პოლიტიკის შემუშავების და რისკების და ზემოქმედების სათანადოდ შეფასების შემდეგ, კომპანიამ უნდა „გადადგას აუცილებელი ნაბიჯები ზემოქმედების შეჩერების ან პრევენციისთვის“. თუ ბიზნეს საწარმოს აქვს უარყოფითი გავლენის პრევენციის ან შემსუბუქების ბერკეტები, მან უნდა გამოიყენოს ეს ბერკეტები. წყარო: ადაპტირებულია გაეროს ბიზნესის და ადამიანის უფლებების სახელმძღვანელო პრინციპებიდან. ამ შემთხვევაში, „შექმნილი შესაძლებლობები შესაბამის ურთიერთობებში“ ეხება დაინტერესებულ მხარეებთან მუშაობას ზემოქმედების პრევენციის ან შემცირებისთვის და შეიძლება მოიცავდეს ახალ ან გაზრდილ საკომუნიკაციო არხებს კომპანიის მისიასთან ან პოლიტიკასთან დასაკავშირებლად, შესაბამისი პრაქტიკის ან პროცედურების ტრენინგის გასაუმჯობესებლად, ან ანგარიშგების მექანიზმების შესამუშავებლად, ღირებულებათა ჯაჭვში გამჭვირვალობის გაზრდისთვის. „ჩატარდა აუდიტის პროცესი“ შეიძლება განისაზღვროს, როგორც ადგილზე გადამოწმება, მაგალითად პროცესის ან ხარისხის კონტროლის სისტემის ინსპექტირება/შემოწმება, რათა დადგინდეს მოთხოვნებთან შესაბამისობა, როგორც წესი დამოუკიდებელი მხარის მიერ. „ერთობლივი ქმედება მეწყვილეებთან ან სხვა დაინტერესებულ მხარეებთან პრობლემის გადასაწყვეტად“ შეიძლება მოიცავდეს თანამშრომლობას დარგის მასშტაბით ინიციატივებზე, რათა შემცირდეს რისკები და ზემოქმედება შრომით უფლებებზე. „სამთავრობო ან მარეგულირებელ უწყებებთან თანამშრომლობა“ შეიძლება მოიცავდეს პოლიტიკის პირდაპირ გავლენას, მაგალითად: ჩვენების მიცემა, დადასტურება, ან მონაწილეობა კომიტეტებში, საჯარო-კერძო პარტნიორობაში ან/და ვაჭრობის, ტექნოლოგიების და სხვა ეროვნულ ან საერთაშორისო ფორუმებზე. ამ კითხვაში ორგანიზაციას შეუძლია აირჩიოს პასუხები და ასახოს არსებული შესაძლებლობების განვითარება და სამოქმედო გეგმები. ორგანიზაციებს შეუძლიათ მონიშნონ „სხვა“ და წარმოადგინონ დამატებითი ინფორმაცია.	GRI დოკუმენტი3-3-d (2021) საკითხები GRI303 (2018), GRI 304 (2016), GRI 305 (2016), GRI 306 (2020), GRI 302 (2016), and GRI Disclosure 201-2-iv (2016)	პრინციპი 7 პრინციპი 8	1.5, 2.1, 2.3, 2.4, 3.2, 3.4, 3.8, 3.9, 6.1, 6.3, 6.4, 6.5, 6.6, 7.1, 7.2, 7.3, 8.4, 9.4, 11.3, 11.5, 12.1, 12.2, 12.3, 12.4, 12.5, 12.6, 13.1, 13.2, 13.3, 13.a, 13.b, 14.1, 14.2, 14.3, 15.1, 15.2, 15.3, 15.4, 15.5, 15.a, 15.b

კითხვა	დასაბუთება და დაანგარიშების სახელმძღვანელო	დაკავშირებული ანგარიშგების სტანდარტები	შესაბამისობა გაეროს გლობალური შეთანხმების ათ პრინციპთან	შესაბამისობა მდგრადი განვითარების მიზნებთან
E4: პრევენციის / შემცირების პროგრესის შეფასება	„ორგანიზაციისთვის აუცილებელია მისი ქმედებების ეფექტურობის მონიტორინგი, რათა დაადგინოს, ოპტიმალურად ხორციელდება თუ არა მისი პოლიტიკა და პროცესები. ასევე აუცილებელია ვიცოდეთ, ეფექტური რეაგირება მოახდინა თუ არა ზემოქმედებაზე და აუმჯობესებს მუდმივად.” წყარო: GRI-ის დოკუმენტი 3-3-e ბიზნესის მიერ განხორციელებული ქმედებების პროგრესის მონიტორინგისას შრომითი უფლებების ზემოქმედების შესამცირებლად საკუთარ ოპერაციებში და საქმიან ურთიერთობებში, კომპანიები ხშირად აწესებენ შესრულების ძირითად ინდიკატორებს, რომლებიც ორიენტირებულია უფრო ადვილად მოსაპოვებელ მონაცემებზე, როგორიცაა: ▪ შემოსავალი (მაგ. რესურსების და ფინანსების განაწილება); ▪ პროგრამული აქტივობები (მაგ. შრომითი უფლებების შესახებ ჩატარებული ტრენინგების რაოდენობა, ჩატარებული შეფასებები და აუდიტები); ან ▪ ძირითადი შედეგები (მაგ. აუდიტის შეუსაბამობები). ამ შემთხვევაში, გარე პროგრამები უკავშირდება მიზნებს, რომლებიც ოფიციალურად დასახულია რამდენიმე დაინტერესებული მხარის ინიციატივებიდან ან სხვა მიზნებიდან დადგენილი მეთოდოლოგიებით, მხარის მიერ გამოვლენილ ან დასახულ გარკვეულ საკითხებზე (მაგ. გაერო, მთავრობები, არასამთავრობო ორგანიზაციები, ბიზნეს ასოციაციები). შიდა პროგრამები ეხება კომპანიის მიერ თვითდასახულ მიზნებს, რომლებიც ოფიციალურად არ არის დაკავშირებული, ან არ არის დადასტურებული გარე ინიციატივებით. თუ კომპანია უპასუხებს, რომ მან დააწესა წლიური დროში განსაზღვრული მიზნები, მას დაესმება ორი დამატებითი კითხვა: ერთი მიზნის სახეობის შესახებ დამატებითი დეტალების მისაწოდებლად (E4.1) და მეორე იმის უკეთ დასადგენად, თუ როგორ ხდება პროგრესის მონიტორინგი (E4.2). ორგანიზაციებს შეუძლიათ აირჩიონ პასუხი „სხვა“ და წარმოადგინონ დამატებითი ინფორმაცია.	GRI დოკუმენტი 3-3-e (2021) საკითხები GRI303 (2018), GRI 304 (2016), GRI 305 (2016), GRI 306 (2020), GRI 302 (2016), and GRI Disclosure 201-2-a-iv (2016)	პრინციპი 7 პრინციპი 8	1.5, 2.1, 2.3, 2.4, 3.2, 3.4, 3.8, 3.9, 6.1, 6.3, 6.4, 6.5, 6.6, 7.1, 7.2, 7.3, 8.4, 9.4, 11.3, 11.5, 12.1, 12.2, 12.3, 12.4, 12.5, 12.6, 13.1, 13.2, 13.3, 13.a, 13.b, 14.1, 14.2, 14.3, 15.1, 15.2, 15.3, 15.4, 15.5, 15.a, 15.b
E4.1: ამოცანები და მიზნები	გარემოსდაცვითი მიზნების დასახვა შეიძლება დაეხმაროს კომპანიას პროგრესის დემონსტრირებაში, სტრუქტურირებული და ამბიციური ფორმით. ზოგიერთი გარემოსდაცვითი თემისთვის (მაგ., კლიმატის ცვლილება), დადგენილია ფართოდ მიღებული ჩარჩოები, რომელთა გამოყენება შესაძლებელია მიზნების და ამოცანების სტრუქტურირებისთვის (მაგ. კლიმატთან დაკავშირებული ფინანსური ანგარიშგების სამუშაო ჯგუფი, ან კვლევაზე დაფუძნებული მიზნების ინიციატივა). ეფექტური მიზნის მაგალითია ემისიების შემცირების წლიური მიზნის დადგენა, კვლევებზე დაფუძნებული მიზნების ინიციატივის შესაბამისად. ამ ნაწილში მონაწილე კომპანიებს შესაძლებლობა ეძლევათ მოკლედ (200 სიტყვაზე ნაკლები) განმარტონ გარემოსდაცვითი მიზნების სახეობები, რომლებიც დასახეს მათი ორგანიზაციისთვის შესაბამისი დეტალურობით.	CDP F6.1 2021; GRI ინფორმაცია 3-3-e (2021) საკითხები GRI303 (2018), GRI 304 (2016), GRI 305 (2016), GRI 306 (2020), GRI 302 (2016), and GRI Disclosure 201-2-a-iv (2016)	პრინციპი 7 პრინციპი 8	1.5, 2.1, 2.3, 2.4, 3.2, 3.4, 3.8, 3.9, 6.1, 6.3, 6.4, 6.5, 6.6, 7.1, 7.2, 7.3, 8.4, 9.4, 11.3, 11.5, 12.1, 12.2, 12.3, 12.4, 12.5, 12.6, 13.1, 13.2, 13.3, 13.a, 13.b, 14.1, 14.2, 14.3, 15.1, 15.2, 15.3, 15.4, 15.5, 15.a, 15.b

E4.2: მიზნების მიღწევის პროგრესის შეფასება	მეტი ეფექტურობისთვის, მიზნები და ამოცანები უნდა დაწყვილდეს პროგრესის მონიტორინგის მეთოდთან. ამ ნაწილში მოთხოვნილია ძირითადი დეტალები, რათა უკეთ დავადგინოთ, თუ როგორ ხდება მიზნების და ამოცანების მონიტორინგი. ამ კითხვაზე, ორგანიზაციას შეუძლია გასცეს სპეციფიური პასუხები, ან აირჩიოს პასუხი „სხვა“. ამ შემთხვევაში, ორგანიზაციამ უნდა წარმოადგინოს დამატებითი ინფორმაცია.	GRI ინფორმაცია 3-3-e (2021) საკითხები GRI303 (2018), GRI 304 (2016), GRI 305 (2016), GRI 306 (2020), GRI 302 (2016), and GRI Disclosure 201-2-a-iv(2016)	პრინციპი 7 პრინციპი 8	1.5, 2.1, 2.3, 2.4, 3.2, 3.4, 3.8, 3.9, 6.1, 6.3, 6.4, 6.5, 6.6, 7.1, 7.2, 7.3, 8.4, 9.4, 11.3, 11.5, 12.1, 12.2, 12.3, 12.4, 12.5, 12.6, 13.1, 13.2, 13.3, 13.a, 13.b, 14.1, 14.2, 14.3, 15.1, 15.2, 15.3, 15.4, 15.5, 15.a, 15.b
E5: გამოსწორება	„საუკეთესო პოლიტიკის და პრაქტიკის პირობებშიც კი, ბიზნეს საწარმომ შეიძლება გამოიწვიოს ან ხელი შეუწყოს არასასურველ ზემოქმედებას გარემოზე ან სოციალურ საკითხებზე, რომლის თავიდან აცილებაც ვერ განჭვრიტა, ან ვერ შეძლო. „არასასურველ ზემოქმედებისას, რომელიც არ გამოუწვევია და არ შეუწყვია ხელი ბიზნეს საწარმოს, მაგრამ რომელიც პირდაპირ კავშირშია მის ოპერაციებთან, პროდუქტებთან ან სერვისებთან, [შრომითი] უფლებების პატივისცემის ვალდებულება არ მოითხოვს, რომ საწარმომ თავად უზრუნველყოს გამოსწორება, თუმცა შეიძლება თავისი როლი ითამაშოს. ზოგიერთ შემთხვევაში, განსაკუთრებით სავარაუდო დარღვევისას, როგორც წესი საჭიროა თანამშრომლობას სასამართლო უწყებებთან. „ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ შრომითი უფლებების პატივისცემაზე პასუხისმგებლობა განსხვავდება სამართლებრივი პასუხისმგებლობისგან, რომელიც მეტწილად რეგულირდება ეროვნული კანონმდებლობით. მაშინაც კი, თუ კანონით არ არის სავალდებულო, კომპანიებს მაინც მოეთხოვებათ, რომ UNGP-ის ფარგლებში უზრუნველყონ ან ითანამშრომლონ გამოსწორების პროცესში, მათი პასუხისმგებლობის ნაწილის სახით, პატივი სცენ [შრომით] უფლებებს. რეაგირების ზომების მიზანია შრომითი უფლებების ნებისმიერი დარღვევის აღმოფხვრა. მიზანი უნდა იყოს დაზარალებული პირების და თემების მდგომარეობის აღდგენა იმ სიტუაციაში, რომელშიც ისინი იქნებოდნენ ზიანის არარსებობისას – ან მიახლოებულ სიტუაციაში.” „აღდგენის საშუალებებში შეიძლება შედიოდეს რესტიტუცია, კომპენსაცია, რეაბილიტაცია, დაკმაყოფილება, განმეორების პრევენცია“. წყარო: ადაპტირებულია გაეროს ბიზნესის და ადამიანის უფლებების სახელმძღვანელო პრინციპებიდან. GRI განსაზღვრავს „ზემოქმედებას“, როგორც „ეფექტს, რომელსაც ორგანიზაცია ახდენს, ან შესაძლოა მოახდინოს ეკონომიკაზე, გარემოზე და ადამიანებზე, მათ შორის ადამიანის უფლებებზე, რაც თავის მხრივ შეიძლება მიუთითებდეს მის წვლილზე (ნეგატიურზე ან პოზიტიურზე) მდგრად განვითარებაში. ზემოქმედება შეიძლება იყოს ფაქტობრივი ან პოტენციური, ნეგატიური ან პოზიტიური, მოკლევადიანი ან გრძელვადიანი, დაგეგმილი ან გაუთვალისწინებელი და შექცევადი ან შეუქცევადი. ამ შემთხვევაში, ნახშირბადის კომპენსაცია განიხილება, როგორც "გამოსავლის საშუალება". იმის გამო, რომ კომპენსაცია ხშირად ხდება ნახშირბადის ემისიების ადგილიდან შორს და არ ამცირებს სხვა დამაბინძურებლების ზეგავლენას, ის განიხილება როგორც კლიმატის ცვლილების და არა ჰაერის დაბინძურების კომპენსირების საშუალება. საკონსულტაციო კომპანიებთან მიმართებაში, დაცვის საშუალებების უზრუნველყოფა ვრცელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ორგანიზაციამ თავად გამოიწვია ან ხელი შეუწყო გარემოს საკითხებთან დაკავშირებულ ნეგატიურ ზემოქმედებას, და არა იმ შემთხვევაში, თუ კომპანია ურჩევს			

	კლიენტებს, როგორ მოაგვარონ საკუთარი უარყოფითი ზემოქმედება. კომპანიას შეუძლია აირჩიოს ოფცია „არ გამჟღავნდეს“, მაგალითად, თუ არსებობს სამართლებრივი სენსიტიური საკითხები კონკრეტული თემის გამჟღავნების მხრივ. თუ კომპანია გადაწყვეტს არ გაამჟღავნოს ინფორმაცია, უნდა წარმოადგინოს დამატებითი ინფორმაცია. თუ არ არის გამოწვეული ნეგატიური ზემოქმედება (და შესაბამისად არ არის საჭირო გამოსწორება), კომპანიას შეუძლია აირჩიოს „ნეგატიური ზემოქმედება არ გამოვლენილა“. თუ არასასურველ ზემოქმედებას არ ჰქონია ადგილი, მაგრამ კომპანიას გააჩნია სათანადო პროცედურა და სურს დაურთოს ეს ინფორმაცია, კომპანიას შეუძლია, გამოიყენოს მოცემული გრაფა დამატებითი ინფორმაციისთვის, რათა განმარტოს, რომ არსებობს პროცედურები ზემოქმედების აღმოსაფხვრელად, მიუხედავად იმისა, რომ მათი გამოყენება არ არის საჭირო.			

	„საუკეთესო პოლიტიკის და პრაქტიკის პირობებშიც კი, ბიზნეს საწარმომ შეიძლება გამოიწვიოს ან ხელი შეუწყოს არასასურველ ზემოქმედებას გარემოზე ან სოციალურ საკითხებზე, რომლის თავიდან აცილებაც ვერ განჭვრიტა, ან ვერ შეძლო. „არასასურველ ზემოქმედებისას, რომელიც არ გამოუწვევია და არ შეუწყვია ხელი ბიზნეს საწარმოს, მაგრამ რომელიც პირდაპირ კავშირშია მის ოპერაციებთან, პროდუქტებთან ან სერვისებთან, [შრომითი] უფლებების პატივისცემის ვალდებულება არ მოითხოვს, რომ საწარმომ თავად უზრუნველყოს გამოსწორება, თუმცა შეიძლება თავისი როლი ითამაშოს. ზოგიერთ შემთხვევაში, განსაკუთრებით სავარაუდო დარღვევისას, როგორც წესი საჭიროა თანამშრომლობას სასამართლო უწყებებთან. „ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ შრომითი უფლებების პატივისცემაზე პასუხისმგებლობა განსხვავდება სამართლებრივი პასუხისმგებლობისგან, რომელიც მეტწილად რეგულირდება ეროვნული კანონმდებლობით. მაშინაც კი, თუ კანონით არ არის სავალდებულო, კომპანიებს მაინც მოეთხოვებათ, რომ UNGP-ის ფარგლებში უზრუნველყონ ან ითანამშრომლონ გამოსწორების პროცესში, მათი პასუხისმგებლობის ნაწილის სახით, პატივი სცენ [შრომით] უფლებებს. რეაგირების ზომების მიზანია შრომითი უფლებების ნებისმიერი დარღვევის აღმოფხვრა. მიზანი უნდა იყოს დაზარალებული პირების და თემების მდგომარეობის აღდგენა იმ სიტუაციაში, რომელშიც ისინი იქნებოდნენ ზიანის არარსებობისას – ან მიახლოებულ სიტუაციაში.” „აღდგენის საშუალებებში შეიძლება შედიოდეს რესტიტუცია, კომპენსაცია, რეაბილიტაცია, დაკმაყოფილება, განმეორების პრევენცია“. წყარო: ადაპტირებულია გაეროს ბიზნესის და ადამიანის უფლებების სახელმძღვანელო პრინციპებიდან. GRI განსაზღვრავს „ზემოქმედებას“, როგორც „ეფექტს, რომელსაც ორგანიზაცია ახდენს, ან შესაძლოა მოახდინოს ეკონომიკაზე, გარემოზე და ადამიანებზე, მათ შორის ადამიანის უფლებებზე, რაც თავის მხრივ შეიძლება მიუთითებდეს მის წვლილზე (ნეგატიურზე ან პოზიტიურზე) მდგრად განვითარებაში. ზემოქმედება შეიძლება იყოს ფაქტობრივი ან პოტენციური, ნეგატიური ან პოზიტიური, მოკლევადიანი ან გრძელვადიანი, დაგეგმილი ან გაუთვალისწინებელი და შექცევადი ან შეუქცევადი. კომპანიას შეუძლია აირჩიოს ოფცია „არ გამჟღავნდეს“, მაგალითად, თუ არსებობს სამართლებრივი სენსიტიური საკითხები კონკრეტული თემის გამჟღავნების მხრივ. თუ კომპანია გადაწყვეტს არ გაამჟღავნოს ინფორმაცია, უნდა წარმოადგინოს დამატებითი ინფორმაცია. თუ არ არის გამოწვეული ნეგატიური ზემოქმედება (და შესაბამისად არ არის საჭირო გამოსწორება), კომპანიას შეუძლია აირჩიოს „ნეგატიური ზემოქმედება არ გამოვლენილა“..	GRI ინფორმაცია 3-3-d-ii (2021) საკითხები GRI303 (2018), GRI 304 (2016), GRI 305 (2016), GRI 306 (2020), GRI 302 (2016), and GRI Disclosure201-2-a-iv(2016)	პრინციპი 7 პრინციპი 8	1.5, 2.1, 2.3, 2.4, 3.2, 3.4, 3.8, 3.9, 6.1, 6.3, 6.4, 6.5, 6.6, 7.1, 7.2, 7.3, 8.4, 9.4, 11.3, 11.5, 12.1, 12.2, 12.3, 12.4, 12.5, 12.6, 13.1, 13.2, 13.3, 13.a, 13.b, 14.1, 14.2, 14.3, 15.1, 15.2, 15.3, 15.4, 15.5, 15.a, 15.b

E6: სათბურის აირების ემისია (პირველი და მე-2 დონე)	„[პარიზის შეთანხმების] მე-2 მუხლში განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნის მისაღწევად, მხარეების მიზანია რაც შეიძლება მალე მიაღწიონ სათბურის აირების ემისიის გლობალურ პიკს, იმის გათვალისწინებით, რომ პიკს უფრო მეტი დრო დასჭირდება განვითარებად ქვეყნებში და შემდგომ მიიღონ შემცირების სწრაფი ზომები საუკეთესო მეთოდების გამოყენებით, რათა მიაღწიონ ბალანსს ანთროპოგენურ ემისიებს შორის და სათბურის აირების აღმოფხვრას მიმდინარე საუკუნის მეორე ნახევარში, თანასწორობის პრინციპით, მდგრადი განვითარების და სიღარიბის აღმოფხვრის ზომების კონტექსტში. ემისიების მონიტორინგი და ანგარიშგება ხელს უწყობს ემისიების შემცირების ზომების დაჩქარებას გლობალური მიზნების შესაბამისად და შეიძლება შემდგომში დაეხმაროს ბიზნესს რისკების და შესაძლებლობების მართვაში. წყარო: პარიზის შეთანხმება (UNFCCC) მე-2 დონის ემისიები შეიძლება იყოს დაფუძნებული ბაზარზე ან ადგილმდებარეობაზე და კომპანიებმა უნდა აღნიშნონ, თუ რომელი მეთოდი იქნა გამოყენებული დამატებითი ინფორმაციისთვის განკუთვნილ ველში. იდეალურ შემთხვევაში, ეს უნდა იყოს მეთოდი, რომელიც გამოიყენება კომპანიის მეცნიერული მიზნების მისაღწევად და/ან პროგრესის დასაფიქსირებლად. კომპანიებმა „პროგრესის კითხვარი“ უნდა შეავსონ უახლესი მონაცემებით, რომლებიც მოპოვებულია კითხვარის შევსებამდე თორმეტი თვის განმავლობაში (მაგ. მონაცემები, რომელიც მოიცავს 2023 წლის იანვრიდან 2023 წლის დეკემბრამდე პერიოდს, რაც გამოყენებული იქნება 2024 წლის კითხვარში). სათბურის აირების ემისიების გაზომვის მეთოდები იხილეთ სათბურის აირების პროტოკოლში. თუ სათბურის აირების გაზომილი ემისია მოიცავს დროის პერიოდს, რომელიც სრულად არ შეესაბამება თქვენი CoP-ის დანარჩენ ნაწილში დაფარულ პერიოდს, გთხოვთ, ეს აღნიშნოთ დამატებითი ინფორმაციისთვის განკუთვნილ ველში.	CDP C6.1 (2022), CDP C6.3 (2022), CDP C6.5 (2022); GRI ინფორმაცია 305-1, 305-2, 305-3 (2016); UNCTAD, ISAR B.3.1, UNCTAD, ISAR B.3.2;	პრინციპი 7 პრინციპი 8	1.5, 2.4, 11.3, 12.4, 13.1, 13.2, 13.3, 13.a, 13.b, 14.3
E7: სათბურის აირების ემისია (მე-3 დონე)	მე-3 დონის ემისიების მრავალფეროვანი ბუნების გამო, კომპანიებს შეიძლება გაუჭირდეთ ამ ემისიების ყოვლისმომცველი გაზომვა. თუმცა, ზემოქმედების ზუსტად შესაფასებლად, მნიშვნელოვანია, რომ კომპანიებმა გაითვალისწინონ ემისიები ღირებულების მთელს ჯაჭვში. ამ კითხვით მონაწილეებს მოეთხოვებათ, თავიანთი მე-3 დონის სათბურის აირების ემისიები (GHG) დააფიქსირონ CO2-ის ექვივალენტის ტონებში (tCO2e). სათბურის აირების ემისიების გაზომვის მეთოდოლოგია იხილეთ სათბურის აირების პროტოკოლში. თუ ორგანიზაცია ზომავს თავის მე-3 დონის ემისიებს, გაზომილი ემისიები მითითებულ ველში უნდა იყოს ნაჩვენები Co2-ის ეკვივალენტის (tCO2e) ტონებში. თუ სათბურის აირების გაზომილი ემისია მოიცავს დროის პერიოდს, რომელიც სრულად არ შეესაბამება თქვენი CoP-ის დანარჩენ ნაწილში დაფარულ პერიოდს, გთხოვთ, ეს აღნიშნოთ დამატებითი ინფორმაციისთვის განკუთვნილ ველში.	UNRISD Tier III; GRI Disclosure 305-3 (2016); CDP C6.5 (2022)	პრინციპი 7 პრინციპი 8	1.5, 2.4, 11.3, 12.4, 13.1, 13.2, 13.3, 13.a, 13.b, 14.3
E7.1: მე-3 დონის ემისიები	მე-3 დონის ემისიების ზუსტი გაზომვა შეიძლება რთული იყოს და არაერთი კომპანია ნაწილობრივ ემისიებს აფიქსირებს. ამ ნაწილის მიზანია დაფიქსირდეს დამატებითი დეტალები მე-3 დონის ემისიების შესახებ, რათა მონაცემები უფრო გამჭვირვალე და შედარებადი გახდეს. კითხვაში მოცემული ვარიანტები აღებულია უშუალოდ კლიმატის შესახებ ინფორმაციის პროექტიდან (CDP C6.5). თუ აირჩევა პასუხი „სხვა (აღმავალი)“ ან „სხვა (დაღმავალი)“, ორგანიზაცია ვალდებულია განმარტოს დამატებით.			

E8: კვლევის და განვითარების ინვესტირება ნახშირბადის დაბალი შემცველობის პროდუქტებში და მომსახურებებში	„რიოს დედამიწის სამიტის“ 21-ე დღის წესრიგის მიხედვით, „ახალი და ეფექტური ტექნოლოგიები მნიშნელოვანი იქნება შესაძლებლობების გასაზრდელად, განსაკუთრებით განვითარებადი ქვეყნების მდგრადი განვითარებისთვის, მსოფლიო ეკონომიკის მდგრადობის შესანარჩუნებლად, გარემოს დაცვის, სიღარიბის და ადამიანთა ტანჯვის შესამსუბუქებლად. ამ აქტივობებში აუცილებელია გამოყენებული ტექნოლოგიების გაუმჯობესება და საჭიროებისამებრ მათი ჩანაცვლება უფრო ხელმისაწვდომი და ეკოლოგიური ტექნოლოგიით“. ბიზნესი მთავარ როლს თამაშობს ახალი ტექნოლოგიების განვითარებასა და გავრცელებაში და ამ შეფასების მიზანია დადგინდეს კვლევის და განვითარების მასშტაბი ნახშირბადის დაბალი შემცველობის პროდუქტებსა და სერვისებში. ნახშირბადის დაბალი შემცველობის პროდუქტში ინვესტიციებზე მზარდი აქცენტის მიუხედავად, არ არსებობს ნახშირბადის დაბალი შემცველობის პროდუქტების/მომსახურების ზუსტი და ზოგადად მიღებული განმარტება. ის შეიძლება იყოს პროდუქტი ან მომსახურება, რომელიც იწვევს სათბურის აირების ემისიის აბსოლუტურ შემცირებას, ან აქტივობაში ნახშირბადის ინტენსივობის შემცირებას. იმის დასადგენად, არის თუ არა პროდუქტი ან მომსახურება დაბალი ნახშირბადის შემცველობის, CDP ხელს უწყობს არსებული ინდუსტრიის ტაქსონომიების და ჩარჩოების გამოყენებას, როგორიცაა კლიმატის ვალდებულებების ტაქსონომია, კლიმატის ცვლილებების გლობალური ინვესტორების კოალიციის კლიმატის ცვლილების რეესტრი და ევროკავშირის ეკოლოგიურად მდგრადი ეკონომიკური საქმიანობის ტაქსონომია. წყარო: CDP - მითითებები და კითხვარები. ამ მაჩვენებლის გამოსათვლელად: დაყავით ნახშირბადის დაბალი შემცველობის პროდუქტებზე/მომსახურებებზე გამოყოფილი კვლევის და განვითარების ბიუჯეტი საანგარიშო პერიოდის მთლიან შემოსავალზე და გამოხატეთ პროცენტულად. ნახშირბადის დაბალი შემცველობის პროდუქტები და სერვისები შეიძლება კვალიფიცირდეს შემდეგის შესაბამისად (არა მხოლოდ): ▪ ნახშირბადის დაბალი შემცველობის პროდუქტში ინვესტირების (LCI) რეესტრის ტაქსონომია ▪ კლიმატის შეთანხმებების ტაქსონომია ▪ ევროკავშირის ტაქსონომია ეკოლოგიურად მდგრადი ეკონომიკური საქმიანობისთვის ▪ აუცილებელი ემისიების პრობლემის გადაწყვეტა [ქიმიური სექტორი] ▪ ICT-ის ნახშირბადის შემცირების ზემოქმედების შეფასება ▪ შედარებითი ემისიების ზემოქმედების შეფასება და ანგარიშგება (WRI) ▪ მწვანე კავშირის პრინციპები (ICMA) ▪ ISO 14040/44 სტანდარტები [მხოლოდ ფინანსური მომსახურება] ▪ ენერგეტიკის საერთაშორისო საგენტოს ენერგეტიკული ტექნოლოგიების პერსპექტივების ანგარიში და სუფთა ენერგიის წყარო: CDP C4.5a ორგანიზაციებს შეუძლიათ აირჩიონ პასუხი „უცნობია“, თუ კვლევის და განვითარების ხარჯები ადვილად არ არის მისადაგებული ნახშირბადის დაბალი შემცველობის პროდუქტებსა და სერვისებთან. ამასთან, კომპანიებს შეუძლიათ აირჩიონ „არ გამოიყენება“. ამ შემთხვევაში, კომპანიებმა უნდა წარმოადგინონ ახსნა-განმარტება.	CDP C4.3c (2022), CDP C4.2b (2022); (ნაწილობრივ დაკავშირებულია) UNCTAD, ISAR A.3.3	პრინციპი 7 პრინციპი 8 პრინციპი 9	

E9: კლიმატთან ადაპტაცია	„ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში, IPCC-ს ანგარიშებში განხილული კლიმატის რისკი მუდმივად იზრდება შეშფოთების მიზეზების მზარდი სიგნალების გამო. IPCC-ის უახლესი შეფასების ანგარიშის დასკვნის მიხედვით, კლიმატის ცვლილების ზოგიერთი ზემოქმედება შეუქცევადია, თუნდაც ძალიან ამბიციური შემარბილებელი რეჟიმების პირობებში. ადაპტაციამ შეიძლება მნიშვნელოვნად შეამციროს დანაკარგები და ზიანი, განსაკუთრებით საუკუნის მეორე ნახევარში, როდესაც კლიმატის ზემოქმედება დაჩქარდება. წყარო: ადაპტაციის ხარვეზის ანგარიში 2021 | UNEP - გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამა „ადაპტაცია გულისხმობს ეკოლოგიურ, სოციალურ ან ეკონომიკურ სისტემებში ცვლილებებს, რეალურ ან მოსალოდნელ კლიმატურ სტიმულებზე და მათ ეფექტებსა თუ ზემოქმედებაზე მისადაგებით. ეს ეხება პროცესების, პრაქტიკის და სტრუქტურების ცვლილებებს პოტენციური ზიანის შესამცირებლად, ან კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული შესაძლებლობებით სარგებლობისთვის. წყარო: UNFCCC „კორპორაციული ადაპტაცია გულისხმობს ქმედებების ერთობლიობას, რომლებსაც კომპანიები განახორციელებენ რისკის ზემოქმედების დადგენისთვის, შესაძლებლობების იდენტიფიცირებისთვის და კლიმატის ცვლილებისადმი მდგრადობის გაძლიერებისთვის“. წყარო: გაეროს გლობალური შეთანხმება, კლიმატზე ზრუნვა ▪ უნდა აღინიშნოს, რომ არ არსებობს ადაპტაციის „ერთი უნივერსალური“ გადაწყვეტა და კომპანიებმა შესაძლოა უკვე განხორციელებული ქონდეთ აქტივობები, რომლებიც მოიცავს ადაპტაციას (მაგ., ბიზნესის უწყვეტობის დაგეგმვა, წყლის რესურსების და ენერგოეფექტურობის ღონისძიებები, დასახლებების წყალდიდობისგან დაცვა. ბიზნეს ოპერაციების ხელახალი დაგეგმვა და სხვ.). თუმცა, შესაძლოა, კომპანიებს მოუწიოთ შეცვალონ სტრატეგიები, თავიანთ სფეროებში არსებული კლიმატის რისკებთან გასამკლავებლად და შესამცირებლად. ორგანიზაციებმა უნდა აირჩიონ კლიმატის ადაპტაციასთან დაკავშირებული ყველა აქტივობა. ორგანიზაციებს ასევე შეუძლიათ აირჩიონ პასუხი „უცნობია“, თუ გაურკვეველია, თუ რომელი ქმედებები განხორციელდა კლიმატთან ადაპტაციის კუთხით.“	GRI ინფორმაცია 201-2-a-iv (2016)	პრინციპი 7 პრინციპი 8 პრინციპი 9	

E10: განახლებადი ენერგია	”კომერციული და სამრეწველო სექტორის კომპანიებზე მსოფლიოში ელექტროენერგიის მოხმარების დაახლოებით ნახევარი მოდის.” წყარო: RE100 ბიზნეს სუბიექტები შეიძლება წარმოადგენდნენ ძლიერ რგოლს, რომელიც მხარს უჭერს განახლებადი ენერგიის დანერგვას. ეს მაჩვენებელი, რომელიც გაზიარებულია UNCTAD, ISAR B.5.1-დან, განისაზღვრება, როგორც "ორგანიზაციის მიერ განახლებადი ენერგიის წყაროების მოხმარების შეფარდება საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ენერგიის მთლიან მოხმარებასთან. განახლებადი ენერგიის ტიპები მოიცავს, მაგალითად, მზის ენერგიას, ბიომასას, ჰიდროენერგიას, გეოთერმულ ენერგიას და ოკეანის ენერგიას".ეს კითხვა ეხება ენერგიის მოხმარებას და არ ეხება ნახშირბადის კომპენსაციას განახლებადი ენერგიის წყაროების გამოყენებით. კომპანიას შეუძლია გამოიყენოს დამატებითი ინფორმაციისთვის განკუთვნილ ველი ამის აღსანიშნავად, რათა მიუთითოს, რომ მისი მოხმარება სრულად არის ანაზღაურებული. ამ მეტრიკისთვის მონაცემების მოძიება შესაძლებელია ენერგეტიკისა და საწვავის პროვაიდერებისგან, ან განახლებადი ენერგიის სერტიფიკატებიდან (REC). როგორც წესი, ამ მონაცემებს აკონტროლებს ენერგო რესურსების, ობიექტის მენეჯერი/გენერალური სერვისების ადმინისტრატორი, ან ბუღალტერია. ამ მეტრიკის გაანგარიშების შესახებ დამატებითი მითითებისთვის იხილეთ UNCTAD, ISAR B.5.1.“	UNCTAD, ISAR B.5.1; GRI ინფორმაცია 302-1 (2016)	პრინციპი 7 პრინციპი 8 პრინციპი 9	1.5, 2.4, 11.3, 12.4, 13.1, 13.2, 13.3, 13.a, 13.b, 14.3

E11: ნახშირბადის დაბალი შემცველობის პროდუქცია / მომსახურებები	”ეკოლოგიურად სუფთა ტექნოლოგიები იცავს გარემოს, ნაკლებად აბინძურებს, იყენებს ყველა რესურსს მეტი მდგრადობისთვის, გადაამუშავებს მეტ ნარჩენებს და პროდუქტებს და ამუშავებს ნარჩენებს უფრო მისაღები ფორმით, ვიდრე მის მიერ ჩანაცვლებული ტექნოლოგიები. წყარო: გაეროს დღის წესრიგი 21 ამ მოცემულობით, გაეროს გლობალური შეთანხმების მე-9 პრინციპი სთხოვს კომპანიებს „წაახალისონ ეკოლოგიური ტექნოლოგიების განვითარება და გავრცელება“. ამის ერთ-ერთი გზაა ინვესტიციების გადამისამართება მდგრადი პროდუქტების მხარდასაჭერად და შემდგომი განვითარება და დანერგვა ნახშირბადის დაბალი შემცველი პროდუქტების და სერვისებისთვის, რომლებიც აჩქარებს კლიმატის და მდგრადობის გლობალური მიზნების მიღწევას. წყარო: გაეროს გლობალური შეთანხმება, პრინციპი 9 ნახშირბადის დაბალ შემცველობაში ინვესტირებაზე მზარდი აქცენტის მიუხედავად, არ არსებობს ნახშირბადის დაბალი შემცველობის პროდუქტების/მომსახურების ზუსტი და ზოგადად მიღებული განმარტება. ის შეიძლება იყოს ზოგადად პროდუქტი ან მომსახურება, რომელიც იწვევს სათბურის აირების ემისიების აბსოლუტურ შემცირებას, ან აქტივობებში ნახშირბადის ინტენსივობის შემცირებას. იმის დასადგენად, არის თუ არა პროდუქტი ან მომსახურება დაბალი ნახშირბადის შემცველობის, CDP ხელს უწყობს მოცემული დარგების ტაქსონომიების და ჩარჩოების გამოყენებას, როგორიცაა კლიმატთან დაკავშირებული ვალდებულებების ტაქსონომია, გლობალური ინვესტორების კოალიცია კლიმატის ცვლილებისას ნახშირბადის დაბალი შემცველობის ინვესტირების რეესტრი და ევროკავშირის ეკოლოგიურად მდგრადი ეკონომიკური საქმიანობის ტაქსონომია. წყარო: CDP - მითითებები და კითხვარები. ნახშირბადის დაბალი შემცველობის პროდუქტები და სერვისები შეიძლება კვალიფიცირდეს შემდეგის შესაბამისად (არა მხოლოდ): ▪ ნახშირბადის დაბალი შემცველობის პროდუქტში ინვესტირების (LCI) რეესტრის ტაქსონომია ▪ კლიმატის შეთანხმებების ტაქსონომია ▪ ევროკავშირის ტაქსონომია ეკოლოგიურად მდგრადი ეკონომიკური საქმიანობისთვის ▪ ემისიების პრობლემის გადაწყვეტა [ქიმიური სექტორი] ▪ ICT-ის ნახშირბადის შემცირების ზემოქმედების შეფასება ▪ შედარებითი ემისიების ზემოქმედების შეფასება და ანგარიშგება (WRI) ▪ მწვანე კავშირის პრინციპები (ICMA) ▪ ISO 14040/44 სტანდარტები [მხოლოდ ფინანსური მომსახურება] ▪ ენერგეტიკის საერთაშორისო სააგენტოს ენერგეტიკული ტექნოლოგიების პერსპექტივების ანგარიში და სუფთა ენერგიის წყარო: CDP C4.5a ამ მეტრიკის გამოსათვლელად: დაყავით ნახშირბადის დაბალი შემცველობის პროდუქტებიდან და სერვისებიდან მიღებული შემოსავალი საანგარიშო პერიოდის მთლიან შემოსავალზე და გამოსახეთ პროცენტულად. ორგანიზაციებმა ასევე უნდა წარმოადგინონ თავიანთი შესაბამისი პროდუქტების და სერვისების აღწერა.	SASB CG-MR-410a.1a; WEF საერთო საზომი	პრინციპი 7 პრინციპი 8 პრინციპი 9	1.5, 2.4, 11.3, 12.4, 13.1, 13.2, 13.3, 13.a, 13.b, 14.3

E12: Additional topic-specific questions	დარგის სპეციფიკური კითხვების მიზანია წყლის რესურსის; ტყეების, ბიომრავალფეროვნების და მიწათსარგებლობის; ჰაერის დაბინძურების და ნარჩენების საკითხების განხილვა, რომლებიც შესაძლოა მნიშვნელოვანი იყოს გარკვეულ დარგებში მოქმედი კომპანიებისთვის. უმეტეს შემთხვევაში, დამატებითი კითხვები ავტომატურად გამოჩნდება კომპანიებისთვის იმ დარგის კლასიფიკაციის მიხედვით, რომელიც დაფიქსირდა გაეროს გლობალურ შეთანხმებაში პირველად გაწევრიანებისას. კომპანიებმა, რომლებიც დარეგისტრირებულნი არიან როგორც „დივერსიფიცირებული - სხვა“, უნდა მიუთითონ თავიანთი სამამდე მთავარი დარგი, შემოსავლების მიხედვით. აქ მოცემული დარგების ჩამონათვალი ადაპტირებულია სამრეწველო კლასიფიკაციის ბაზიდან (ICB) (2019). თქვენი კომპანიის ქვედარგის არჩევისას, გთხოვთ გაეცნოთ ICB სიას დამატებითი დეტალების და მითითებისთვის. გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ მე-2 ცხრილში მოყვანილი სექტორები და ქვე-სექტორები, ICB-ში მოიხსენება როგორც „მთავარი სექტორი“ და „სექტორი“. თუ კომპანია ICB-ის სახელმძღვანელოს განხილვის შემდეგ ვერ მიუთითებს თავის სექტორს ან ქვე-სექტორს, შეუძლია აირჩიოს „სხვა-დივერსიფიცირებული”, განსაკუთრებით საკონსულტაციო კომპანიების შემთხვევაში.	GRI ინფორმაცია 2-6-a (2021) სამრეწველო კლასიფიკაციის ბაზა (ICB) (2019)		

E13: წყლის რესურსით სარგებლობა	„წყლის მოხმარება და წყლის რესურსის აღება პრობლემატურ ზონებში წარმოადგენს პოტენციური უარყოფითი სოციალური ზემოქმედების (წყლის სხვა მომხმარებლებთან კონკურენციის შედეგად) და დაკავშირებული ბიზნეს რისკების ინდიკატორს, მათ შორის ოპერაციების შეფერხებების და შეჩერების პოტენციალის ინდიკატორს. წყარო: WEF საერთო საზომი წყლის რესურსის აღება არის საანგარიშო პერიოდში ზედაპირული წყლებიდან, მიწისქვეშა წყლებიდან, ზღვის წყლებიდან, წარმოებული წყლებიდან ან მესამე მხარის რესურსიდან გამოყენებისთვის აღებული წყლის ჯამური მოცულობა. წყლის მოხმარება არის ჯამური მოცულობა, რომელიც აღებულია და შედის პროდუქტებში, გამოიყენება კულტურების მოყვანაში, წარმოიქმნება ნარჩენებად, ორთქლდება, გამოიყოფა, მოიხმარება ადამიანების ან პირუტყვის მიერ, ან დაბინძურებულია გამოუსადეგარ დონემდე და შესაბამისად არ ბრუნდება ზედაპირულ წყლებში, მიწისქვეშა წყლებში, ზღვის წყალში, წარმოებულ წყალში ან მესამე მხარის რესურსში. ეს მოიცავს წყალს, რომელიც მოცემულ საანგარიშო პერიოდში შენახული იყო მომდევნო საანგარიშო პერიოდში გამოსაყენებლად. წყარო: ადაპტირებულია GRI 303 საინფორმაციო დოკუმენტიდან. ორგანიზაციებს ასევე მოეთხოვებათ დააფიქსირონ აღებული და მოხმარებული წყლის პროცენტული მაჩვენებელი წყლის რესურსების მხრივ პრობლემატურ რეგიონებში. შესადარებელი მონაცემების შესაქმნელად, გაეროს გლობალური შეთანხმების რეკომენდაციაა წყლის დანაკლისის გამოთვლა „WRI-ს წყლის რისკების ატლასის“ მეშვეობით. ამ მაჩვენებლის დასაფიქსირებლად, კომპანიებმა 1) უნდა დაადგინონ წყლის მთლიანი ამოღება მაღალი ან უკიდურესად მაღალი პრობლემატური ზონებიდან და გაყონ ყველა წყაროდან აღებულ წყალზე; ან 2) გამოთვალონ მოხმარებული წყლის მთლიანი მოცულობა მაღალი ან უკიდურესად მაღალ პრობლემატურ ზონებში და გაყონ ყველა წყაროდან მოხმარებულ წყალზე. ორივე უნდა გამოისახოს პროცენტულად. ორგანიზაციებს ასევე შეუძლიათ აირჩიონ პასუხი „უცნობია“ ნებისმიერი საზომის შემთხვევაში, რომელიც არ იზომება, ან „არ გამოიყენება“, თუ წყალი მათთვის მნიშვნელოვანი თემა არ არის. კომპანიებმა, რომლებიც აირჩევენ პასუხს „არ გამოიყენება“, უნდა წარმოადგინონ დამატებითი ინფორმაცია.“	UNCTAD, ISAR B.1.3; CDP W1.2b (2022), CDP W1.2d (2022); SASB CG-HP-140a.1; GRI 303-1; GRI 303-2; GRI 303-3	პრინციპი 7 პრინციპი 8 პრინციპი 9	2.1, 2.3, 6.1, 6.3, 6.4, 6.5, 6.6, 9.4, 11.3, 11.5, 12.1, 12.2, 12.4

E14: წყლის მოხმარების ინტენსივობა	წყლის მოხმარების ინტენსივობა (მოხმარებული წყლის რაოდენობა საწარმოო ერთეულზე) უზრუნველყოფს წყლის გამოყენების ნორმალიზებულ ზომას, რომელიც უფრო ზუსტად ასახავს ორგანიზაციის წყლის რესურსების ხანგრძლივი მართვის პროგრამების ეფექტურობას. წყლის მოხმარების ინტენსივობა უნდა დაფიქსირდეს, როგორც წყლის მოხმარების თანაფარდობა გაყოფილი საწარმოო ერთეულზე, ან გაყოფილი პროდუქტიდან შემოსავალზე, ხელმისაწვდომი ინფორმაციის მიხედვით. CDP-ს მითითებების თანახმად, მომხმარებლებს შეუძლიათ შედეგის დაფიქსირება კუბურ მეტრებში (მ3): ▪ მტკნარი წყლის ამოღება ▪ მტკნარი წყლის მოხმარება ▪ წყლის მთლიანი ამოღება ▪ წყლის მთლიანი მოხმარება ▪ სხვა (დააფიქსირეთ არჩეული საზომის დამატებითი დეტალები) მნიშვნელის შემთხვევაში, მომხმარებლებმა უნდა დააფიქსირონ შემოსავალი ან შესაბამისი საწარმოო ერთეული, მათ შორის: ▪ ათეული ▪ კილოგრამი ▪ ლიტრი ▪ ტონა ▪ სხვა დარგებში, სადაც ბევრი სხვადასხვა პროდუქტი ფიგურირებს, უნდა დაფიქსირდეს წყლის მოხმარების ინტენსივობის მხრივ ტოპ ხუთი პროდუქტი [შემოსავლის მიხედვით] [წყლის ინტენსივობის მიხედვით]. წყლის მოხმარების ინტენსივობის გაზომვის სირთულის გათვალისწინებით, ორგანიზაციებს საშუალებას ვაძლევთ CDP-ს მითითებებზე ანგარიშგება მოახდინონ თითოეულ სექტორში. მოველით, რომ ორგანიზაციები მოგვაწვდიან დამატებით დეტალებს გაანგარიშებების შესახებ. დამატებითი დეტალებისთვის იხილეთ CDP 1.3. ორგანიზაციებს შეუძლიათ აირჩიონ პასუხი „უცნობია“, თუ წყლის მოხმარების ინტენსივობა არ იზომება, ან პასუხი „არ გამოიყენება“, თუ წყალი მათთვის მნიშვნელოვანი საკითხი არ არის. კომპანიებმა, რომლებიც აირჩევენ პასუხს „არ გამოიყენება“, უნდა წარმოადგინონ დამატებითი ინფორმაცია.	CDP W1.3 (2022), CDP W1.3a (2022)	პრინციპი 7 პრინციპი 8 პრინციპი 9	2.1, 2.3, 6.1, 6.3, 6.4, 6.5, 6.6, 9.4, 11.3, 11.5, 12.1, 12.2, 12.4

E15: ბიომრავალფეროვნების საკვანძო არეალებში ან მათთან მახლობლად არსებული ობიექტები	„საკვანძო ბიოლოგიური ზონები (KBA) უზრუნველყოფს კვლევით და საერთაშორისოდ აღიარებულ საშუალებებს იმ ზონების იდენტიფიკაციისთვის, რომლებიც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ბიომრავალფეროვნების გლობალურ მდგრადობას, ხოლო დაცული ტერიტორიები გულისხმობს ეკოლოგიური ან კულტურული მნიშვნელობის ეროვნულ (და ხშირად საერთაშორისოდ) ტერიტორიებზე, როგორც წესი სპეციფიური სამართლებრივი დაცვებით. ასეთ ზონებში ან მათ მახლობლად ოპერაციების განხორციელება გულისხმობს ბიომრავალფეროვნებაზე უარყოფითი ზემოქმედების გაზრდილ რისკს და მასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ან რეპუტაციულ რისკზე. კომპანიებმა უნდა დააფიქსირონ (1) ზონების ჯამური რაოდენობა, რომლებიც ესაზღვრებიან ან ექცევიან დაცულ ტერიტორიაში ან საკვანძო ბიოლოგიურ ზონებში და (2) ამ ადგილების მთლიანი მიწის ფართობი ჰექტარებში. ობიექტი გულისხმობს საკუთრებას, რომელსაც ფლობს, იჯარით იღებს, იჯარით გაცემული აქვს ან მართავს მომხსენებელი კომპანია დაცულ ტერიტორიაზე ან საკვანძო ბიოლოგიურ ზონაში, ან მათ მიმდებარედ (მაგ. ტერიტორიები, რომლებიც კრიტიკულად მნიშვნელოვანია უნიკალური მცენარეების, ცხოველების და ეკოლოგიის გადარჩენისთვის). დაცული ტერიტორიების საზღვრების იდენტიფიცირება შესაძლებელია საკვანძო ბიოლოგიური ზონების მონაცემთა ბაზის, ან მთავრობის მიერ განთავსებული მონაცემთა ბაზის გამოყენებით. ორგანიზაციებს შეუძლიათ აირჩიონ პასუხი „უცნობია“, თუ მიწათსარგებლობა დაცულ უბნებთან ახლოს არ დგინდება, ან პასუხი „არ გამოიყენება“, თუ მიწათსარგებლობა მათთვის მნიშვნელოვანი თემა არ არის. კომპანიებს, რომლებიც აირჩევენ „არ გამოიყენება“, მოგეთხოვებათ დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენა.	WEF საერთო საზომი; GRI ინფორმაცია 304-1 (2016); UNCTAD, ISAR B.6.1	პრინციპი 7 პრინციპი 8 პრინციპი 9	2.1, 2.3, 6.1, 6.3, 6.4, 6.5, 6.6, 9.4, 11.3, 11.5, 12.1, 12.2, 12.4
E16: ბუნებრივი ეკოსისტემების გარდაქმნა	„ეს ინფორმაცია ასახავს თქვენ საბაზრო შესაძლებლობებს და პოტენციურ გავლენას მიწით სარგებლობაზე სხვადასხვა რეგიონში, მათ შორის ტყის გაჩეხვასთან და/ან ბუნებრივი ეკოსისტემების გარდაქმნასთან დაკავშირებით. ტყის გაჩეხვა ტერიტორიის დამუშავება, რომელსაც თქვენ აკონტროლებთ ან მართავთ, არა მხოლოდ ზეგავლენას ახდენს ადამიანებზე და გარემოზე, არამედ შეიძლება გამოიწვიოს საოპერაციო ან რეპუტაციული რისკები, მაგ. ორგანიზაციებს შესაძლოა შეექმნათ მომხმარებლების მხრიდან ბოიკოტის პრობლემა, ან საკუთრების უფლების ჩამორთმევას დაექვემდებარონ. ამიტომ, მნიშვნელოვანია ინვესტორებს და სხვა დაინტერესებულ მხარეებს ვაჩვენოთ, რომ თქვენს ორგანიზაციას კარგად ესმის მიწის რესურსების საკითხები, რომელსაც აკონტროლებს ან/და მართავს.“ წყარო: ნახშირბადის მონაცემების დაფიქსირების პროექტი (CDP) - ტყეები საჭიროების შემთხვევაში, კომპანიებმა უნდა დააფიქსირონ, თუ რამდენი ჰექტარი ბუნებრივი ეკოსისტემის დამუშავება მოხდა საანგარიშო წელს. კომპანიებს შეუძლიათ აირჩიონ „უცნობია“, თუ დამუშავებული საკუთრებაში არსებული, იჯარით აღებული ან მართული მიწის ფართობი ცნობილი არ არის. ორგანიზაციებს ასევე შეუძლიათ აირჩიონ „არ გამოიყენება“, თუ ეს კითხვა მათთვის არ არის შესაბამისი. კომპანიებს, რომლებიც აირჩევენ „არ გამოიყენება“, მოგეთხოვებათ დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენა.“	CDP F1.3 2022; GRI ინფორმაცია 304-1 (2016)	პრინციპი 7 პრინციპი 8	2.1, 2.3, 6.6, 12.2, 12.4, 14.1, 14.2, 15.1, 15.2, 15.3, 15.4, 15.5, 15.a, 15.b

E17: ეკოსისტემის აღდგენა და დაცვა	„ეს კითხვა აგროვებს მონაცემებს პროექტების შესახებ, რომლებსაც თქვენი ორგანიზაცია ხელს უწყობს ან ახორციელებს, ან გეგმავს განახორციელოს ორი წლის განმავლობაში, რომლებიც დაკავშირებულია ეკოსისტემის აღდგენასთან, ტყეების აღდგენასთან ან/და ტყეების და სხვა ეკოსისტემების დაცვასთან. ეს ინფორმაცია აჩვენებს ინვესტორებს და მონაცემთა სხვა მომხმარებლებს, რომ თქვენი ორგანიზაცია ერთგულად და აქტიურად ემსახურება გარემოს დაცვას. წყარო: ნახშირბადის მონაცემების დაფიქსირების პროექტი (CDP) - ტყეები ეს კითხვა ეფუძნება GRI 304-3-ის მითითებებს, რომლის მიხედვითაც დასაშვები პროექტები მოიცავს შემდეგს: ▪ დაცული ტერიტორია: ტერიტორია, რომელიც დაცულია ნებისმიერი ზიანისგან საოპერაციო საქმიანობის დროს და სადაც გარემო ინარჩენებს პირვანდელ მდგომარეობას ჯანსაღი და მოქმედი ეკოსისტემით; და ▪ აღდგენილი ტერიტორია: ტერიტორია, რომელიც გამოიყენებოდა ან დაზიანდა საოპერაციო საქმიანობის დროს და სადაც აღდგენითი ღონისძიებების შედეგად მოხდა ტერიტორიის აღდგენა პირვანდელ მდგომარეობამდე, ან იმ მდგომარეობამადე ,რომელშიც მას აქვს ჯანსაღი და მოქმედი ეკოსისტემა.. . ამ განმარტებების მიხედვით, ურბანული ტყეების აღდგენა ამ კითხვაში არ არის გათვალისწინებული. თუმცა, ვინაიდან საკითხი მოიცავს „მხარდაჭერის“ პროექტებს, შეიძლება შეიცავდეს ემისიების შეღავათებს, როგორიცაა *ოქროს სტანდარტი.* მონაწილეებისთვის რეკომენდირებულია პროექტების დეტალების აღსაწერად გამოიყენონ დამატებითი ინფორმაციისთვის განკუთვნილ ველი, განსაკუთრებით იმ პროექტებისთვის, რომლებიც სრულად არ ერგება არსებულ ვარიანტებს ორგანიზაციებს მოეთხოვებათ წარმოადგინონ ინფორმაცია, თუ რომელი ეკოსისტემები აღდგება. მიმდინარე პროექტების შემთხვევაში, ორგანიზაციებმა უნდა წარმოადგინონ ინფორმაცია საპროექტო ტერიტორიების ფართობზე, ჰექტარებში.“	CDP F6.11 2022; GRI ინფორმაცია 304-3 (2016)	პრინციპი 7 პრინციპი 8 პრინციპი 9	2.1, 2.3, 6.6, 12.2, 12.4, 14.1, 14.2, 15.1, 15.2, 15.3, 15.4, 15.5, 15.a, 15.b

E18: ჰაერის დაბინძურება	„ჰაერის დაბინძურების 9-დან 1 შემთხვევა ფატალურია. ეს დღევანდელობის ყველაზე მნიშვნელოვანი გარემოსდაცვითი რისკია. ” წყარო: გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამა (UNEP) - ჰაერი ჰაერის დაბინძურება განიმარტება, როგორც „ჰაერში დამაბინძურებელი ნივთიერებების არსებობა, რომლებიც საკმარისად არ იშლება და საფრთხეს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობას ან კეთილდღეობას, ან იწვევს გარემოზე სხვა მავნე ზემოქმედებას“. წყარო: OECD კითხვა შეეხება ჰაერის დამაბინძურებლებს, გარდა სათბურის აირების ემისიებისა, რომლებიც ჩამოთვლილია: NOx, SOx, VOCs, HAPs, PM10, POPs და "სხვა" გრაფებში.თუ კომპანია მიიჩნევს, რომ ველი "სხვა" "არ მიესადაგება", დამატებითი ინფორმაციისთვის განკუთვნილი ტექსტური ველის შევსება სავალდებულოა. ამ მოთხოვნის შესასრულებლად, ასეთ კომპანიებს შეუძლიათ ჩაწერონ ისეთი პასუხები , როგორიცაა "არ მიესადაგება" ან "ჩვენ არ ვიწვევთ ჰაერის დამატებით დაბინძურებას". ბიზნეს საწარმოები გადამწყვეტ როლს ასრულებენ დაბინძურების წყაროს შემცირებასა და ჰაერის ხარისხის დაცვაში. გთხოვთ წარმოადგინოთ ემისიების ჯამური მაჩვენებლები ყველა წყაროდან, ტონებში, დამაბინძურებლებს თითოეული კატეგორიისთვის. ტერმინების განმარტება იხილოთ ლექსიკონში. საჭირო ინფორმაციის შედგენისას, მომხსენებელმა ორგანიზაციამ ჰაერში არსებითი ემისიების გამოსათვლელად უნდა აირჩიოს ერთ-ერთი შემდეგი მიდგომა: ▪ ემისიების პირდაპირი გაზომვა (ონლაინ ანალიზატორები) ▪ გაანგარიშება ზონის სპეციფიკური მონაცემების საფუძველზე ▪ გაანგარიშება ემისიის გამოქვეყნებული მაჩვენებლებზე დაყრდნობით ▪ შეფასება წყარო: GRI ინფორმაცია 305-7 ორგანიზაციებს შეუძლიათ აირჩიონ პასუხი „უცნობია“, თუ წარმოქმნიან, მაგრამ არ ზომავენ ჰაერის დამაბინძურებლებს. ორგანიზაციებს ასევე შეუძლიათ აირჩიონ „არ გამოიყენება“, თუ დაბინძურების რაოდენობა უმნიშვნელოა. კომპანიებს, რომლებიც აირჩევენ „არ გამოიყენება“, მოგეთხოვებათ დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენა.	GRI ინფორმაცია 305-7 (2016); UNCTAD, ISAR B.4.1	პრინციპი 7 პრინციპი 8	3.2, 3.4, 3.8, 3.9, 6.3, 12.4

E19: ნარჩენები	„ნარჩენებს არასათანადო მართვამ შეიძლება მნიშვნელოვანი უარყოფითი ზემოქმედება მოახდინოს გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე. ზემოქმედება ხშირად ვრცელდება იმ ადგილებში, სადაც წარმოიქმნება და იყრება ნარჩენები. ნარჩენებში შემავალი რესურსები და მასალები, რომლებიც იწვება ან ნაგავსაყრელზე იყრება, ვეღარ იქნება მომავალში გამოყენებული, რაც აჩქარებს მათ ამოწურვას. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია აღიარებს პასუხისმგებლიანი გამოყენების და წარმოების როლს მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევაში. მე-12 მიზანი ორგანიზაციებს მოუწოდებს განახორციელონ ნარჩენების ეკოლოგიური მართვა და თავიდან აიცილონ და შეამცირონ ნარჩენები ხელახალი გამოყენების და გადამუშავების გზით. წყარო: GRI ინფორმაცია 306-3 „საანგარიშო პერიოდში წარმოქმნილი ჯამური ნარჩენები განისაზღვრება როგორც ნებისმიერი ტექნოლოგიით დამუშავებული ყველა მინერალური, არა მინერალური ან/და სახიფათო ნარჩენების ჯამური მოცულობა. აღნიშნულში არ შედის რაოდენობა, რომელიც დამუშავებულია ადგილზე ან მის ფარგლებს გარეთ დახურული ციკლის გადამუშავების, ხელახალი გამოყენების, ან ხელახალი წარმოების პროცესების მეშვეობით, მაგ. გადამუშავებული, ხელახლა გამოყენებული ან ხელახლა წარმოებული ნარჩენები ბრუნდება კომპანიის საწარმოო პროცესებში. უნდა მოხდეს ნარჩენების შეწონვა ან გაზომვა. ვინაიდან ნარჩენები შეიძლება იყოს მყარი, თხევადი ან შერეული კონსისტენციის, იგი შეიძლება გაიზომოს კილოგრამებში და ტონებში, ლიტრებში ან კუბურ მეტრებში. თუმცა, ამ ინდიკატორის მიზნებისათვის, ნარჩენები უნდა დაფიქსირდეს წონის (კგ, ტ) და არა მოცულობის (ლიტრი, მ3) მიხედვით“. თუ თხევადი და მყარი ნარჩენები ერთად აღირიცხება, მათი რაოდენობა შეიძლება დაფიქსირდეს ერთიანად. კომპანიებს შეუძლიათ გამოიყენონ დამატებითი ინფორმაციისთვის განკუთვნილ ველი, რათა მიუთითონ, რა სახის ნარჩენს ეხება მათი პასუხი. წყარო: UNCTAD, ISAR B.2.1 გაზომვასთან და მოხსენებასთან დაკავშირებული დამატებითი დეტალებისთვის იხილეთ UNCTAD, ISAR B.2.1 კითხვაზე ორგანიზაციებს შეუძლიათ უპასუხონ „უცნობია“, თუ ისინი წარმოქმნიან მყარ ნარჩენებს, მაგრამ არ აქვთ შემუშავებული გაზომვის სისტემა. ორგანიზაციებს ასევე შეუძლიათ აირჩიონ „არ გამოიყენება“, თუ წარმოქმნილი მყარი ნარჩენების რაოდენობა უმნიშვნელოა. კომპანიებს, რომლებიც აირჩევენ „არ გამოიყენებას“, მოგეთხოვებათ დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენა.“	GRI ინფორმაცია 306-3 (2020); (ნაწილობრივ დაკავშირებული) UNCTAD, ISAR B.2.1	პრინციპი 7 პრინციპი 8	3.9, 6.3, 12.2, 12.3, 12.4, 12.5, 14.1, 14.2, 15.1, 15.2, 15.3, 15.4, 15.5, 15.a, 15.b

E 20: სახიფათო ნარჩენები	სახიფათო ნარჩენები განისაზღვრება როგორც ერთი ან რამდენიმე მახასიათებლის მქონე: ფეთქებადი, აალებადი სითხე ან მყარი, სპონტანური წვის უნარი, ნივთიერებები ან ნარჩენები, რომლებიც გამოყოფს აირებს წყალთან შეხებისას, ჟანგვითი, ორგანული პეროქსიდები, მომწამვლელი, ინფექციური, კოროზიული, ქმნის ტოქსიკურ აირებს ჰაერთან ან წყალთან შეხებისას, ტოქსიკურ, ეკო ტოქსიკურ ან მოყვანილი მახასიათებლების მქონე გამონაჟონის შექმნისას. ზოგიერთი რადიოაქტიური მასალა ასევე შეიძლება იყოს სახიფათო. წყარო: ბაზელის კონვენცია სახიფათო ნარჩენების ტრანსსასაზღვრო გადაადგილების და განთავსების კონტროლის შესახებ (ბაზელის კონვენცია) „საანგარიშო პერიოდში წარმოქმნილი ჯამური სახიფათო ნარჩენები განისაზღვრება, როგორც ზემოთ ჩამოთვლილი სახიფათო ნარჩენების ოდენობის ჯამი და უნდა გაიზომოს კილოგრამებსა და ტონებში“. წყარო: UNCTAD, ISAR B.2.3 მაჩვენებელი განისაზღვრება როგორც სახიფათო ნარჩენების მთლიანი რაოდენობა, გაყოფილი მოცემულ საანგარიშო პერიოდში წარმოქმნილ ნარჩენებზე, გამოხატული პროცენტულ ოდენობაში. მონაცემები შეიძლება პირდაპირ გაიზომოს წარმოების ადგილზე, ან დაფიქსირდეს ნარჩენების მართვის კომპანიის დოკუმენტაციიდან. როგორც წესი, მონაცემებს მართავს ობიექტის მენეჯერი, ძირითადი სერვისების ადმინისტრატორი, ან, ამ პოზიციების არარსებობის შემთხვევაში, შეტანილია გადასახდელ ანგარიშებში, ნარჩენების მართვის ხარჯების ანგარიშგების ნაწილის სახით. გაზომვის და ანგარიშგების დამატებითი დეტალებისთვის იხილეთ UNCTAD, ISAR B.2.3 კითხვაზე ორგანიზაციებს შეუძლიათ უპასუხონ „უცნობია“, თუ ისინი წარმოქმნიან სახიფათო ნარჩენებს, მაგრამ არ აქვთ შემუშავებული გაზომვის სისტემა. ორგანიზაციებს ასევე შეუძლიათ აირჩიონ „არ გამოიყენება“, თუ წარმოქმნილი სახიფათო ნარჩენების რაოდენობა უმნიშვნელოა. კომპანიებს, რომლებიც აირჩევენ „არ გამოიყენებას“, მოგეთხოვებათ დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენა.“	GRI ინფორმაცია 306-4, 306-5 (2020); UNCTAD, ISAR B.2.3	პრინციპი 7 პრინციპი 8	3.9, 6.3, 12.2, 12.4, 12.5, 14.1, 14.2, 15.1, 15.2, 15.3, 15.4, 15.5, 15.a, 15.b

E21 : ერთჯერადი გამოყენების პლასტმასი	„ერთჯერადი პლასტმასის შესახებ მოხსენების მეტრიკა ჯერ არ არის სტანდარტიზებული, თუმცა მათ გამოყენებასთან დაკავშირებული უარყოფითი ზემოქმედების გლობალური მასშტაბი საკმარისია იმისთვის, რომ დაასაბუთოს კორპორაციულ ღირებულებათა ჯაჭვებში დამატებითი გამოკვლევა გამოყენების მასშტაბის დასადგენად. გაზომვის ექსპერიმენტები დაეხმარება კომპანიას გაიგოს, თუ რამდენად ექვემდებარება მარალი ინტერესის საკითხის ზემოქმედებას, ხოლო შედეგების და მეთოდის დაფიქსირება ხელს შეუწყობს საკითხში უფრო ღრმად გარკვევას“. წყარო: WEF საერთო საზომი ერთჯერადი გამოყენების პლასტმასის განმარტება იხილეთ ტერმინთა განმარტებებში. კომპანიებმა უნდა დააფიქსირონ მოხმარებული ერთჯერადი გამოყენების პლასტმასი სავარაუდო მოცულობა ტონებში. თუ საცალო ვაჭრობის კომპანია ყიდის ერთჯერადი გამოყენების პლასტმასს, თუმცა არ აწარმოებს და არ მოიხმარს პლასტმასს, ასეთი საცალო საქონელი უნდა ჩაითვალოს ამ გაანგარიშებაში. გთხოვთ, გამოიყენოთ დამატებითი ინფორმაციისთვის განკუთვნილ ველი, რათა დეტალურად აღწეროთ, საიდან არის მიღებული ღირებულების ჯაჭვის მონაცემები გაანგარიშებისთვის. კითხვაზე ორგანიზაციებს შეუძლიათ უპასუხონ „უცნობია“, თუ წარმოქმნიან ერთჯერად პლასტმასს, თუმცა არ აქვთ შემუშავებული გაზომვის სისტემა. ორგანიზაციებს ასევე შეუძლიათ აირჩიონ „არ გამოიყენება“, თუ ერთჯერადი პლასტმასის საკითხი უმნიშვნელოა. კომპანიებს, რომლებიც აირჩევენ „არ გამოიყენებას“, მოგეთხოვებათ დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენა.“	WEF საერთო საზომი	პრინციპი 7 პრინციპი 8	3.9, 6.3, 12.2, 12.4, 12.5, 14.1, 14.2, 15.1, 15.2, 15.3, 15.4, 15.5, 15.a, 15.b
E20: პრაქტიკული ქმედებები	„ეს სექცია განკუთვნილია კომპანიებისთვის, რათა წარმოადგინონ დამატებითი მონაცემები და ინფორმაცია, რომელიც არ დაფიქსირებულა წინა პასუხებში, მათ შორის განხორციელებული დამატებითი შესაბამისი აქტივობები, გარემოსთან დაკავშირებული მიზნები ან/და გარემოსდაცვითი საკითხების კუთხით არსებული გამოწვევები.“	GRI ინფორმაცია 3-3-c და 3-3-d (2021)	პრინციპი 7 პრინციპი 8 პრინციპი 9	1.5, 2.1, 2.3, 2.4, 3.2, 3.4, 3.8, 3.9, 6.1, 6.3, 6.4, 6.5, 6.6, 7.1, 7.2, 7.3, 8.4, 9.4, 11.3, 11.5, 12.1, 12.2, 12.3, 12.4, 12.5, 12.6, 13.1, 13.2, 13.3, 13.a, 13.b, 14.1, 14.2, 14.3, 15.1, 15.2, 15.3, 15.4, 15.5, 15.a, 15

საკითხი	რესურსი
გარემო (ზოგადი)	AR6 სინთეზის ანგარიში: კლიმატის ცვლილება 2023 | კლიმატის ცვლილების სამთავრობათაშორისო საბჭო(IPCC)
	რესურსები | UNEP - გაეროს გარემოს დაცვის პროგრამა
კლიმატთან დაკავშირებული ქმედებები	იდეების ლაბორატორია სამართლიანი ცვლილებების საკითხებზე | გაეროს გლობალური შეთანხმება
	გაეროს მიერ მხარდაჭერილი ნდობის სტანდარტი "პატიოსნება მნიშვნელოვანია"
	კლიმატის ცვლილება | გაეროს გლობალური შეთანხმება
	კლიმატის ცვლილებებთან გამკლავების აქსელერატორი | გაეროს გლობალური შეთანხმება
	პასუხისმგებლობა კლიმატის ცვლილებებთან გამკლავების პოლიტიკაში | გაეროს გლობალური შეთანხმება
	ნულოვანი სტანდარტი | მეცნიერებაზე დაფუძნებული მიზნების ინიციატივა (SBTi) სექტორული სახელმძღვანელო | მეცნიერებაზე დაფუძნებული მიზნების ინიციატივა (SBTi)
	Climate Adaptation | UNFCCC
წყალი	წყლის მოხმარების კორპორაციული პასუხისმგებლობა – წლის მოხმარების და მისი ზეგავლენის შეფასების მეთოდების ანალიზი
	წყლის მოხმარების და მისი ზეგავლენის შეფასება
	წლის რესურსები პოლიტიკის პასუხისმგებლიანი განხორციელების სახელმძღვანელო
	წყლის სამოქმედო ცენტრი 100 პრიორიტეტული აუზი წყლის მდგრადობის შეფასების ჩარჩო NPWI (წყლის წმინდა დადებითი ზემოქმედება) [მომავალი 2024 წლის სექტემბერი] „სამუშაო ადგილის შეფასება უსაფრთხოებისა და ჰიგიენისთვის" (WASH)"-ის თვითშეფასების ინსტრუმენტი წყლის მდგრადობის კოალიცია WASH4Work სწრაფი წინსვლა წყლის მდგრადობისკენ
ოკეანე	ოკეანეები და ზღვები | UNEP

	ოკეანის ათწლეული ოკეანის სამოქმედო ცენტრი გაეროს გლობალური შეთანხმება | ოკეანის პრაქტიკის შეფასებისა და გამჟღავნების ჩარჩო UNFCCC ოკეანის გარღვევები
ტყეები / ბიომრავალფეროვნება / მიწით სარგებლობა	
	მიზანი 15: ცხოვრება ხმელეთზე კუნმინგ-მონრეალის ბიომრავალფეროვნების გლობალური ჩარჩო
	ტყეებთან დაკავშირებული გლობალური მიზნები - გაეროს 2030 წლის ტყეებზე ზრუნვის სტრატეგიული გეგმა
	ბუნების ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების საერთაშორისო კავშირი, შეფასების მექანიზმი ბიომრავალფეროვნების რისკის ფილტრი | WWF ბიომრავალფეროვნების ინსტრუმენტები და რესურსები | ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირი (IUCN) იდეების ლაბორატორია ბიომრავალფეროვნებისა და ბუნების შესახებ | გაეროს გლობალური შეთანხმება

ჰაერის დაბინძურება	ჰაერის შესახებ | UNEP სტოკჰოლმის კონვენცია მდგრადი ორგანული დამბინძურებლების შესახებ
ნარჩენები (მაგ., ქიმიური დაღვრა, მყარი ნარჩენები, საშიში, პლასტმასის და ა.შ.)	პლასტიკით დაბინძურება | გაეროს გარემოს დაცვის პროგრამა (UNEP) ბაზელის კონვენცია სახიფათო ნარჩენების ტრანსსასაზღვრო გადაზიდვისა და უტილიზაციის კონტროლის შესახებ
ენერგიის და რესურსების გამოყენება	გაეროს ენერგეტიკა
	მდგრადი ენერგია ყველასთვის (SEforALL)

კითხვარის მე-5 ნაწილი: კორუფციასთან ბრძოლა

„ანტი-კორუფცია გულისხმობს არაკეთილსინდისიერი და თაღლითური ქცევის აქტიურ პრევენციას, რომელიც ძირს უთხრის სამართლიან კონკურენციას. გაეროს გლობალური შეთანხმების მე-10 პრინციპში ნათქვამია: „ბიზნესმა უნდა იმუშაოს კორუფციის წინააღმდეგ მისი ყველა ფორმის, მათ შორის გამოძალვისა და მექრთამეობის წინააღმდეგ“.

ძლიერი პოლიტიკა და პროცედურები შეიძლება დაეხმაროს ორგანიზაციებს გამოავლინონ და შეარბილონ კორუფციული რისკები და მიიღონ მაკორექტირებელი ზომები ინციდენტის შემთხვევაში. კვლევის ეს ნაწილი მიზნად ისახავს შეაფასოს ანტიკორუფციული შესაბამისობის პროგრამები, ტრენინგი და მონიტორინგის პრაქტიკა და პრაქტიკული ქმედებები საეჭვო ინციდენტების მოსაგვარებლად.“

კითხვა	დასაბუთება და გამოთვლის მეთოდი	ანგარიშგების სტანდარტები	მეფინგი გაეროს გლობალური შეთანხმების 10 პრინციპთან	მეფინგი მდგრადი განვითარების მიზნებთან
AC1: შესაბამისობის პროგრამა	„ეფექტური ანტიკორუფციული პროგრამა ეფუძნება კომპანიის უმაღლესი მენეჯმენტის ძლიერ, აშკარა და თვალსაჩინო მხარდაჭერას და ვალდებულებას. უმაღლესმა მენეჯმენტმა მკაფიოდ უნდა დააფიქსიროს ნულოვანი ტოლერანტობა კორუფციის მიმართ, პოლიტიკით და პროცედურებით, რომლებიც აღასრულებენ ამ ვალდებულებას. ეს ვალდებულება გადამწყვეტ როლს ასრულებს ფუნდამენტურ ღირებულებებზე დაფუძნებული კულტურის ჩამოყალიბებაში, როგორიცაა კეთილსინდისიერება, გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება.“ უმაღლესი მენეჯმენტის ძლიერი, აშკარა და ცალსახა მხარდაჭერა და ვალდებულება, რომელიც გამოიხატება კორუფციის ნულოვანი ტოლერანტობის ოფიციალურად საჯარო განცხადებაში, გამყარებული უნდა იყოს ანტიკორუფციული პროგრამით, რომელიც შედგება დეტალური პოლიტიკის და პროცედურებისგან“. წყარო: UNODC - ანტიკორუფციული ეთიკის და შესაბამისობის პროგრამა ბიზნესისთვის: პრაქტიკული გზამკვლევი. ანტიკორუფციული პროგრამები ორგანიზაციებს ეხმარებათ თავიდან აიცილონ და გამოავლინონ რისკები და საჭიროების შემთხვევაში მიიღონ ზომები. ანტიკორუფციული პროგრამები შეიძლება შეიცავდეს (1) დეტალურ პროცედურებს ქრთამის, საჩუქრების, გართობის და ხარჯების, შემოწირულობების და სპონსორების, პოლიტიკური შენატანების, ფასილიტაციის და ინტერესთა კონფლიქტის შესახებ; (2) მენეჯერის დანიშვნა, რათა შეიმუშაოს, განახორციელოს, მონიტორინგი გაუწიოს და გააუმჯობესოს პროგრამა ხელმძღვანელობის მეთვალყურეობით; (3) ბიზნეს პარტნიორებისთვის ანტიკორუფციული ვალდებულებების გაცნობა; (4) კომუნიკაცია და ტრენინგი, თანამშრომლების ინფორმირებისთვის; (5) ანტიკორუფციული პროგრამის დარღვევის შემთხვევაში შესაბამისი ზომების მიღება და (6) მონიტორინგი და მუდმივი გაუმჯობესება ანტიკორუფციული პროგრამის რეგულარული განხილვის მიზნით, მათ შორის შიდა აუდიტი, ანგარიშების მომზადება მენეჯმენტის და საბჭოსთვის და პროგრამის გასაუმჯობესებლად საჭირო ქმედებების განხორციელება. წყარო: გაეროს გლობალური შეთანხმება; საერთაშორისო გამჭვირვალობა ორგანიზაციებმა, რომლებიც აირჩევენ პასუხს „კი“, უნდა წარმოადგინონ დამატებითი ინფორმაცია ანტიკორუფციული პროგრამის შესახებ.	GRI ინფორმაცია 3-3-c (2021), საკითხი GRI 205 (2016)	პრინციპი 10	16.4, 16.5, 16.6

AC1.1: პროგრამის მიმოხილვის წელი	„მონიტორინგი და მუდმივი გაუმჯობესება უზრუნველყოფს ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირებას და ანტიკორუფციული პროგრამის მუდმივ გაუმჯობესებას, რათა მუდმივად იყოს ეფექტური და განახლებული ცვალებად რისკებთან მიმართებაში. წყარო: გაეროს გლობალური შეთანხმება; საერთაშორისო გამჭვირვალობა გთხოვთ მიუთითოთ პროგრამის ბოლო მიმოხილვის წელი.		პრინციპი 10	16.4, 16.5, 16.6
AC2: პოლიტიკა	„მნიშვნელოვანია, რომ კომპანიები კორუფციის სხვადასხვა ფაქტებს პოლიტიკისა და პროცედურების მეშვეობით გაუმკლავდნენ. კომპანიებმა შეიძლება შეიმუშაონ პოლიტიკა ძირითადი რისკის სფეროებზე, როგორიცაა ფასილიტაციის ტიპის გადახდები, საჩუქრებთან დაკავშირებული ხარჯები, მასპინძლობა, მოგზაურობა, გართობა, სპონსორობა და ა.შ. რეკომენდირებულია, რომ პოლიტიკაში მკაფიოდ განიმარტოს იდენტიფიცირებული პრობლემა (მაგ. ფასილიტაციის ტიპის გადახდა, საქველმოქმედო შენატანები), კომპლექსურ პროცედურებთან ერთად, რისკების იდენტიფიცირების და შემარბილებელი ზომების მიღებისთვის.“ წყარო: UNODC - ანტიკორუფციული ეთიკის და შესაბამისობის პროგრამა ბიზნესისთვის: პრაქტიკული გზამკვლევი თანამშრომლების ქცევის სპეციფიკური პოლიტიკა ეხმარება კომპანიებს რისკების იდენტიფიცირებისა და მართვაში, ნეგატიური ზემოქმედების შერბილებაში და ინციდენტებზე რეაგირებაში, სტრუქტურირებული პროცესით. პოლიტიკა შეიძლება იყოს შიდა მოხმარების და არ განთავსდეს კომპანიის ვებგვერდზე ან სხვა საჯარო სივრცეში. თუმცა, კომპანიას უნდა შეეძლოს მოთხოვნისამებრ მისი გაზიარება. კომპანიამ უნდა წარმოადგინოს ბმული ან დამხმარე დოკუმენტი, თუ აქვს პოლიტიკის შემუშავების ვალდებულება. სხვა შემთხვევაში, წარმოადგინოს დამატებითი ინფორმაცია. ორგანიზაციამ უნდა აირჩიოს პასუხი „არა. არ გვაქვს პოლიტიკის შემუშავების გეგმები“, თუ თემა კომპანიისთვის მნიშვნელოვანია, მაგრამ პოლიტიკა ჯერ არ არის შემუშავებული. კომპანიებმა უნდა აირჩიონ „არა. თუმცა ვგეგმავთ მომდევნო ორი წლის განმავლობაში“, თუ საკითხი ფიქსირდება პრობლემურად, რომელიც მნიშვნელოვანი იქნება უახლოეს მომავალში. ინფორმაციის წარმოდგენა არ მოითხოვს ორგანიზაციის მიერ პოლიტიკის შემუშავებას ან განხორციელებას.		პრინციპი 10	16.4, 16.5, 16.6

AC3: ტრეინინგი	„კორუფცია ძირს უთხრის დაინტერესებული მხარეების ლეგიტიმურობას და ნდობას; ასოცირდება კაპიტალის არასწორ განაწილებასთან, გარემოზე ზიანთან, ადამიანის ექსპლუატაციასთან და არაეთიკურ და უკანონო ქცევასთან. ანტიკორუფციული ტრენინგი და ინვესტიციები ინიციატივებში, როგორც საოპერაციო გარემოს, ასევე კულტურის გასაუმჯობესებლად, განავითარებს კომპანიის ანტიკორუფციულ შესაძლებლობებს“. წყარო: WEF საერთო საზომები ამ შემთხვევაში, "ტრენინგში" მოიაზრება: ▪ ყველა სახის პროფესიული მომზადება და სწავლება; ▪ ორგანიზაციის მიერ თანამშრომლებისთვის ანაზღაურებული სასწავლო შვებულება; ▪ ტრენინგი ან განათლება, რომელსაც ატარებს გარე ორგანიზაცია და მთლიანად ან ნაწილობრივ დაფინანსებულია ორგანიზაციის მიერ; ▪ ტრენინგი კონკრეტულ საკითხებზე“. წყარო: GRI დოკუმენტი 404-1 ტრენინგი შეიძლება იყოს ეფექტური ინსტრუმენტი კორუფციის შემთხვევების პრევენციის და ორგანიზაციაში არასათანადო ქცევის იდენტიფიცირებისთვის. ტრენინგი ასევე შეიძლება იყოს ეფექტური ინსტრუმენტი ბიზნეს პარტნიორებსა და მიწოდების ქსელებში ანტიკორუფციული ღონისძიებების განსახორციელებლად. ტრენინგზე უნდა მოხდეს ცოდნის სისტემატური გადაცემა და პარალელური შემოწმება. როგორც წესი, კურსები ტარდება პერიოდულად, აქვთ სხვადასხვა დონე და ხშირად გაიცემა „კურსის გავლის სერთიფიკატები“. ზოგჯერ, კურსების გავლა აუცილებელია უფრო მაღალ პოზიციებზე გადასვლისთვის. ინფორმაციის და სხვა მასალების გავრცელება ასევე ტრენინგის სწორი ფორმებია, თუ არ არის შემთხვევითი და მათი გავლენა შეიძლება რაიმე ფორმით შეფასდეს. ამ კითხვის მიზანია დადგინდეს, თუ ვინ გადის ტრენინგს ანტიკორუფციულ საკითხებზე. ორგანიზაციებმა შეიძლება აირჩიონ პასუხი „სხვა“ და წარმოადგინონ დამატებითი ინფორმაცია.	WEF საერთო საზომები GRI ინფორმაცია 205-2 (2016)	პრინციპი 10	16.4, 16.5, 16.6
AC3.1: ტრეინინგის პერიოდულობა	ანტიკორუფციულ თემებზე რეგულარული ტრეინინგი ეხმარება თანამშრომლებს და ხელმძღვანელობას, ქონდეთ ინფორმაცია და ყურადღებით მიუდგნენ კორუფციის პოტენციურ შემთხვევებს, ისევე როგორც კომპანიის პოლიტიკაში ბოლოდროინდელი ცვლილებებს.		პრინციპი 10	16.4, 16.5, 16.6

AC4: შესრულების მონიტორინგი	„ორგანიზაციისთვის აუცილებელია მისი ქმედებების ეფექტურობის მონიტორინგი, რათა დაადგინოს, ოპტიმალურად ხორციელდება თუ არა პოლიტიკა და პროცესები. ასევე აუცილებელია ვიცოდეთ, ეფექტურად მოახდინა თუ არა რეაგირება ზემოქმედებაზე და უზრუნველყო მუდმივი გაუმჯობესება.” წყარო: GRI-ის ინფორმაცია 3-3-e (2021), საკითხი GRI 205 (2016) „ანტიკორუფციული პოლიტიკისა და პროცედურების კომპლექსური მიმოხილვა მოითხოვს ინფორმაციას სხვადასხვა წყაროდან, როგორიცაა: ▪ კომპანიის მენეჯმენტის მიერ შესაბამისი პრაქტიკის (მათ შორის შიდა კონტროლის) შიდა მონიტორინგის შედეგები, პროგრამის საერთო ხარისხის შესახებ ვრცელი ინფორმაციის წარმოსადგენად; ▪ შიდა და გარე აუდიტის შედეგები; ▪ პროგრამის და პოლიტიკის შიდა და გარე აუდიტის შედეგები; ▪ თანამშრომელთა უნარების, ბიზნეს პარტნიორების, პოლიტიკის და რისკის შეფასება; ▪ საორიენტაციო ინდიკატორები ან შედარება შესაბამისი დარგის კომპანიებთან. მიმოხილვები უნდა ჩატარდეს რეგულარულად, დირექტორთა საბჭოს ან ექვივალენტური ორგანოს მიერ განსაზღვრული პერიოდულობით, საჭიროების შემთხვევაში ემატება სპეციალურ მიმოხილვებს (მაგ., თანამშრომლების ან ბიზნეს პარტნიორების მიერ გამოვლენილი ან სავარაუდო გადაცდომის შემთხვევაში). წყარო: ადაპტირებული UNODC-დან - ანტიკორუფციული ეთიკის და შესაბამისობის პროგრამა ბიზნესისთვის: პრაქტიკული გზამკვლევი თუ ორგანიზაცია აირჩევს პასუხს „არა, არ ვაწარმოებთ ანტიკორუფციული შესაბამისობის პროგრამის მონიტორინგს“ ან „კი, სხვა მექანიზმების მეშვეობით“, ორგანიზაციამ უნდა წარმოადგინოს დამატებითი ინფორმაცია.	SDG ქმედების მენეჯერი - SDG 16: ეთიკის და კორუფციის მონიტორინგი; GRI ინფორმაცია 3-3-e (2021) თემაზე GRI 205 (2016)	პრინციპი 10	16.4, 16.5, 16.6

AC5. კორუფციის შემთხვევები	„მაჩვენებელი ასახავს საანგარიშო პერიოდში კორუფციის დადასტურებულ შემთხვევათა საერთო რაოდენობას.“ კორუფციაში იგულისხმება მექრთამეობა, თაღლითობა, გამოძალვა, ფარული მოლაპარაკება და ფულის გათეთრება; საჩუქრების, სესხების, ჯილდოების ან სხვა უპირატესობების შეთავაზება ან მიღება, როგორც სტიმული არაკეთილსინდისიერი, უკანონო ქმედებისთვის. კორუფციაში ასევე შეიძლება შედიოდეს მითვისება, გავლენით ვაჭრობა, უფლებების ბოროტად გამოყენება, უკანონო გამდიდრება, დამალვა და მართლმსაჯულების ხელის შეშლა“. წყარო: UNCTAD, ISAR D.2.1 „არც ერთი ორგანიზაცია არ არის დაცული კორუფციის საფრთხისგან. ასეთ ინციდენტებს შეიძლება მნიშვნელოვანი უარყოფითი შედეგები მოყვეს ორგანიზაციისთვის და აუცილებელია მომზადება, რათა მოხდეს ამ ინციდენტების კარგად გადაწყვეტა, ზემოქმედების შერბილება, გაკვეთილების გათვალისწინება და ზომების გატარება პროგრამის გასაუმჯობესებლად. არასასურველი შედეგები შეიძლება მოიცავდეს სამართლებრივ დევნას, ჯარიმების და სხვა ხარჯების რისკით; რეპუტაციულ ზიანს და ანტიკორუფციული პროგრამის ჩაშლას“. წყარო: გაეროს გლობალური შეთანხმება; საერთაშორისო გამჭვირვალობა „კორუფციის შემთხვევების საერთო რაოდენობა და ფორმა კომპანიის კომპლექსური ანტიკორუფციული კულტურის და შესაძლებლობების ეფექტურობის მაჩვენებელი. კორპორაციული კორუფცია შეიძლება განვითარდეს იქ, სადაც მმართველობა სუსტია. საზოგადოება მოელის, რომ კომპანიები დაიცავენ ბიზნესის ეთიკურად წარმოების წესებს. კომპანიებს, რომლებიც ახორციელებენ ანტიკორუფციულ პოლიტიკას და პრაქტიკას, უშუალოდ შეაქვთ წვლილი მდგრადი განვითარების მიზნების ხედვაში - 16.5 „არსებითად შემცირდეს კორუფციის და მექრთამეობის ყველა ფორმა“. წინა წლებთან შედარებით ახალი კორუფციული შემთხვევების რაოდენობის და პროპორციის მონიტორინგი იძლევა გარკვეულ წარმოდგენას პერიოდულ ცვლილებებზე ეფექტიანობაში. ორგანიზაციებმა უნდა გაითვალისწინონ ადგილობრივი კანონები, რომლებსაც შეუძლიათ განაპირობონ ან შეზღუდონ აქ მითითებულ სტანდარტის დანერგვა.” წყარო: WEF საერთო საზომები „ამ ინდიკატორის გასაზომად საჭიროა საანგარიშო პერიოდში კორუფციის ყველა დადასტურებული შემთხვევის გათვალისწინება. მოკვლევის პროცესში არსებული კორუფციული შემთხვევები არ გაითვალისწინება. დადასტურებული შემთხვევების იდენტიფიცირებისთვის აუცილებელია ვიხელმძღვანელოთ ქცევის კოდექსით, ეთიკის კოდექსით, მარეგულირებელი ორგანოების და სასამართლოების მიერ დადგენილი კლასიფიკაციით. წყარო: UNCTAD, ISAR ძირითადი ინდიკატორები. თუ ორგანიზაცია არ ზომავს ამ მაჩვენებელს, უნდა აირჩიოს პასუხი „უცნობია“. ამ საზომის მგრძნობიარე ბუნების გათვალისწინებით, კომპანიებს ასევე შეუძლიათ აირჩიონ პასუხი „არ გამჟღავნდეს“. ინფორმაციის არ გამჟღავნების ფაქტი დაფიქსირდება საჯარო.	GRI ინფორმაცია 205-3 (2016); WEF საერთო საზომები UNCTAD, ISAR D.2.1	Principle 10	16.4, 16.5, 16.6

AC6: კორუფციის სავარაუდო შემთხვევების მოკვლევა	„არც ერთი ორგანიზაცია არ არის დაცული კორუფციის საფრთხისგან. ასეთ ინციდენტებს შეიძლება მნიშვნელოვანი უარყოფითი შედეგები მოყვეს ორგანიზაციისთვის და აუცილებელია მომზადება, რათა მოხდეს ამ ინციდენტების კარგად გადაწყვეტა, ზემოქმედების შერბილება, გაკვეთილების გათვალისწინება და ზომების გატარება პროგრამის გასაუმჯობესებლად. არასასურველი შედეგები შეიძლება მოიცავდეს სამართლებრივ დევნას, ჯარიმების და სხვა ხარჯების რისკით; რეპუტაციულ ზიანს და ანტიკორუფციული პროგრამის ჩაშლას“. წყარო: გაეროს გლობალური შეთანხმება; საერთაშორისო გამჭვირვალობა არსებობს კონცეფციის მრავალი განსხვავებული განმარტება. ერთი განმარტებით, „საჯარო მოხელეების (დანიშნული ან არჩეული) უფლებამოსილების აქტიური ან პასიური ბოროტად გამოყენება კერძო ფინანსური ან სხვა სარგებლობისთვის“. წყარო: OECD ტერმინთა განმარტება. კიდევ ერთი ხშირად გამოყენებული განმარტება, რომელიც მოიცავს კორუფციული საქმიანობის ფართო სპექტრს, არის „სახელმწიფო ან კერძო თანამდებობის ბოროტად გამოყენება პირადი სარგებლობისთვის“. კორუფციაში იგულისხმება მექრთამეობა, თაღლითობა, გამოძალვა, ფარული მოლაპარაკება და ფულის გათეთრება; საჩუქრების, სესხების, ჯილდოების ან სხვა უპირატესობების შეთავაზება ან მიღება, როგორც სტიმული არაკეთილსინდისიერი, უკანონო ქმედებისთვის.“ წყარო: UNCTAD, ISAR ძირითადი ინდიკატორები კითხვის მიზანია, დადგინდეს შესაძლებლობები კორუფციის პოტენციური შემთხვევების გამოსაძიებლად, მაგალითად, რა ნაბიჯებს დგამს კომპანია ბრალდების მართებულობის გამოსაძიებლად, თუ ვინმე აჟღერებს ინფორმაციას კორუფციის დაუდასტურებელი შემთხვევის შესახებ? ამ შემთხვევაში, „სავარაუდო“ ინციდენტები არ არის აუცილებლად დადასტურებული, თუმცა აქვთ საკმარისი ლეგიტიმაცია შემდგომი ქმედებებისთვის. თუ ორგანიზაცია არ გაზომავს ამ მონაცემებს, მან უნდა აირჩიოს გრაფა "უცნობი". ამ მონაცემების მგრძნობიარე ბუნების გათვალისწინებით, კომპანიებს შეუძლიათ ასევე აირჩიონ „გაუმჟღავნებლობა“. გადაწყვეტილება ამ ინფორმაციის გაუმჟღავნებლობის შესახებ გასაჯაროვდება.			
AC6.1: კორუფციის საეჭვო შემთხვევებზე რეაგირების	ანტიკორუფციული ორგანოები სარგებლობენ კომპანიებთან თანამშრომლობით, რადგან ეს აძლევს საშუალებას გაიგონ, როგორ მოხდა კორუფციული ქმედება, როგორ დაიფარა იგი თავდაპირველად და როგორ იქნა გამოვლენილი, რაც მათ საშუალებას აძლევს, იყვნენ უფრო ეფექტური თავიანთ მომავალ გამოძიებაში. კერძო სექტორს ასევე შეუძლია მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს დანაშაულის შედეგად მიღებული შემოსავლების იდენტიფიცირებაში და კანონიერი მფლობელებისთვის მათ დაბრუნებაში. ამრიგად, თანამშრომლობა კერძო სექტორსა და ხელისუფლებას შორის მნიშვნელოვანია კორუფციისა და მისი უარყოფითი შედეგების წინააღმდეგ ეფექტური ბრძოლისთვის“. წყარო: გაეროს ნარკოტიკების და დანაშაულის სამართველო, ანტიკორუფციული ეთიკისა და შესაბამისობის პროგრამა ბიზნესისთვის: პრაქტიკული გზამკვლევი დამატებითი ინფორმაციისთვის გთხოვთ, იხილოთ UNODC-ის რესურსების სახელმძღვანელო კორპორატიული წესიერების გაძლიერების სახელმწიფო ზომების შესახებ. ამ კითვის მიზანია, გაირკვეს კორუფციის პოტენციური შემთხვევების გამოძიების დასაბუთება.	GRI ინფორმაცია 3-3-d (2021), საკითხი GRI 205 (2016); მე-10 პრინციპზე ანგარიშგების მითითებები – B3; UNCTAD, ISAR D.2.1	პრინციპი 10	16.4, 16.5, 16.6

AC7: კოლექტიური ქმედებები კორუფციის წინააღმდეგ	„კოლექტიური ქმედება არის დაინტერესებული მხარეების ერთობლივი და მდგრადი თანამშრომლობის პროცესი, რაც ზრდის ინდივიდუალური ქმედებების ზემოქმედებას და სანდოობას, აერთიანებს დაუცველ ინდივიდუალურ მოთამაშეებს თანამოაზრე ორგანიზაციების ალიანსში და აბალანსებს სამოქმედო ველს კონკურენტებს შორის. კოლექტიურმა ქმედებამ შესაძლოა შეავსოს ან დროებით ჩაანაცვლოს და გააძლიეროს შედარებით სუსტი ადგილობრივი კანონები და ანტიკორუფციული პრაქტიკა“. წყარო: მსოფლიო ბანკი კოლექტიური ქმედებების გამოყენება შესაძლებელია არაერთ სფეროში, მათ შორის, დახმარება მიწოდების ჯაჭვებში კორუფციის პრევენციაში ან გადაწყვეტაში. „კორუფციის რისკი მიწოდების ჯაჭვში მაღალია, განსაკუთრებით კორუფციის მაღალი ხარისხის მქონე ქვეყნებში. როგორც წარმოების კომპლექსური ღირებულების ჯაჭვების ნაწილი, ყველა ორგანიზაციას ემუქრება ბიზნეს პარტნიორების კორუფციულ ქცევასთან ასოცირების რისკი და შესაბამისად მიწოდების შეფერხების რისკი, თუ მათ მომწოდებლებს, კორუფციაში ბრალდების გამო, მოუწევთ ოპერაციების შეწყვეტა, ან მოხვდებიან შავ სიებში.” წყარო: გაეროს გლობალური შეთანხმება; საერთაშორისო გამჭვირვალობა კომპანიებმა, რომლებიც კითხვაზე აირჩევენ პასუხს „კი“, უნდა წარმოადგინონ დამატებითი ინფორმაცია, რომელიც აღწერს მათი კოლექტიური მოქმედებების სახეობას.	GRI ინფორმაცია 3-3-d (2021) for the topic GRI 205 (2016)	Principle 10	16.4, 16.5, 16.6
AC8: პრაქტიკული ქმედებები	ეს ღია სექცია განკუთვნილია კომპანიების მიერ დამატებითი ინფორმაციის წარმოსადგენად, რომელიც არ დაფიქსირებულა წინა პასუხებში, მათ შორის განხორციელებული დამატებითი აქტივობები, კორუფციასთან ბრძოლასთან დაკავშირებული მიზნები ან/და ანტიკორუფციული გამოწვევები.	GRI ინფორმაცია 3-3-c და 3-3-d (2021), საკითხი GRI 205 (2016)	პრინციპი 10	16.4, 16.5, 16.6

დამატებითი რესურსები კორუფციასთან ბრძოლის საკითხზე

საკითხი	რესურსი
კორუფციასთან ბრძოლა (ზოგადი)	პრინციპი 10: ბიზნესებმა უნდა აწარმოონ ბრძოლა კორუფციის ყველა ფორმის წინააღმდეგ, მათ შორის გამოძალვასა და მექრთამეობას გაეროს კონვენცია კორუფციასთან ბრძოლის შესახებ UNODC: ანტიკორუფციული ეთიკის და შესაბამისობის პროგრამა ბიზნესისთვის: პრაქტიკული სახელმძღვანელო OECD: ანტიკორუფციული ეთიკის და შესაბამისობის სახელმძღვანელო ბიზნესისთვის RESIST საერთაშორისო გარიგებებში გამოძალვისა და წაქეზების წინააღმდეგობა
კოლექტიური ქმედებები	გაეროს გლობალური შეთანხმება: გაერთიანება კორუფციის წინააღმდეგ: ანტიკორუფციული კოლექტიური ქმედებების კრებული გაეროს გლობალური შეთანხმება: კორუფციის წინააღმდეგ კოლექტიური მოქმედების პრაქტიკული გზამკვლევი გაეროს გლობალური შეთანხმება, კოლექტიური მოქმედება კორუფციის წინააღმდეგ
რისკების შეფასება	გაეროს გლობალური შეთანხმება: გზამკვლევი ანტიკორუფციული რისკების შეფასებისთვის
მიწოდების ჯაჭვები	გაეროს გლობალური შეთანხმება: კორუფციასთან ბრძოლა მიწოდების ჯაჭვში: მომხმარებლების და მომწოდებლების გზამკვლევი
განხორციელება და ანგარიშგება მე-10 პრინციპზე	ბიზნესი კორუფციის წინააღმდეგ – სამოქმედო ჩარჩო მე-10 პრინციპზე ანგარიშგების სახელმძღვანელო, კორუფციასთან ბრძოლის საკითხები

მეფინგი - მდგრადი განვითარების მიზნები

17 მდგრადი განვითარების მიზანი წარმოადგენს 2030 წლის მდგრადი განვითარების დღის წესრიგს, რომელიც 2015 წელს მიიღო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყველა წევრმა სახელმწიფომ. გაეროს გლობალური შეთანხმების ათი პრინციპის განხორციელებით, ბიზნესი ასევე წვლილს შეიტანს მდგრადი განვითარების მიზნებში.

მომდევნო ცხრილში მოცემულია, თუ რომელ კონკრეტულ მიზანს უკავშირდება პროგრესის შესახებ კომუნიკაციის შესაბამისი კითხვები.

მდგრადი განვითარების მიზანი	სამიზნე	პროგრესზე კომუნიკაციის კითხვები
SDG 1: სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა	1.1	HR1, HR2, HR2.1, HR3, HR4, HR5, HR6, HR7, HR8
	1.2	HR1, HR2, HR2.1, HR3, HR4, HR5, HR6, HR7, HR8, L1, L1.1, L2, L3, L4, L5, L7, L8, L9, L10, L11, L12
	1.3	HR1, HR2, HR2.1, HR3, HR4, HR5, HR6, HR7, HR8, L1, L1.1, L2, L3, L4, L5
	1.4	HR1, HR2, HR2.1, HR3, HR4, HR5, HR6, HR7, HR8, L1, L1.1, L2, L3, L4, L5, L7, L8, L9, L10, L11, L12
	1.5	HR1, HR2, HR2.1, HR3, HR4, HR5, HR6, HR7, HR8, L1, L1.1, L2, L3, L4, L5, E1, E1.1, E2, E3, E4, E4.1, E4.2, E5, E6,E6.1, E7, E8, E9, E10, E20
	1.a	HR1, HR2, HR2.1, HR3, HR4, HR5, HR6, HR7, HR8
	1.b	HR1, HR2, HR2.1, HR3, HR4, HR5, HR6, HR7, HR8
SDG 2: შიმშილის აღმოფხვრა, სურსათის უსაფრთხოება და კვების გაუმჯობესება და სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების ხელშეწყობა	2.1	HR1, HR2, HR2.1, HR3, HR4, HR5, HR6, HR7, HR8, E1, E1.1, E2, E3, E4, E4.1, E4.2, E5, E10, E11, E12, E13, E14,E15, E20
	2.2	
	2.3	HR1, HR2, HR2.1, HR3, HR4, HR5, HR6, HR7, HR8, E1, E1.1, E2, E3, E4, E4.1, E4.2, E5, E10, E11, E12, E13, E14,E15, E20
	2.4	E1, E1.1, E2, E3, E4, E4.1, E4.2, E5, E6, E6.1, E7, E8, E9, E10, E20
	2.5	HR1, HR2, HR2.1, HR3, HR4, HR5, HR6, HR7, HR8
	2.a	HR1, HR2, HR2.1, HR3, HR4, HR5, HR6, HR7, HR8
	2.b	

მდგრადი განვითარების მიზანი	სამიზნე	პროგრესზე კომუნიკაციის კითხვები
	2.c	HR1, HR2, HR2.1, HR3, HR4, HR5, HR6, HR7, HR8
SDG 3: ჯანსაღი ცხოვრების უზრუნველყოფა და ყველა ასაკის ადამიანის კეთილდღეობის ხელშეწყობა	3.1	L1, L1.1, L2, L3, L4, L5, L6, L8, L19, L10, L11, L12
	3.2	L1, L1.1, L2, L3, L4, L5, L8, L9, L10, L11, L12, L13, E1, E1.1, E2, E3, E4, E4.1, E4.2, E5, E16, E20
	3.3	L1, L1.1, L1.2, L2, L3, L4, L5, L7, L8, L9, L10, L11, L12
	3.4	L1, L1.1, L1.2, L2, L3, L4, L5, L7, L8, L9, L10, L11, L12, E1, E1.1, E2, E3, E4, E4.1, E4.2, E5, E16, E20
	3.5	
	3.6	
	3.7	L1, L1.1, L1.2, L2, L3, L4, L5, L6, L7, L8, L9, L10, L11, L12
	3.8	L1, L1.1, L2, L3, L4, L5, L7, L8, L9, L10, L11, L12, E1, E1.1, E2, E3, E4, E4.1, E4.2, E5, E16, E20
	3.9	E1, E1.1, E2, E3, E4, E4.1, E4.2, E5, E9, E10, E16, E17, E18, E19, E20
	3.a	
	3.b	
	3.c	
	3.d	
SDG 4: ინკლუზიური და თანაბარი ხარისხის განათლების უზრუნველყოფა და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობების შექმნა ყველასთვის	4.1	HR1, HR2, HR2.1, HR3, HR4, HR5, HR6, HR7, HR8, L1, L1.1, L2, L3, L4, L5, L11, L12
	4.2	L1, L2, L3, L4, L5, L11, L12
	4.3	L1, L2, L3, L4, L5, L8, L9, L11, L12
	4.4	HR1, HR2, HR2.1, HR3, HR4, HR5, HR6, HR7, HR8
	4.5	HR1, HR2, HR2.1, HR3, HR4, HR5, HR6, HR7, HR8

მდგრადი განვითარების მიზანი	სამიზნე	პროგრესზე კომუნიკაციის კითხვები
	4.6	
	4.7	HR1, HR2, HR2.1, HR3, HR4, HR5, HR6, HR7, HR8
	4.a	
	4.b	
	4.c	
SDG 5: გენდერული თანასწორობა და ქალების შესაძლებლობების გაძლიერება	5.1	HR1, HR2, HR2.1, HR3, HR4, HR5, HR6, HR7, HR8, L1, L1.1, L1.2, L2, L3, L4, L5, L7, L8, L9, L11, L12
	5.2	HR1, HR2, HR2.1, HR3, HR4, HR5, HR6, HR7, HR8, G3, G4, G5, G6, G6.1,G7,G7.1, G8, G8.1, G9
	5.3	HR1, HR2, HR2.1, HR3, HR4, HR5, HR6, HR7, HR8, L1, L1.1, L2, L3, L4, L5, L8, L9, L11, L12
	5.4	
	5.5	L1, L1.1, L2, L3, L4, L5, L6, L7, L8, L9, L11, L12, G3, G4, G5, G6, G6.1,G7,G7.1, G8, G8.1, G9, G11
	5.6	HR1, HR2, HR2.1, HR3, HR4, HR5, HR6, HR7, HR8
	5.a	
	5.b	
	5.c	
SDG 6: წყლის და სანიტარული მომსახურებების ხელმისაწვდომობა და მდგრადი მართვა	6.1	HR1, HR2, HR2.1, HR3, HR4, HR5, HR6, HR7, HR8, E1, E1.1, E2, E3, E4, E4.1, E4.2, E5, E11, E12, E20
	6.2	HR1, HR2, HR2.1, HR3, HR4, HR5, HR6, HR7, HR8
	6.3	E1, E1.1, E2, E3, E4, E4.1, E4.2, E5, E11, E12, E16, E17, E18, E19, E20
	6.4	E1, E1.1, E2, E3, E4, E4.1, E4.2, E5, E11, E12, E20
	6.5	E1, E1.1, E2, E3, E4, E4.1, E4.2, E5, E10, E11, E12, E20

მდგრადი განვითარების მიზანი	სამიზნე	პროგრესზე კომუნიკაციის კითხვები
	6.6	E1, E1.1, E2, E3, E4, E4.1, E4.2, E5, E11, E12, E13, E14, E15, E20
	6.a	
	6.b	
SDG 7: ხელმისაწვდომ, საიმედო, მდგრად და თანამედროვე ენერგიაზე წვდომის უზრუნველყოფა	7.1	E1, E1.1, E2, E3, E4, E4.1, E4.2, E5, E9, E10, E20
	7.2	E1, E1.1, E2, E3, E4, E4.1, E4.2, E5, E9, E10, E21
	7.3	E1, E1.1, E2, E3, E4, E4.1, E4.2, E5, E9, E10, E22
	7.a	
	7.b	
SDG 8: მდგრადი, ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის, სრული და პროდუქტიული დასაქმების და ღირსეული შრომის ხელშეწყობა	8.1	G1, G2, G3, G4, G5, G6,G6.1, G7, G7.1, G8, G8.1, G12
	8.2	
	8.3	G1, G2, G3, G4, G5, G6,G6.1, G7, G7.1, G8, G8.1, G13, L1, L1.1, L1.2, L2, L3, L4, L5
	8.4	E1, E1.1, E2, E3, E4, E4.1, E4.2, E5, E9, E10, E20
	8.5	G1, G2, G3, G4, G5, G6, G6.1, G7, G7.1, G8, G8.1, G9, G12, G13, L1, L1.1, L2, L3, L4, L5, L6, L7, L8, L9
	8.6	L1, L1.1, L2, L3, L4, L5, L11, L12
	8.7	HR1, HR2, HR2.1, HR3, HR4, HR5, HR6, HR7, HR8, L1, L1.1, L1.2, L2, L3, L4, L5, L11, L12, G1, G2, G3, G4, G5, G6,G6.1, G7, G7.1, G8, G8.1, G11, G12
	8.8	HR1, HR2, HR2.1, HR3, HR4, HR5, HR6, HR7, HR8, L1, L1.1, L2, L3, L4, L5, L11, L12, G1, G2, G3, G4, G5, G6, G6.1,G7, G7.1, G8, G8.1, G11, G12
	8.9	
	8.a	
	8.b	

მდგრადი განვითარების მიზანი	სამიზნე	პროგრესზე კომუნიკაციის კითხვები
	8.b	
SDG 9: მდგრადი ინფრასტრუქტურის შექმნა, ინკლუზიური და მდგრადი ინდუსტრიალიზაციის ხელშეწყობა და ინოვაციების წახალისება	9.1	HR1, HR2, HR2.1, HR3, HR4, HR5, HR6, HR7, HR8
	9.2	L1, L1.1, L2, L3, L4, L5, L11, L12
	9.3	
	9.4	E1, E1.1, E2, E3, E4, E4.1, E4.2, E5, E9, E10, E11, E12, E20
	9.5	E10
	9.a	
	9.b	
	9.c	
SDG 10: ქვეყნებში და ქვეყნებს შორის უთანასწორობის შემცირება	10.1	L1, L1.1, L2, L3, L4, L5, L11, L12
	10.2	HR1, HR2, HR2.1, HR3, HR4, HR5, HR6, HR7, HR8, L1, L1.1, L2, L3, L4, L5, L11, L12
	10.3	HR1, HR2, HR2.1, HR3, HR4, HR5, HR6, HR7, HR8, L1, L1.1, L2, L3, L4, L5, L11, L12
	10.4	L1, L1.1, L2, L3, L4, L5, L11, L12
	10.5	
	10.6	
	10.7	HR1, HR2, HR2.1, HR3, HR4, HR5, HR6, HR7, HR8
	10.a	
	10.b	
	10.c	

მდგრადი განვითარების მიზანი	სამიზნე	პროგრესზე კომუნიკაციის კითხვები
SDG 11: ქალაქების და დასახლებების ინკლუზიურობის, უსაფრთხოების, მდგრადობის უზრუნველყოფა	11.1	HR1, HR2, HR2.1, HR3, HR4, HR5, HR6, HR7, HR8
	11.2	
	11.3	E1, E1.1, E2, E3, E4, E4.1, E4.2, E5, E6, E6.1, E7, E8, E9, E10, E11, E12, E20
	11.4	
	11.5	E1, E1.1, E2, E3, E4, E4.1, E4.2, E5, E9, E10, E11, E12, E20
	11.6	
	11.7	
	11.a	
	11.b	
	11.c	
SDG 12: მდგრადი მოხმარების და წარმოების პრაქტიკის დანერგვა	12.1	E1, E1.1, E2, E3, E4, E4.1, E4.2, E5, E9, E10, E11, E12, E20
	12.2	E1, E1.1, E2, E3, E4, E4.1, E4.2, E5, E9, E10, E11, E12, E13, E14, E15, E16, E18, E19, E20
	12.3	E1, E1.1, E2, E3, E4, E4.1, E4.2, E5, E10, E18, E20
	12.4	E1, E1.1, E2, E3, E4, E4.1, E4.2, E5, E6, E6.1, E7, E8, E9, E10, E11, E12, E13, E14, E15, E16, E17, E18, E19, E20
	12.5	E1, E1.1, E2, E3, E4, E4.1, E4.2, E5, E17, E18, E19, E20
	12.6	E1, E1.1, E2, E3, E4, E4.1, E4.2, E5, E20
	12.7	
	12.8	
	12.a	
	12.b	

მდგრადი განვითარების მიზანი	სამიზნე	პროგრესზე კომუნიკაციის კითხვები
	12.c	
SDG 13: გადაუდებელი ზომების მიღება კლიმატის ცვლილებასთან და მის ზემოქმედებასთან გასამკლავებლად	13.1	E1, E1.1, E2, E3, E4, E4.1, E4.2, E5, E6, E6.1, E7, E8, E20
	13.2	E1, E1.1, E2, E3, E4, E4.1, E4.2, E5, E6, E6.1, E7, E8, E20
	13.3	E1, E1.1, E2, E3, E4, E4.1, E4.2, E5, E6, E6.1, E7, E8, E20
	13.a	E1, E1.1, E2, E3, E4, E4.1, E4.2, E5, E6, E6.1, E7, E8, E20
	13.b	E1, E1.1, E2, E3, E4, E4.1, E4.2, E5, E6, E6.1, E7, E8, E20
SDG 14: ოკეანეების, ზღვების და საზღვაო რესურსების შენარჩუნება და გამოყენება მდგრადი განვითარებისთვის	14.1	E1, E1.1, E2, E3, E4, E4.1, E4.2, E5, E10, E13, E14, E15, E17, E18, E19, E20
	14.2	E1, E1.1, E2, E3, E4, E4.1, E4.2, E5, E10, E13, E14, E15, E16, E18, E19, E20
	14.3	E1, E1.1, E2, E3, E4, E4.1, E4.2, E5, E6, E6.1, E7, E8, E20
	14.4	
	14.5	
	14.6	
	14.7	
	14.a	
	14.b	
	14.c	
SDG 15: ხმელეთის ეკოსისტემების დაცვა, აღდგენა და ხელშეწყობა, ტყეების მდგრადი მართვა, გაუდაბნოებასთან ბრძოლა, მიწის დეგრადირების შეჩერება და ბიომრავალფეროვნების დაკარგვის პრევენცია.	15.1	E1, E1.1, E2, E3, E4, E4.1, E4.2, E5, E13, E14, E15, E16, E18, E19, E20
	15.2	E1, E1.1, E2, E3, E4, E4.1, E4.2, E5, E14, E15, E16, E17, E18, E19, E20
	15.3	E1, E1.1, E2, E3, E4, E4.1, E4.2, E5, E10, E13, E14, E15, E17, E18, E19, E20

მდგრადი განვითარების მიზანი	სამიზნე	პროგრესზე კომუნიკაციის კითხვები
	15.4	E1, E1.1, E2, E3, E4, E4.1, E4.2, E5, E10, E13, E14, E15, E17, E18, E19, E20
	15.5	E1, E1.1, E2, E3, E4, E4.1, E4.2, E5, E10, E13, E14, E15, E17, E18, E19, E20
	15.6	
	15.7	
	15.8	
	15.9	
	15.a	E1, E1.1, E2, E3, E4, E4.1, E4.2, E5, E10, E13, E14, E15, E16, E18, E19, E20
	15.b	E1, E1.1, E2, E3, E4, E4.1, E4.2, E5, E10, E13, E14, E15, E16, E18, E19, E21
	15.c	
SDG 16: მდგრადი განვითარებისთვის მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოებების ხელშეწყობა, მართლმსაჯულების საყოველთაო ხელმისაწვდომობა და ყველა დონეზე ეფექტური, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუტების შექმნა.	16.1	G6, G6.1, G7, G7.1, G8, G8.1, G9, HR1, HR2, HR2.1, HR3, HR4, HR5, HR6, HR7, HR8, L1, L2, L3, L5
	16.2	G6, G6.1, G7, G7.1, G8, G8.1, G9, HR1, HR2, HR2.1, HR3, HR4, HR5, HR6, HR7, HR8, L1, L5
	16.3	G6, G6.1, G7, G7.1, G8, G8.1, G9, HR3, HR5, HR7, L3
	16.4	G6, G6.1, G7, G7.1, G8, G8.1, AC.1, AC1.1, AC2, AC3, AC4, AC5, AC6, AC7, AC8
	16.5	G2, G6, G6.1, G7, G7.1, G8, G8.1, G10, AC.1, AC1.1, AC2, AC3, AC4, AC5, AC6, AC7, AC8
	16.6	G1, G2, G3, G4, G5, G6, G6.1, G7, G7.1, G8, G8.1, G9, G10, G12, G13, E1, E1.1, E2, L1, L2, L3, L5, HR7, AC.1, AC1.1,AC2, AC3, AC4, AC5, AC6, AC7, AC8
	16.7	G1, G2, G3, G4, G5, G8, G8.1, G11, HR8, E2, L1, L1.2, L2, L7, L8,

მდგრადი განვითარების მიზანი	სამიზნე	პროგრესზე კომუნიკაციის კითხვები
	16.8	G1, G2, G3, G4, G5, G6, G6.1, G7, G7.1, G8, G8.1, G9, G10, L3, E1, E1.1, E3, AC7, AC8
	16.9	HR1, HR2, HR2.1, HR3
	16.1	G6, G6.1, G7, G7.1, G8, G8.1, G9, HR1, HR2, HR2.1, HR3, HR4, HR5, HR6, HR7, HR8, E2, L1.2, L6
	16.a	
	16.b	
SDG 17: განხორციელების საშუალებების გაძლიერება და მდგრადი განვითარებისთვის გლობალური პარტნიორობის განვითარება	17.1-17.19	

პროგრესის გამოკითხვის მონაცემთა შემაჯამებელი ცხრილი

ჩამონათვალში განხილულია ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია პროგრესის კითხვარის შესავსებად. მიზანშეწონილია, რომ კომპანიებმა გადახედონ ამ სიას და წინასწარ შეაგროვონ საჭირო მონაცემები, რათა მარტივად და სწრაფად შეავსონ კითხვარი.

ინფორმაციის სახეები	პროგრესის გამოკითხვის დეტალები
საჯაროდ გაცხადებული ვალდებულებები	ხელმძღვანელობა და კომპანია იღებს მდგრადობის უზრუნველყოფის ვალდებულებას
პოლიტიკა	არსებული პოლიტიკის ვალდებულებები თემატურ სფეროებში (ადამიანის უფლებები, შრომა, გარემო, კორუფციასთან ბრძოლა)
სამიზნეები	რა სამიზნეებია განსაზღვრული მოცემულ თემებში ვინც ადგენს ან განიხილავს მიზნებს როგორ კონტროლდება პროგრესი
რისკის მართვის პროცესები	რისკის იდენტიფიკაციისა და პრიორიტეტიზაციის პროცესები (მაგ. კომპლექსური შემოწმების პროცესები, რისკების შეფასების პროცესები, აუდიტის პროცესები) როგორ იყვნენ ჩართული ზემოქმედების ქვეშ მოქცეული დაინტერესებული მხარეები შესაბამის თემატურ სფეროებში თანამშრომლობა მთავრობებთან და შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან თემატურ სფეროებში. რისკ(ებ)ის პრევენციის/შემცირების მიმართულებით პროგრესის მონიტორინგის მექანიზმები შემთხვევები, სადაც მოხდა პრობლემის აღმოფხვრა
შესაძლებლობების შექმნა	სასწავლო აქტივობები თემატურ სფეროებში სასწავლო აქტივობების მიზნობრივი აუდიტორია (ზოგიერთი თანამშრომელი, ყველა დამსაქმებელი, მომწოდებელი და ა.შ.) ტრენინგის ინტენსივობა (წლიური, ორ წელიწადში ერთხელ)
ფუნქციები და სტრუქტურები	თემატურ სფეროებზე პასუხისმგებელი პირი/ჯგუფი ფორმალური სტრუქტურები თემატური სფეროების საკითხების გადასაწყვეტად
გარემო	1-ლი, მე-2, მე-3 დონის სათბურის აირების ემისია ინფორმაცია კლიმატის ცვლილების ადაპტაციის ღონისძიებების შესახებ ნახშირბადის დაბალი შემცველობის პროდუქტების ან სერვისების კვლევაში ინვესტიციის ამონაგების პროცენტული მოცულობა და ნახშირბადის დაბალი შემცველობის პროდუქტებიდან და სერვისებიდან მიღებული შემოსავლის პროცენტული მოცულობა განახლებადი ენერგიის მოხმარება წყლის აღების და მოხმარების მონაცემები; წყლის რესურსის მოხმარების ინტენსივობა მაღალი სტრესის ზონებში საკუთრებაში არსებული, იჯარით აღებული ან მართვადი ტერიტორიების რაოდენობა და ფართობი (ჰექტარი) ბიომრავალფეროვნების ძირითადი ზონების ან მის მიმდებარედ საანგარიშო პერიოდში გარდაქმნილი ბუნებრივი ეკოსისტემების ფართობი (ჰექტარი). ეკოსისტემის აღდგენის მოქმედი პროექტები ჰაერის დამბინძურებლების ემისია (მაგ. აზოტის ჟანგეულები, აქროლადი ორგანული ნაერთები და სხვ.) წარმოქმნილი ნარჩენები, მათ შორის სახიფათო ნარჩენების პროცენტული მოცულობა მოხმარებული ერთჯერადი პლასტმასი

შენიშვნა 1: ზოგიერთი გარემოსდაცვითი ინდიკატორის მოწოდება მოეთხოვება მხოლოდ გარკვეულ სექტორებში მოქმედ მონაწილე კომპანიას. მონაწილეებმა უნდა შეამოწმონ კითხვარის გარემოს განყოფილება ციფრულ პლატფორმაზე, რათა ნახონ, თუ რომელ კითხვებზე უნდა უპასუხონ.

შენიშვნა 2: თუ არ ხდება კომპონენტის გაზომვა, ან ეს კომპონენტი არ არის მნიშვნელოვანი კომპანიისთვის, მონაწილეებს შეუძლიათ აირჩიონ პასუხი „უცნობია“, ან „არ გამოიყენება“.

განმარტებები

ტერმინი	განმარტება
ჩარევა	ჩარევა არის ნებისმიერი ქმედება, რომლის მიზანია დამსაქმებელთა ან დამსაქმებელთა ორგანიზაციების მუშაკთა გაერთიანებების ჩამოყალიბება, ან მშრომელთა ორგანიზაციების მხარდაჭერა ფინანსური ან სხვა კუთხით, დამსაქმებლების ან გაერთიანებების კონტროლის ქვეშ მოქცევის მიზნით. შსო-ს 98 კონვენცია გაერთიანების და კოლექტიური მოლაპარაკებების უფლების შესახებ ითვალისწინებს გაერთიანების საწინააღმდეგო დისკრიმინაციის და ჩარევისგან დაცვას. დამსაქმებლის ჩარევისგან დაცვა მოიცავს შრომითი ურთიერთობის ყველა ეტაპს, დაქირავებიდან შეწყვეტამდე. წყარო: შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის N 98 კონვენცია
სპეციალური საბაზისო მიმოხილვა	კომპანიის [ანტიკორუფციული] შესაბამისობის პროგრამის შეფასება, რომელიც ტარდება რუტინული ან დაგეგმილი შეფასებებისგან დამოუკიდებლად, როგორც წესი კონკრეტული პროცესების ან წარმოშობილი პრობლემების შესაფასებლად. წყარო: UNODC
ზემოქმედების ქვეშ მოქცეული დაინტერესებული მხარეები	ზეგავლენაში მოქცეული დაინტერესებული მხარეები არიან ინდივიდები ან პირთა ჯგუფები, რომლებზეც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ქმედებებმა და გადაწყვეტილებებმა შესაბამის თემებზე. ზეგავლენაში მოქცეული დაინტერესებული მხარეები შეიძლება იყვნენ როგორც შიდა დაინტერესებული მხარეები (მაგალითად, თანამშრომლები და კონტრაქტით დასაქმებული მუშაკები), ასევე გარე დაინტერესებული მხარეები (მაგალითად, მიწოდების ჯაჭვის მუშაკები, ადგილობრივი თემები, მომხმარებლები და პროდუქტის საბოლოო მომხმარებლები). წყარო: გაეროს სახელმძღვანელო პრინციპების ანგარიშგების ჩარჩო პირები ან ჯგუფები, რომელთა ინტერესებზე - დადებითად ან უარყოფითად - გავლენას მოახდენს ან შეიძლება მოახდინოს საწარმოს საქმიანობამ და მისმა პირდაპირმა და არაპირდაპირმა საქმიანმა ურთიერთობებმა ღირებულების მთელს ჯაჭვში. წყარო: EFRAG, ESRS პროექტი - დანართი VI, ტერმინთა შემოკლებები და განმარტებები
ჰაერის დაბინძურება	ჰაერში დამაბინძურებელი ნივთიერებების არსებობა, რომლებიც სათანადოდ არ იშლება და საფრთხეს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობას ან კეთილდღეობას, ან იწვევს გარემოზე სხვა მავნე ზემოქმედებას. წყარო: OECD
ავტომატიზებული მონიტორინგი	კომპიუტერული მონიტორინგის სისტემები, რომლებიც მუდმივად აკონტროლებენ კომპანიის შესაბამისობის პროგრამას, როგორიცაა სხვადასხვა პროცესების, დოკუმენტაციის და სხვა მოთხოვნების შესრულება. შესაძლებელი ხდება შესაბამისობის დარღვევის ადრეულ ეტაპზე გამოვლენა და გამოსწორება. წყარო: UNODC
ბიომრავალფეროვნება	„ბიოლოგიური მრავალფეროვნება" ნიშნავს ცოცხალ ორგანიზმებს შორის განსხვავებას, მათ შორის, ხმელეთის, ზღვის და სხვა წყლების ეკო სისტემებიდან და ეკოლოგიური კომპლექსებიდან; მრავალფეროვნება სახეობებში, სახეობებს შორის და ეკო სისტემებში. წყარო: კონვენცია ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ (CBD)

ბიზნეს ურთიერთობები	ურთიერთობები, რომლებიც პირდაპირ კავშირშია კომპანიის ოპერაციებთან, პროდუქტებთან ან სერვისებთან, მათ შორის ბიზნეს პარტნიორებთან, ღირებულების ჯაჭვის სუბიექტებთან, სახელმწიფო ან არასახელმწიფო სუბიექტებთან, არაპირდაპირი ურთიერთობები ღირებულების ჯაჭვში ან/და უმცირესობის და უმრავლესობის პოზიციები ერთობლივ საწარმოებში. სუბიექტები, რომლებთანაც კომპანიას აქვს რაიმე სახის პირდაპირი და ფორმალური ურთიერთობა ბიზნეს მიზნების მისაღწევად. აღნიშნულში შედის (არა მხოლოდ) სახელშეკრულებო ურთიერთობები. მაგალითები: ერთობლივი საწარმოს პარტნიორები, მოვაჭრეები, ფრენჩაიზერები ან ლიცენზიანტებს, ბიზნეს კლიენტები, კლიენტები, მთავრობები, მომწოდებლები, კონტრაქტორები და კონსულტანტები. წყარო: ლექსიკონი : გაეროს სახელმძღვანელო პრინციპების ანგარიშის ჩარჩო ungpreporting.org

ქიმიური ნივთიერებების დაღვრა	საშიში ნივთიერების შემთხვევით გამოყოფა, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ადამიანის ჯანმრთელობაზე, ნიადაგზე, მცენარეებზე, წყლის ობიექტებზე და მიწისქვეშა წყლებზე. წყარო: მდგრადობის ანგარიშგების სახელმძღვანელო - GRI
ბავშვთა შრომა	ტერმინი „ბავშვთა შრომა“ ხშირად განიმარტება როგორც შრომა, რომელიც ბავშვებს ართმევს ბავშვობას, პოტენციალს და ღირსებას და საზიანოა ფიზიკური და გონებრივი განვითარებისთვის. იგულისხმება სამუშაო, რომელიც გონებრივად, ფიზიკურად, სოციალურად ან მორალურად საშიში და საზიანოა ბავშვებისთვის ან/და ხელს უშლის მათ სკოლაში სწავლის შესაძლებლობას, ართმევს მათ სკოლაში სიარულის შესაძლებლობას, აიძულებს ნაადრევად დატოვონ სკოლა ან ზედმეტად ხანგრძლივი და მძიმე სამუშაოს პარალელურად სწავლა. წყარო: შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია
კლიმატთან ადაპტაცია	ადაპტაცია გულისხმობს ეკოლოგიურ, სოციალურ ან ეკონომიკურ სისტემებში ცვლილებებს რეალურ ან მოსალოდნელ კლიმატურ სტიმულებზე და მათ ზემოქმედებაზე. პროცესების, პრაქტიკისა და სტრუქტურების ცვლილებები პოტენციური ზიანის შესამცირებლად, ან კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული შესაძლებლობებით სარგებლობისთვის. წყარო: გაეროს კლიმატის ცვლილება
CO_2e	სათბურის აირების ემისიების სტანდარტული მეტრიკა მოხსენებულია, როგორც „ნახშირორჟანგის (CO2) ემისიის მოცულობა, რომელიც, დროის მოცემულ დიაპაზონში, ისეთივე ინტეგრირებულ რადიაციულ ან ტემპერატურის ცვლილებას გამოიწვევდა, როგორც სათბურის აირის (GHG) ან GHG აირების ნაზავის გამოყოფილი რაოდენობა. ასეთი ექვივალენტური ემისიების გამოსათვლელად და დროის შესაბამისი დიაპაზონების შესარჩევად მრავალი გზა არსებობს. როგორც წესი, CO2-ის ეკვივალენტური ემისია მიიღება სათბურის აირების ემისიის გამრავლებით მის გლობალურ დათბობის პოტენციალზე (GWP) დროის 100-წლიან დიაპაზონში. სათბურის აირების ნარევის შემთხვევაში, ეს მაჩვენებელი მიიღება თითოეული აირის CO2-ის ექვივალენტური ემისიების შეჯამებით. CO2-ის ექვივალენტური ემისიები არის საზოგადოდ მიღებული საზომი სხვადასხვა სათბურის გაზების ემისიების შესადარებლად, მაგრამ არ გულისხმობს კლიმატის ცვლილებაზე შესაბამისი რეაგირების ეკვივალენტობას. ზოგადად არ არსებობს კავშირი CO2-ის ეკვივალენტურ ემისიებსა და შედეგად მიღებული CO2-ის ექვივალენტურ კონცენტრაციებს შორის." წყარო: IPCC
ქცევის კოდექსი	კომპანიის ქცევის კოდექსი არის პოლიტიკა, რომელიც ასახავს კომპანიის სახელით მოქმედი ყველა თანამშრომლის და მესამე მხარის მიერ შესასრულებელ პრინციპებს და სტანდარტებს. ქცევის კოდექსი განსაზღვრავს ორგანიზაციის მისიას და ღირებულებებს და აკავშირებს ამ იდეალებს პროფესიული ქცევის სტანდარტებთან. ბევრ კომპანიაში ქცევის კოდექსი სამუშაოს შესრულების სტანდარტს წარმოადგენს. წყარო: GAN Integrity
კოლექტიური ქმედებები	კოორდინირებული ძალისხმევა ადამიანთა ჯგუფს ან/და ინსტიტუტებს შორის შეთანხმებული პროცესის ფარგლებში, საერთო მიზნის მხარდასაჭერად. წყარო: წყნარი ოკეანის ინსტიტუტი და Shift (გთხოვთ ასევე იხილოთ „კოლექტიური მოქმედება კორუფციის წინააღმდეგ“)

კორუფციასთან ერთობლივი ბრძოლა	„კოლექტიური ქმედება არის დაინტერესებული მხარეების ერთობლივი და მდგრადი თანამშრომლობის პროცესი, რაც ზრდის ინდივიდუალური ქმედებების ზემოქმედებას და სანდოობას, აერთიანებს დაუცველ ინდივიდუალურ მოთამაშეებს თანამოაზრე ორგანიზაციების ალიანსში და აბალანსებს სამოქმედო ველს კონკურენტებს შორის. როგორც წესი, კოლექტიურ ქმედებებში ჩართული არიან დაინტერესებული მხარეები, მათ შორის კომპანიები, სამოქალაქო საზოგადოება და მთავრობა. კოლექტიური ქმედების ოთხი მთავარი სახეობაა: ანტიკორუფციული დეკლარაცია, პრინციპებზე დაფუძნებული ინიციატივა, კეთილსინდისიერების შეთანხმება და მასერტიფიცირებელი ბიზნეს კოალიცია. წყარო: მსოფლიო ბანკის ინსტიტუტი
ერთობლივი მოლაპარაკებები	„ყველა მოლაპარაკება, რომელიც მიმდინარეობს ერთის მხრივ ერთ ან მეტ დამსაქმებელს ან დამსაქმებელთა გაერთიანებას შორის და მეორეს მხრივ მუშაკთა ერთ ან მეტ ორგანიზაციას (პროფკავშირებს)შორის, სამუშაო პირობების და დასაქმების პირობების განსაზღვრის ან ურთიერთობის დასარეგულირებლად”. შენიშვნა 1: კოლექტიური ხელშეკრულებები შეიძლება იყოს ორგანიზაციის დონეზე; დარგის დონეზე, ქვეყნებში, სადაც ეს პრაქტიკა მოქმედებს; ან ორივე დონეზე. შენიშვნა 2: კოლექტიური ხელშეკრულებები შეიძლება მოიცავდეს დასაქმებულთა კონკრეტულ ჯგუფს; მაგალითად: ვინც ასრულებენ კონკრეტულ სამუშაოს, ან მუშაობენ კონკრეტულ ადგილას. შენიშვნა 3: ეს განმარტება ეფუძნება შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 154-ე კონვენციას, „კოლექტიური მოლაპარაკების კონვენცია“, 1981წ.“ წყარო: GRI სტანდარტების ლექსიკონი
კონტრაქტორი	კონტრაქტორებში შედის ძირითადი და არაძირითადიკონტრაქტორები. ძირითადი კონტრაქტორები არიან მესამე მხარე, როგორიცაა დასაქმების სააგენტოები ან შრომის ძალის მომწოდებლები, რომლებიც აწვდიან მუშაკებს კომპანიას (ანუ მუშაკები არ არიან მომხმარებელი კომპანიის უშუალო თანამშრომლები), მაგრამ ამ მუშაკების შრომას აკონტროლებს კომპანია და ისინი ასრულებენ იმავე ან მსგავს ფუნქციებს, რასაც ასრულებენ კომპანიის ძირითად საქმიანობაში ჩართული თანამშრომლები - მაგალითად, შრომა მწარმოებელი კომპანიის საწარმოო ხაზებზე ან მოვლა საგანგებო დაწესებულებებში. არაძირითადი კონტრაქტორები არიან მესამე მხარის კონტრაქტორები ან მომსახურების მიმწოდებლები, რომლებიც მომსახურებას უწევენ კომპანიას. მუშაკებს აკონტროლებს არაძირითადი კონტრაქტორი და მათი მუშაკები სწევენ მომსახურებას, რომელიც არ წარმოადგენს მომხმარებელი კომპანიის ძირითად საქმიანობას, მაგალითად, უზრუნველყოფენ მომხმარებელი კომპანიის დასუფთავებას, კვებას ან უსაფრთხოებას.
ერთობლივი მოლაპარაკების შეთანხმებები	წყარო: გაეროს გლობალური შეთანხმება, სწრაფი წინსვლა საარსებო ხელფასის სამოქმედო გზამკვლევი
კორუფცია	წერილობითი სამართლებრივი კონტრაქტები დამსაქმებელსა და დასაქმებულთა წარმომადგენლობას შორის. ეს შეთანხმებები შეიძლება იყოს სექტორულ, ეროვნულ, რეგიონულ, ორგანიზაციულ ან სამუშაო ადგილზე. წყარო: SAM - CSA
ღირსეული დასაქმება	

„უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება კერძო მიზნებისთვის", რაც შეიძლება წაქეზებული იყოს ცალკეული პირების ან ორგანიზაციების მიერ. წყარო: „საერთაშორისო გამჭვირვალობა – მექრთამეობის წინააღმდეგ ბრძოლის ბიზნეს პრინციპები". კორუფციაში შედის მექრთამეობა, ფასილიტაციის ტიპის ანაზღაურება, თაღლითობა, გამოძალვა, შეთქმულება და ფულის გათეთრება. ასევე ნებისმიერი საჩუქრის, სესხის, საკომისიოს, ჯილდოს ან სხვა უპირატესობის შეთავაზება ან მიღება, როგორც არაკეთილსინდისიერი, უკანონო ქმედების სტიმული. ეს შეიძლება მოიცავდეს ფულადი ან ნატურალური სარგებელს, როგორიცაა უფასო ნივთები, საჩუქრები, დასვენება ან სპეციალური პერსონალური სერვისები, შეთავაზებული უკანონო უპირატესობის მიღების მიზნით, ან რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს მორალური ზეწოლა უპირატესობის მისაღებად.
წყარო: GRI სტანდარტების ლექსიკონი

ღირსეული დასაქმება აჯამებს ადამიანების მისწრაფებებს დასაქმების კუთხით. მოიცავს დასაქმების შესაძლებლობებს, რომლებიც პროდუქტიულია და უზრუნველყოფს სამართლიან შემოსავალს, უსაფრთხოებას სამუშაო ადგილზე და ოჯახების სოციალურ დაცვას, პიროვნული განვითარების და სოციალური ინტეგრაციის უკეთეს პერსპექტივებს, ადამიანების თავისუფლებას გამოხატონ წუხილი, ორგანიზება გაუწიონ და მიიღონ მონაწილეობა გადაწყვეტილებების მიღებაში, რომლებიც გავლენას ახდენს მათზე, თანაბარი შესაძლებლობებზე და მოპყრობაზე.
წყარო: შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია

ციფრული უსაფრთხოება / კონფიდენციალურობის რისკი	მომხმარებელთა შესახებ ონლაინ მონაცემების შეგროვების და შენახვის კომპონენტი, რომელიც იწვევს არასასურველ ზემოქმედებას კონფიდენციალურობაზე და ადამიანის სხვა უფლებებზე. წყარო: Shift
კეთილსინდისიერება	იგულისხმება პროცესი, რომლის მიზანია იდენტიფიცირება, თავიდან აცილება, შერბილება და გაანგარიშება, თუ როგორ უმკლავდება ორგანიზაცია რეალურ და პოტენციურ ნეგატიურ ზემოქმედებას. წყარო: GRI სტანდარტების ლექსიკონი
ეკოსისტემის აღდგენა	ეკოსისტემების, როგორიცაა ლანდშაფტების, ტბების და ოკეანეების დეგრადაციის შეჩერების პროცესი მათი ეკოლოგიური ფუნქციონირების აღსადგენად; სხვა სიტყვებით: ეკოსისტემების პროდუქტიულობის და შესაძლებლობების ზრდა საზოგადოების საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. ეს შესაძლებელია ზედმეტი ექსპლუატაციის ქვეშ არსებული ეკოსისტემების ბუნებრივი რეგენერაციით ან ხეების და სხვა მცენარეების დარგვით. წყარო: ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირი (IUCN)
თანამშრომელი	პირი, რომელიც ორგანიზაციასთან იმყოფება შრომით ურთიერთობაში, ეროვნული კანონმდებლობის საფუძველზე. არ მოიცავს კონტრაქტორებს, მოვაჭრეებს ან გარე კონსულტანტებს. წყარო: GRI სტანდარტების ლექსიკონი
თანამშრომელთა კატეგორია	გაეროს გლობალური შეთანხმების სწრაფი წინსვლის ინიციატივა განსაზღვრავს თანამშრომელთა შემდეგ კატეგორიებს: უფროსი მენეჯმენტი (ფორმალურად და პირდაპირ ექვემდებარება აღმასრულებელ დირექტორს), მაღალი დონის მენეჯმენტი (ფორმალურად და პირდაპირ ანგარიშვალდებულია უფროს მენეჯმენტთან), საშუალო დონის მენეჯმენტი (ფორმალურად და პირდაპირ ანგარიშვალდებულია ზედა დონის მენეჯმენტთან), უმცროსი/საწყისი დონე (ფორმალურად და პირდაპირ ანგარიშვალდებულია საშუალო მენეჯმენტთან) და საოპერაციო ფუნქციების მქონე პერსონალი (არ შედის არცერთ ზემოთ ჩამოთვლილ კატეგორიაში). წყარო: გაეროს გლობალური შეთანხმება
ენერგიის მოხმარება	„ორგანიზაციაში ენერგიის მთლიანი მოხმარება შეიძლება გამოითვალოს შემდეგი ფორმით: მოხმარებული არა განახლებადი საწვავი + მოხმარებული განახლებადი საწვავი + ელექტროენერგია, გათბობა, გაგრილება და მოხმარებისთვის შეძენილი ორთქლი + თვით წარმოებული ელექტროენერგია, გათბობა, გაგრილება და ორთქლი, რომელიც არ მოიხმარება - ელექტროენერგია, გათბობა, გაგრილება და ორთქლი (ინდიკატორის მნიშვნელი). განახლებადი ენერგიის გამოთვლისთვის, ISAR რეკომენდაციას უწევს ჯოულებში დაფიქსირებას.” წყარო: UNCTAD, ISAR
გარე აუდიტი / მიმოხილვა	

ფორმალური პროცესი, რომლითაც დამოუკიდებელ ორგანოს ან პირს ევალება საკითხის ყოვლისმომცველი განხილვა და ჯვარედინი გამოკვლევა, რათა დადგინდეს, მოხდა თუ არა პრობლემის სათანადო და ეფექტური გამოსწორება. განხილვა შეიძლება დასრულდეს სანქციების და/ან მაკორექტირებელი ზომების რეკომენდაციებით. წყარო: UNODC

გარე დამოუკიდებელი მონიტორინგი	დამოუკიდებელი და გარე ინდივიდი ან ორგანიზაცია, რომელსაც კომპანია ან მარეგულირებელი ორგანო ავალებს კომპანიის ანტიკორუფციული შესაბამისობის პროგრამის ეფექტურობის შეფასებას. წყარო: UNODC
გარე პროგრამები	მიზნები, რომლებიც ოფიციალურად დასახულია მრავალი დაინტერესებული მხარის ინიციატივების მეთოდოლოგიით, როგორიცაა სამეცნიერო საფუძვლის მიზნების ინიციატივა კლიმატისთვის, ან სხვა მიზნები გარკვეულ საკითხებზე, რომლებიც იდენტიფიცირებულია ან დასახულია მესამე მხარის მიერ (მაგ. გაერო, მთავრობები, არასამთავრობო ორგანიზაციები, ბიზნეს ასოციაციები). წყარო: გაეროს გლობალური შეთანხმება
პირველი დონე	გამყიდველები, მყიდველთან პირდაპირი სახელშეკრულებო ურთიერთობით. არ შედის ქვე-კონტრაქტით მომსახურების მიმწოდებლები და მომწოდებლები მიწოდების ჯაჭვის შემდგომ, რომელთაგან ბევრი მცირე და საშუალო ბიზნესს წარმოადგენს. წყარო: შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია: 1-ლი დონის შემდეგ: სისტემური მიდგომის გამოყენება მიწოდების გლობალურ ჯაჭვებში სამუშაო პირობების გასაუმჯობესებლად.
იძულებითი შრომა	ყველა სამუშაო ან მომსახურება, რომელიც ევალება პირს სასჯელის მუქარით და რომლის შესრულებაც პირს ნებაყოფლობით არ შეუთავაზებია. წყარო: შსო, იძულებითი შრომის კონვენცია, 1930 (No. 29)
გაერთიანების თავისუფლება	დამსაქმებელთა და მუშაკთა უფლება შექმნან, გაწევრიანდნენ და მართონ საკუთარი ორგანიზაციები სახელმწიფოს ან სხვა სუბიექტის წინასწარი თანხმობის ან ჩარევის გარეშე. წყარო: GRI სტანდარტების ლექსიკონი

უსამართლობის აღქმა, რომელიც იწვევს ინდივიდის ან ჯგუფის უფლებამოსილების გრძნობას, რომელიც შეიძლება ეფუძნებოდეს კანონს, ხელშეკრულებას, აშკარა ან იმპლიციტურ დაპირებებს, ჩვეულ პრაქტიკას ან დაზარალებული ჯგუფების სამართლიანობის ზოგად ცნებებს. საჩივრების გადაწყვეტის მექანიზმი რუტინული პროცესია, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია საჩივრების დაფიქსირება და გამოსავლის პოვნა.
წყარო: GRI სტანდარტების ლექსიკონი

ჰაერის სახიფათო დამბინძურებლები, ასევე ცნობილი როგორც ჰაერის ტოქსიკური ნივთიერებები, რომლებიც დადასტურებულად ან სავარაუდოდ იწვევენ სიმსივნეს, ან ჯანმრთელობის სხვა სერიოზულ დაზიანებას როგორიცაა რეპროდუქციული ეფექტები ან შობადობის დეფექტები, ან გარემოზე მავნე ზემოქმედებას.

ჰაერის ტოქსიკური დამბინძურებლების მაგალითებია ბენზოლი, რომელიც გვხვდება ბენზინში; პერქლოროეთილენი, რომელიც გამოიყოფა ქიმწმენდის ზოგიერთი ობიექტიდან; და მეთილენ ქლორიდი, რომელიც გამოიყენება როგორც არაერთ დარგში გამხსნელი და საღებავების გამწმენდი. სხვა ტოქსიკური ნივთიერებების მაგალითებია დიოქსინი, აზბესტი, ტოლუოლი და ლითონები, როგორიცაა კადმიუმი, ვერცხლისწყალი, ქრომი და ტყვიის ნაერთები.
წყარო: შეერთებული შტატების გარემოს დაცვის სააგენტო

1) ფიზიკური ან ქიმიური აგენტი, რომელსაც შეუძლია ზიანი მიაყენოს ადამიანებს, ქონებას, ცხოველებს, მცენარეებს ან სხვა ბუნებრივ რესურსებს.

2) ნებისმიერი მასალა, რომელიც საფრთხეს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობას ან/და გარემოს. ტიპიური სახიფათო ნივთიერებებია ტოქსიკური, ჟანგვადი, აალებადი, ფეთქებადი ან ქიმიური რეაქციის გამომწვევი ნივთიერებები.

წყარო: GEMET; InformMEA - ინფორმაცია მრავალმხრივი გარემოსდაცვითი შეთანხმებების შესახებ

ნარჩენების კლასიფიცირება შესაძლებელია სახიფათო ნარჩენების ტრანსსასაზღვრო გადაადგილებისა და მათი განთავსების კონტროლის შესახებ ბაზელის კონვენციის მიხედვით (ბაზელის კონვენცია), რომელიც განსაზღვრავს სახიფათო მახასიათებლების ჩამონათვალს.
წყარო: UNCTAD, ISAR

ზეგავლენა	ზეგავლენა, რომელიც ორგანიზაციას აქვს ან შეიძლება ჰქონდეს ეკონომიკაზე, გარემოსა და ადამიანებზე, მათ შორის ადამიანის უფლებებზე, რაც თავის მხრივ შეიძლება მიუთითებდეს მის როლზე (უარყოფით ან დადებით) მდგრად განვითარებაში. ზემოქმედება შეიძლება იყოს ფაქტობრივი ან პოტენციური, უარყოფითი ან დადებითი, მოკლევადიანი ან გრძელვადიანი, განზრახი ან უნებლიე, შექცევადი ან შეუქცევადი.
საწყისი შეფასება	წყარო: GRI-ის სტანდარტების ლექსიკონი
კორუფციის შემთხვევები	საკითხთან დაკავშირებული ინფორმაციის და დოკუმენტების წინასწარი და პირველადი ანალიზი. შეფასება შეიძლება მოიცავდეს საქმის მასალების, ჩართული პირების, პოტენციური დარღვევების, ვადების და სხვა ფაქტობრივი ელემენტების დაჯამებას. პირველადმა შეფასებამ უნდა უზრუნველყოს საკითხში, ასევე პროცესის გასაგრძელებლად საჭირო მასალებსა და ინფორმაციაში სწრაფად გარკვევა. შედეგად შესაძლოა საკითხი დაიხუროს. წყარო: UNODC
საბჭოს დამოუკიდებელი წევრი	კორუფციის დადასტურებული შემთხვევების რაოდენობა საანგარიშო პერიოდში. წყარო: UNCTAD, ISAR
არაპირდაპირი მომწოდებლები	დირექტორთა საბჭოს წევრები, რომლებიც იღებენ დამოუკიდებელ გადაწყვეტილებებს, ყოველგვარი გარე გავლენის ან ინტერესთა კონფლიქტის გარეშე. დამოუკიდებლობა ზოგადად ნიშნავს ობიექტური, თავისუფალი განსჯის რეალიზებას. როდესაც ის გამოიყენება დამოუკიდებლობის შესაფასებლად, ან ადმინისტრაციული, მმართველობითი და სამეთვალყურეო ორგანოების ან მათი კომიტეტების არააღმასრულებელი წევრის დამოუკიდებლად კლასიფიკაციისას, ეს ნიშნავს ინტერესის, პოზიციის, ასოციაციის ან ურთიერთობის არარსებობას, რამაც, გონივრული და ინფორმირებული მესამე მხარის თვალსაზრისით, შეიძლება მოახდინოს არასათანადო გავლენა ან განაპირობოს მიკერძოება გადაწყვეტილების მიღებისას. წყარო: EFRAG, ESRS პროექტი - დანართი VI, ტერმინების შემოკლებები და განმარტებები
შემთხვევის საწყისი შეფასება	**საქმიანი ურთიერთობები ორგანიზაციის გარეთ, რომლებიც არ არის დაკავშირებული ორგანიზაციის მზა პროდუქტთან; ყველა არაპირველადი დონის (პირდაპირი) მომწოდებელი.** **წყარო: GRI-ის სტანდარტების ლექსიკონის საფუძველზე**
შიდა მოკვლევა	საქმიანი ურთიერთობები ორგანიზაციის გარეთ, რომლებიც არ არის დაკავშირებული ორგანიზაციის მზა პროდუქტთან; ყველა არაპირველადი დონის (პირდაპირი) მომწოდებელი. წყარო: GRI-ის სტანდარტების ლექსიკონის საფუძველზეკომპანიაში ჩატარებული მოკვლევა ან ოფიციალური მოკვლევა, რათა დადგინდეს, არღვევდა თუ არა კორუფციის სავარაუდო შემთხვევა შიდა პოლიტიკას, კანონებს ან რეგულაციებს. გულისხმობს დამატებით ფაქტების დადგენას და წარმოადგენს საქმის სისტემატურ და დეტალურ გამოკვლევას. წყარო: UNODC
თანამშრომლების შიდა თვით მოკვლევები	კომპანიის ანტიკორუფციული შესაბამისობის პროგრამა პერიოდულად აფასებს თანამშრომლებს წინასწარ განსაზღვრული, სტანდარტიზებული შეფასების კრიტერიუმების მეშვეობით, რომლებიც ჩვეულებრივ ხორციელდება კითხვარის ან მსგავსი ინსტრუმენტების საშუალებით. ამ თანამშრომლებს, როგორც წესი, ეკისრებათ შესაბამისობის დადგენის ან განხილვის ფუნქცია და უშუალოდ ანგარიშვალდებულნი არიან მენეჯმენტის წინაშე. ინტერესთა კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად, ეს პირები არ მონაწილეობენ კომპანიის ოპერაციებში. წყარო: UNODC
შიდა პროგრამები	შიდა პროგრამები ეხება თვით გაცხადებულ მიზნებს, რომლებიც განსაზღვრულია კომპანიის მიერ, ოფიციალურად არ არის დაკავშირებული გარე ინიციატივებთან. წყარო: გაეროს გლობალური შეთანხმება
ბიომრავალფეროვნების ძირითადი სფეროები (KBAs)	ზონები, რომლებიც უზრუნველყოფს ბიომრავალფეროვნებას, ბუნებრივი ტერიტორიების ან კულტურული მემკვიდრეობის

შენარჩუნებას. გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემების მონაცემები გლობალური ბიომრავალფეროვნების ძირითადი ტერიტორიებისთვის შეგიძლიათ გადმოწეროთ:
წყარო: KBA: ძირითადი ბიომრავალფეროვნების სფეროები.

შრომითი უფლებები	მუშაკთა უფლებები მოიცავს ადამიანის უფლებათა დიდ ნაწილს, ღირსეული დასაქმების უფლებიდან და გაერთიანების თავისუფლებიდან თანაბარ შესაძლებლობებამდე და დისკრიმინაციისგან დაცვამდე. სამუშაო ადგილთან დაკავშირებული კონკრეტული უფლებები მოიცავს ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებას სამუშაო ადგილზე და კონფიდენციალურობის უფლებას, ასევე მრავალ სხვა უფლებას. მუშაკებს, დამსაქმებლებს და სახელმწიფოს შორის ურთიერთობის გათვალისწინებით, მუშაკთა უფლებები არის სფერო, სადაც ბიზნესი და ადამიანის უფლებები ყველაზე ხშირად იკვეთება. მუშაკთა უფლებები საერთაშორისო დონეზე ასახულია ადამიანის უფლებათა არაერთ კონვენციასა და ხელშეკრულებაში, მათ შორის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში (მუხლები 23 და 24, 1948) და ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო შეთანხმებაში (1966 წ.). 1919 წლიდან შრომის საერთაშორისო ორგანიზაციამ შეიმუშავა შრომის საერთაშორისო სტანდარტების სისტემა - სამართლებრივი დოკუმენტები, რომლებიც შედგენილია შსო-ს წევრების მიერ (მთავრობები, დამსაქმებლები და მუშაკები), რომლებიც ადგენენ მუშაობის ძირითად პრინციპებს და უფლებებს. შსო-ს ხელმძღვანელმა საბჭომ რვა კონვენცია გამოყო როგორც „ძირითადი“, რომლებიც ეხება გაერთიანების თავისუფლებას, კოლექტიური მოლაპარაკებებს, თანაბარ ანაზღაურებას, დისკრიმინაციის, იძულებითი და ბავშვთა შრომის აღმოფხვრას. შსო-ს სხვა არა ფუნდამენტური კონვენციები ფარავს საკითხებს, როგორიცაა ხელფასები, სამუშაო საათები, შრომის დაცვა უსაფრთხოებას, დედების დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა. ამასთან, შსო-მ შეიმუშავა გენდერული თანასწორობის რამდენიმე სტანდარტი, მათ შორის თანაბარი სამუშაოს თანაბარი ანაზღაურების პრინციპი (თანაბარი ანაზღაურების კონვენცია); დისკრიმინაციის აკრძალვა, მათ შორის სქესის გამო (დისკრიმინაციის (დასაქმება და პროფესია) კონვენცია); თანაბარი შესაძლებლობებისა და თანაბარი მოპყრობის უზრუნველყოფა ოჯახური პასუხისმგებლობის მქონე მუშაკებისთვის და ქალთა რეპროდუქციული უფლებების მხარდაჭერის დებულება (მშობიარობის დაცვის კონვენცია). წყარო: დანიის ადამიანის უფლებათა ინსტიტუტი
ადგილობრივი საზოგადოება	
ნახშირბადის დაბალი შემცველობის პროდუქტები და სერვისები	პირები ან პირთა ჯგუფები, რომლებიც ცხოვრობენ ან/და მუშაობენ ნებისმიერ სფეროში, რომელსაც აქვს ეკონომიკურ, სოციალურ ასპექტებზე ან გარემოზე ზემოქმედება (დადებითი ან უარყოფითი) ორგანიზაციის ოპერაციების შედეგად. შენიშვნა: ადგილობრივი საზოგადოება შეიძლება იყოს ორგანიზაციის ოპერაციების წარმოების ადგილთან ახლოს მცხოვრები მოსახლეობა, ან მოშორებით მცხოვრები მოსახლეობა, რომელზეც შესაძლოა მაინც იქონიოს გავლენა კომპანიის ოპერაციებმა. წყარო: GRI სტანდარტების ლექსიკონი
მენეჯერი	ნახშირბადის დაბალი შემცველობის პროდუქტში ინვესტიციებზე მზარდი აქცენტის მიუხედავად, არ არსებობს ნახშირბადის დაბალი შემცველობის პროდუქტების/მომსახურების ზუსტი და ზოგადად მიღებული განმარტება. ეს შეიძლება იყოს პროდუქტი ან მომსახურება, რომელიც იწვევს სათბურის აირების ემისიის აბსოლუტურ შემცირებას, ან აქტივობაში ნახშირბადის ინტენსივობის შემცირებას. იმის დასადგენად, არის თუ არა პროდუქტი ან მომსახურება დაბალი ნახშირბადის შემცველობის, CDP ხელს უწყობს არსებული ინდუსტრიის ტაქსონომიების და ჩარჩოების გამოყენებას, როგორიცაა კლიმატის ვალდებულებების ტაქსონომია, კლიმატის ცვლილებების გლობალური ინვესტორების კოალიციის კლიმატის ცვლილების რეესტრი და ევროკავშირის ეკოლოგიურად მდგრადი ეკონომიკური საქმიანობის ტაქსონომია. წყარო: მითითებები და კითხვარები - CDP

მენეჯერები გეგმავენ, ხელმძღვანელობენ, კოორდინაციას უწევენ და აფასებენ საწარმოების, სამთავრობო და სხვა ორგანიზაციების ან მათში შემავალი სტრუქტურული ერთეულების საერთო საქმიანობას, ასევე შეიმუშავებენ და აანალიზებენ მათ პოლიტიკას, კანონებს, წესებსა და რეგულაციების.

წყარო: ILO, ISCO-08

მატერიალურობა (ზეგავლენა)	
მატერიალურობა (ფინანსური)	მდგრადობის საკითხი არსებითია ზემოქმედების პერსპექტივიდან, თუ ის ეხება საწარმოს მნიშვნელოვან რეალურ ან პოტენციურ, დადებით ან უარყოფით ზეგავლენას ადამიანებსა ან გარემოზე მოკლე, საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში. მდგრადობის არსებითი საკითხი ზემოქმედების პერსპექტივიდან მოიცავს ზემოქმედებებს, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს საკუთარ ოპერაციებთან აღმავალ ან დაღმავალ ღირებულებით ჯაჭვებში, მათ შორის მისი პროდუქტებითა და სერვისები, ასევე საქმიანი ურთიერთობებით. წყარო: EFRAG, ESRS პროექტი - დანართი VI, ტერმინების შემოკლებები და განმარტებები
განცხადება მისიის შესახებ	მდგრადობის საკითხი ფინანსურად არსებითია, თუ წარმოშობს რისკებს ან შესაძლებლობებს, რომლებიც გავლენას ახდენენ (ან მოსალოდნელია, რომ გავლენას მოახდენენ) საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაზე, ფინანსურ მაჩვენებელზე, ფულადი სახსრების ნაკადებზე, ფინანსებზე წვდომაზე ან კაპიტალის ღირებულებაზე მოკლე, საშუალო ან გრძელვადიან პერსპექტივაში. წყარო: EFRAG, ESRS პროექტი - დანართი VI, ტერმინების შემოკლებები და განმარტებები
არა ბინარული	აღწერს რა ბიზნესში საქმიანობს (და არ საქმიანობს) ორგანიზაცია, როგორც ამჟამად, ასევე მომავალში. მისი მიზანია მენეჯმენტისა და პერსონალისთვის ყურადღების ცენტრის განსაზღვრა. წყარო: ჰარვარდის ბიზნეს მიმოხილვა ადამიანების უმეტესობა, მათ შორის ტრანსგენდერი ადამიანების უმეტესობა, არის კაცი ან ქალი. თუმცა, ზოგიერთი ადამიანი არ შედის "კაცის" ან "ქალის" კატეგორიაში. მაგალითად, ზოგიერთ ადამიანს აქვს სქესი, რომელიც აერთიანებს კაცის ან ქალის ელემენტებს, ან სქესი, რომელიც განსხვავდება მამრობითი ან მდედრობითი სქესისგან. ზოგიერთი ადამიანი არცერთ სქესთან არ არის ასოცირებული. ზოგიერთი ადამიანის სქესი მოგვიანებით იცვლება.
არა აღმასრულებელი საბჭო	ადამიანები, რომელთა სქესი არ არის მამრობითი ან მდედრობითი, იყენებენ განსხვავებულ ტერმინებს საკუთარი თავის აღსაწერად, მათ შორის „არა ბინარული“ ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებულია. ასევე გვხვდება ტერმინები genderqueer, agender და bigender. არცერთი ეს ტერმინი არ ნიშნავს ზუსტად იგივეს, თუმცა ყველა აღნიშნავს სქესს, რომელიც არ არის მამრობითი ან მდედრობითი. წყარო: ტრანსგენდერთა თანასწორობის ეროვნული ცენტრი
აზოტის ჟანგეულები	კომპანიის დირექტორთა საბჭოს დამოუკიდებელი ან გარე წევრები, რომლებიც არ არიან აღმასრულებელი მენეჯმენტის ნაწილი. წყარო: გაეროს გლობალური შეთანხმება
ოკეანესთან დაკავშირებით მიღებული ზომები	აზოტის ოქსიდები, NO და NO2, მომწამვლელი აირები, რომლებიც ხშირად წარმოიქმნება საწვავის მაღალ ტემპერატურაზე წვის შედეგად. როგორც უაღრესად რეაქციული აირი და ძლიერი მომწამვლელი ნივთიერება, მთავარ როლს თამაშობს და მჟავურ წვიმაში. წყარო: აშშ EPA
მყარი ნაწილაკები (PM10)	ოკეანეზე საქმიანობის მოკლე და გრძელვადიანი ზემოქმედების შეფასება (როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი) და ამ ზემოქმედების ჩართვა სტრატეგიასა და პოლიტიკაში. ეს შეიძლება მოიცავდეს ოკეანეზე პოზიტიური ზემოქმედების ზრდას ოკეანის მდგრადი ბიზნეს შესაძლებლობების გათვალისწინებით, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ოკეანის სიჯანსაღის და პროდუქტიულობის აღდგენა, დაცვა და შენარჩუნება, ისევე როგორც საზღვაო ეკონომიკაზე დამოკიდებული საარსებო წყაროების აღდგენა. ასევე გასათვალისწინებელია ოკეანეზე ნეგატიური ზემოქმედების შერბილება, მაგალითად, დაბინძურების შემცირებით (პლასტმასით, ჩამონადენით და სხვ.) და სათბურის აირების ემისიის შემცირება, რადგან ეს ორი წარმოადგენს უდიდეს საფრთხეს ოკეანისთვის. შესაბამის მარეგულირებელ ორგანოებთან თანამშრომლობა, წვლილის შეტანა საუკეთესო პრაქტიკასა და სტანდარტებში და ოკეანესთან დაკავშირებული მონაცემების გაზიარება საზღვაო ეკოსისტემის მეცნიერული შესწავლის გასაუმჯობესებლად, ოკეანესთან მიმართებაში მისაღები ზომების მაგალითებია. წყარო: გაეროს გლობალური შეთანხმება 10 მიკრომეტრი ან ნაკლები დიამეტრის ნაწილაკები. შეიძლება წარმოიქმნებოდეს იზოლირებული წყაროებიდან (მაგ., სამშენებლო უბნებიდან, საკვამლეებიდან) ან ატმოსფეროში მიმდინარე ქიმიური რეაქციების შედეგად. მცირე ზომის გამო, ადვილად შესაძლებელია შესუნთქვა და შეიძლება გამოიწვიოს ფილტვების დაზიანება ან, ზოგიერთ შემთხვევაში, შეიწოვება ადამიანის სისხლში. წყარო: აშშ EPA

მდგრადი ორგანული დამბინძურებლები (POPs)	ტოქსიკური ქიმიკატების კლასი ჯანმრთელობაზე მავნე ზემოქმედებით. არაერთი ორგანული დამაბინძურებელი წარმოადგენს სინთეზურ ნაერთს, რომელიც გამოიყენება სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო პროცესებში, თუმცა ასევე შეიძლება შეიცავდეს სამრეწველო ბიპროდუქტებს, როგორიცაა დიოქსინი. სტოკჰოლმის კონვენციით რეგულირდება ორგანული დამბინძურებლები, მათ შორის: -ოლდრინი - ქლორდანი -დიქლოროდიფენილ ტრიქლორეთანი (DDT) -დიელდრინი -ენდრინი - ჰეპაქლორი -ჰექსაქლორბენზოლი -მირექსი -ტოქსაფენი - პოლიქლორირებული ბიფენილები (PCB) - პოლიქლორირებული დიბენზო-პ-დიოქსინები (დიოქსინები) - პოლიქლორირებული დიბენზოფურანები (ფურანები) წყარო: აშშ EPA
პოლიტიკა	პოლიტიკა შეიძლება იყოს მაგ. დოკუმენტი, რომელიც ასახავს კომპანიისთვის საკითხის რელევანტობას, კომპანიის ვალდებულებას გააუმჯობესოს ეფექტურობა ამ საკითხის მხრივ, ვალდებულება მართოს და მონიტორინგი გაუწიოს შესრულებას, აღიარება, რომ კომპანია შეასრულებს შესაბამის მოთხოვნებს, კანონმდებლობას, საერთაშორისო მიზნების და სტანდარტების მითითებებს და სხვ. წყარო: გაეროს გლობალური შეთანხმება
პოლიტიკის განხორციელების ვალდებულება	არსებითი თემებისთვის სპეციფიკური პოლიტიკის ვალდებულება ეხება ნებისმიერ ერთ ან მეტ საჯაროდ ხელმისაწვდომ განცხადებას კომპანიის პასუხისმგებლობების, ვალდებულებების ან მოლოდინების შესახებ და ეხმარება კომპანიებს რისკებისა და შესაძლებლობების იდენტიფიცირებას და მართვაში; ხელსაყრელი გარემოსდაცვითი სერვისების, პროდუქტებისა და ინვესტიციების ხელშეწყობაში; ნეგატიური ზემოქმედების შერბილებაში და ინციდენტებზე რეაგირების სტრუქტურირებაში. წყარო: გაეროს გლობალური შეთანხმება
დაცული ტერიტორია	გეოგრაფიული არეალი, რომელიც გამოყოფილია ან რეგულირდება და იმართება კონსერვაციის კონკრეტული მიზნებისთვის. წყარო: გაეროს კონვენცია ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ
გამოსწორება	გამოსწორების ზომა/გამოსწორება ნიშნავს ნეგატიური ზემოქმედების გამოსწორებას. წყარო: GRI სტანდარტების ლექსიკონი
განახლებადი ენერგია	განახლებადი საწვავის წყაროები (მაგ. ბიოსაწვავი), მზის ენერგია, ბიომასა, ჰიდროენერგია, გეოთერმული ენერგია და ოკეანის ენერგია, მათ შორის თბო ენერგია და ელექტროენერგია განახლებადი წყაროებიდან. წყარო: UNCTAD, ISAR

განახლებადი ენერგიის სერტიფიკატი	გადაეცემათ კომპანიებს, რომლებმაც შეიძინეს განახლებადი ენერგია. წყარო: UNCTAD, ISAR
გონივრული დამოწმება	მაღალი, მაგრამ არა აბსოლუტური დამოწმების დონე. გონივრული დამოწმების მიზანია რისკის შემცირება მისაღებ დაბალ დონემდე, როდესაც დამოწმება წარმოადგენს საფუძველს აუდიტორის დასკვნის პოზიტიურად გადმოცემის საფუძველი. გონივრული დამოწმების სამუშაოს ჩვეულებრივ უწოდებენ აუდიტს.
დირექტორთა საბჭოს მიერ განხილვა	სავარაუდო კორუფციული შემთხვევის ოფიციალური განხილვა კომპანიის უმაღლესი მენეჯმენტის მიერ, როგორც წესი, საბოლოო ზომების მისაღებად საქმეზე მოკვლევის შემდეგ და სხვა შიდა კომიტეტების/ჯგუფების მიერ განხილვისას, მაგ. რისკის/ეთიკის კომიტეტი. წყარო: UNODC
რისკების/ეთიკის კომიტეტის მიერ განხილვა	კომპანიაში შექმნილი კომიტეტი, რომელიც აფასებს კორუფციის სავარაუდო შემთხვევებს შიდა მოკვლევის შემდეგ. კომპანიიდან გამომდინარე, ამ ტიპის კომიტეტს შეიძლება ქონდეს დისციპლინური ზომების და სანქციების უფლებამოსილება, ან სხვა რეკომენდაციების გაცემის უფლებამოსილება. ზოგიერთ კომპანიაში, საკითხი შეიძლება პირდაპირ განიხილოს უმაღლესმა მენეჯმენტმა, მაგ. დირექტორთა საბჭომ. წყარო: UNODC
გამომწვევი მიზეზის ანალიზი / გამოკვლევა	„ძირითადი მიზეზების ანალიზი დამსაქმებელს საშუალებას აძლევს აღმოაჩინოს ინციდენტის ძირითადი ან სისტემური და არა ზოგადი ან უშუალო მიზეზები. მხოლოდ უშუალო მიზეზის გამოსწორებამ შეიძლება აღმოფხვრას პრობლემა სიმპტომურად, და არა თავად პრობლემის აღმოფხვრამ“. წყარო: OSHA – გამომწვევი მიზეზის ანალიზის მნიშვნელობა ინციდენტის მოკვლევის დროს
საფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემო	უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემო, ან შრომის უსაფრთხოება და ჯანმრთელობა -დისციპლინა, რომელიც ეხება სამუშაოსთან დაკავშირებული ტრავმების და დაავადებების პრევენციას, ასევე მუშაკთა ჯანმრთელობის დაცვას და ხელშეწყობას. წყარო: შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია
ადამიანის მნიშვნელოვანი უფლებები	კომპანიის საქმიანობისა და საქმიანი ურთიერთობების შედეგად ყველაზე სერიოზული უარყოფითი ზემოქმედების რისკი ადამიანის უფლებებს ემუქრება. წყარო: UNGC
უფროსი აღმასრულებელი დირექტორი	ორგანიზაციის მენეჯმენტის უფროსი წევრი, როგორიცაა გენერალური დირექტორი (CEO) ან პირი, რომელიც ანგარიშვალდებულია უშუალოდ გენერალური დირექტორის ან უმაღლესი მმართველი ორგანოს წინაშე. წყარო: GRI სტანდარტების ლექსიკონი
ერთჯერადი პლასტმასი	

ხშირად ასევე მოიხსენება როგორც ერთჯერადი პლასტმასის პროდუქცია - რომელიც მთლიანად ან ნაწილობრივ დამზადებულია პლასტმასისგან, რომელიც არ არის დამზადებული ან განთავსებული ბაზარზე იმისათვის, რომ მრავალჯერადად იყოს გამოყენებული ბრუნვაში, დაუბრუნდეს მწარმოებელს ან შეივსოს ხელახლა.

მაგალითები: პლასტმასის შეფუთვა, სასმელების ჭიქები, საკვების კონტეინერები, ხუფები, დანა-ჩანგალი, თეფშები, ჩანთები, თამბაქოს ფილტრები და ერთჯერადი სახის ნიღბები.
წყარო: მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი

ობიექტი	ქონება, რომელსაც ფლობს, იჯარით აღებული ან გაცემული აქვს მონაწილე კომპანიას. წყარო: მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი
1-ლი დონის სათბურის აირების ემისია	სათბურის აირების ემისიები წყაროებიდან, რომლებსაც ეკუთვნის ან რომლებსაც აკონტროლებს ორგანიზაცია. შენიშვნა 1: სათბურის აირების წყარო არის ნებისმიერი ფიზიკური ერთეული ან პროცესი, რომელიც გამოყოფს სათბურის აირს ატმოსფეროში. შენიშვნა 2: პირდაპირი (1-ლი დონე) სათბურის აირების ემისიები შეიძლება მოიცავდეს CO2-ის ემისიებს საწვავის მოხმარებიდან. წყარო: GRI სტანდარტების ლექსიკონი
მე-2 დონის სათბურის აირების ემისია	სათბურის აირების ემისიები, რომლებიც წარმოიქმნება შეძენილი, ორგანიზაციის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის, გათბობის, გაგრილების და ორთქლიდან. წყარო: GRI სტანდარტების ლექსიკონი
მე-3 დონის სათბურის აირების ემისია	არაპირდაპირი სათბურის აირების ემისიები, რომლებიც არ შედის არაპირდაპირი (მე-2 დონე) სათბურის აირების ემისიებში, რომლებიც წარმოიქმნება ორგანიზაციის ფარგლებს გარეთ. წყარო: GRI სტანდარტების ლექსიკონი
გოგირდის მჟავები	გოგირდის ოქსიდების კლასის აბრევიატურა, ყველაზე გავრცელებულია გოგირდის დიოქსიდი (SO2). SO2, როგორც წესი, წარმოიქმნება როგორც ბიპროდუქტი წიაღისეული საწვავის წვის ან სამრეწველო პროცესების შედეგად, როგორიცაა ლითონის მადნის მოპოვება. მოქმედებს როგორც რესპირატორული გამაღიზიანებელი და ასევე შეუძლია წვლილი შეიტანოს ნაწილაკების და ნისლის წარმოქმნაში. წყარო: აშშ EPA
დაინტერესებული მხარე(ები)	დაინტერესებული მხარეები ეწოდებათ მათ, ვინც შეიძლება გავლენა გავლენა მოახდინოს პროექტზე ან თავად მოექცეს პროექტის გავლენაში. არსებობს დაინტერესებულ მხარეთა ორი ძირითადი ჯგუფი: ა) ზემოქმედების ქვეშ მოქცეული დაინტერესებული მხარეები: პირები ან ჯგუფები, რომელთა ინტერესებზე გავლენას ახდენს ან შესაძლოა დადებითად ან უარყოფითად იმოქმედოს საწარმოს საქმიანობამ და მისმა პირდაპირმა და არაპირდაპირმა საქმიანმა ურთიერთობებმა ღირებულების ჯაჭვის ფარგლებში; და ბ) მდგრადობის ანგარიშგების მომხმარებლები: ზოგადი დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების ძირითადი მომხმარებლები (არსებული და პოტენციური ინვესტორები, გრანტების გამცემი ორგანიზაციები და სხვა კრედიტორები, მათ შორის აქტივების მენეჯერები, საკრედიტო ინსტიტუტები, სადაზღვევო კომპანიები), ასევე სხვა მომხმარებლები, საწარმოს ბიზნეს-პარტნიორების ჩათვლით, პროფკავშირები და სოციალური პარტნიორები, სამოქალაქო საზოგადოება და არასამთავრობო ორგანიზაციები, მთავრობები, ანალიტიკოსები და სამეცნიერო წრეები. ყველა არა, მაგრამ ზოგიერთი დაინტერესებული მხარე შეიძლება მიეკუთვნებოდეს ორივე ჯგუფს. წყარო: EFRAG, ESRS პროექტი - დანართი VI, ტერმინთა შემოკლებები და განმარტებები
დაინტერესებული მხარეების ჩართულობა	საწარმოსა და მის დაინტერესებულ მხარეებს შორის ურთიერთქმედების და დიალოგის მიმდინარე პროცესი, რომელიც საშუალებას აძლევს კომპანიას მოისმინოს, გაიგოს და უპასუხოს მათ ინტერესებსა და შეშფოთებას. წყარო: EFRAG, ESRS პროექტი - დანართი VI, ტერმინთა შემოკლებები და განმარტებები
მომწოდებელ(ებ)ი	
მიწოდების ჯაჭვი	
მდგრადი განვითარება	ორგანიზაციის ზემდგომი სუბიექტი (ანუ - ორგანიზაციის მიწოდების ჯაჭვში), რომელიც უზრუნველყოფს პროდუქტის ან მომსახურების მიწოდებას, რაც გამოიყენება ორგანიზაციის საკუთარი პროდუქტებისა თუ სერვისების შემუშავებაში.
მდგრადი განვითარების მიზნები	

მაგალითები ბროკერები, კონსულტანტები, კონტრაქტორები, დისტრიბუტორები, ფრენჩაიზები, სახლის მუშაკები, დამოუკიდებელი კონტრაქტორები, ლიცენზიატები, მწარმოებლები, ძირითადი მწარმოებლები, ქვეკონტრაქტორები, საბითუმო მოვაჭრეები

შენიშვნა: მიმწოდებელს შეიძლება ჰქონდეს პირდაპირი საქმიანი ურთიერთობა ორგანიზაციასთან (ხშირად მოიხსენიება როგორც პირველი დონის მიმწოდებელი) ან არაპირდაპირი საქმიანი ურთიერთობა.

წყარო: GRI სტანდარტების ლექსიკონი

აქტივობების თანმიმდევრობა ან მხარეები, რომლებიც ორგანიზაციას აწვდიან პროდუქტს ან მომსახურებას.

წყარო: GRI სტანდარტების ლექსიკონი

განვითარება, რომელიც აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნილებებს მომავალი თაობების საკუთარი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების უნარის დაუზიანებლად.
შენიშვნა 1: მდგრადი განვითარება მოიცავს სამ კომპონენტს: ეკონომიკურს, ეკოლოგიურს და სოციალურს.
შენიშვნა 2: მდგრადი განვითარება უკავშირდება უფრო ფართო გარემოსდაცვით და საზოგადოებრივ ინტერესებს და არა კონკრეტული ორგანიზაციების ინტერესებს.
შენიშვნა 3: GRI-ის სტანდარტებში ტერმინები „მდგრადობა“ და „მდგრადი განვითარება“ ურთიერთგამომრიცხავია.
წყარო: GRI სტანდარტების ლექსიკონი

უნივერსალური მოწოდება მოქმედებისკენ, რათა აღმოვფხვრათ სიღარიბე, დავიცვათ პლანეტა და გავაუმჯობესოთ თითოეული ადამიანის ცხოვრება და პერსპექტივები. 17 მიზანი გაეროს ყველა წევრმა სახელმწიფომ მიიღო 2015 წელს, როგორც მდგრადი განვითარების 2030 წლის დღის წესრიგის ნაწილი, რომელიც განსაზღვრავს მიზნების მიღწევის 15-წლიან გეგმას. მდგრადი განვითარების მიზნები - გეგმა თითოეული ადამიანისთვის უკეთესი და უფრო მდგრადი მომავლის შესაქმნელად. უმკლავდებიან ჩვენს წინაშე არსებულ გლობალურ გამოწვევებს, მათ შორის სიღარიბეს, უთანასწორობას, კლიმატის ცვლილებას, გარემო პირობების გაუარესებას, მშვიდობის და სამართლიანობის საკითხებს.
წყარო: გაეროს მდგრადი განვითარების მიზნები

მესამე მხარე - წყლის მიმწოდებლები	მუნიციპალური წყალმომარაგების სუბიექტები და მუნიციპალური ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობები, საზოგადოებრივი ან კერძო საწარმოები და სხვა ორგანიზაციები, რომლებიც მონაწილეობენ წყლის და ჩამდინარე წყლების მიწოდებაში, ტრანსპორტირებაში, დამუშავებაში, განკარგვაში ან გამოყენებაში. წყარო: GRI სტანდარტების ლექსიკონი
პროფესიული კავშირი	მუშაკთა ორგანიზაცია, შექმნილი მუშაკთა ინტერესების დაცვის მიზნით. წყარო: შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია (ILO)
ტრეინინგი	„ტრენინგი: • ყველა სახის პროფესიული მომზადება და სწავლება; • ორგანიზაციის მიერ ანაზღაურებადი სასწავლო შვებულება თანამშრომლებისთვის; • ტრენინგი, რომელსაც ატარებს გარე ორგანიზაცია და მთლიანად ან ნაწილობრივ აფინანსებს ორგანიზაცია; • ტრენინგი კონკრეტულ თემებზე“. წყარო: GRI Disclosure 404-1 ცოდნის სისტემატური და გადაცემა და პარალელური შემოწმება. წყარო: გაეროს გლობალური შეთანხმება
გაეროს გლობალური შეთანხმება, მდგრადი ოკეანის პრინციპები	უზრუნველყოს ჩარჩო (ოკეანის დაცვა და პროდუქტიულობა, მმართველობა და ჩართულობა, მონაცემები და გამჭვირვალობა) პასუხისმგებელი ბიზნეს პრაქტიკისთვის სხვადასხვა დარგებსა და გეოგრაფიულ არეალებში. ეფუძნება და ემატება გაეროს გლობალური შეთანხმების ათ პრინციპს ადამიანის უფლებების, შრომის, გარემოს დაცვის და კორუფციასთან ბრძოლის შესახებ. წყარო: გაეროს გლობალური შეთანხმება
არაჯეროვანად წარმოდგენილი სოციალური ჯგუფი	მოსახლეობა, რომელსაც მოცემულ საზოგადოებაში ნაკლები შესაძლებლობა აქვს დააფიქსიროს თავისი ეკონომიკური, სოციალური ან პოლიტიკური საჭიროებები და შეხედულებები. შენიშვნა: ამ განსაზღვრებაში შემავალი კონკრეტული ჯგუფები არ არის იგივე ყველა ორგანიზაციის შემთხვევაში. ორგანიზაცია განსაზღვრავს შესაბამის ჯგუფებს მისი სამოქმედო არეალიდან გამომდინარე. წყარო: GRI სტანდარტების ლექსიკონი
ღირებულებების ჯაჭვი	ორგანიზაციის ღირებულების ჯაჭვი მოიცავს აქტივობებს, რომლებიც, დამატებული ღირებულების შექმნით, შენატანს გარდაქმნიან შედეგად. იგი მოიცავს სუბიექტებს, რომლებთანაც ორგანიზაციას აქვს პირდაპირი ან არაპირდაპირი საქმიანი ურთიერთობები და რომლებიც ან (ა) აწვდიან პროდუქტებს ან მომსახურებას, რომლებიც ხელს უწყობენ ორგანიზაციის საკუთარი პროდუქტების ან სერვისების წარმოებას, ან (ბ) იღებენ პროდუქტებს ან მომსახურებას ორგანიზაციისგან.შენიშვნა 1: ეს განმარტება ეფუძნება: „გაეროს კორპორატიული პასუხისმგებლობა ადამიანის უფლებათათვის: ინტერპრეტიული გზამკვლევი“, 2012 წ. შენიშვნა 2: ღირებულების ჯაჭვი მოიცავს ორგანიზაციის ზედა და ქვედა დონის აქტივობების მთელ სპექტრს, რომელიც მოიცავს პროდუქტის ან მომსახურების სრულ სასიცოცხლო ციკლს, კონცეფციის ჩამოყალიბებიდან მის საბოლოო მოხმარებამდე. წყარო: GRI-ის სტანდარტების ლექსიკონი

აქროლადი ორგანული ნაერთები (VOCs)	ქიმიური ნაერთები, ხშირად აირები, რომლებსაც აქვთ დაბალი ორთქლის წნევა და ხასიათდებიან წყალში ხსნადობის დაბალი ხარისხით. როგორც წესი, ეს არის ადამიანის მიერ შექმნილი ქიმიკატები, რომლებიც გვხვდება საღებავებში, ფარმაცევტულ საშუალებებში, მაცივრებში, წებოვან მასალებში, საწვავში, საწმენდ საშუალებებში, პესტიციდებში, სამშენებლო მასალებში, სახლის ავეჯში და სხვა. წყარო: აშშ EPA
მოწყვლადი ჯგუფები	გარკვეული ფიზიკური, სოციალური, პოლიტიკური ან ეკონომიკური მდგომარეობის ან მახასიათებლის მქონე პირთა ერთობლიობა ან ქვეჯგუფი, რომელსაც ორგანიზაციის ოპერაციები აყენებს ტვირთის ზიდვის უფრო მაღალი რისკის ქვეშ, ან სოციალური, ეკონომიკური ან გარემოსდაცვითი ზემოქმედების არაპროპორციული ტვირთის რისკის ქვეშ. შენიშვნა 1: მოწყვლადი ჯგუფები შეიძლება იყვნენ ბავშვები და ახალგაზრდები, მოხუცები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, ვეტერანები, იძულებით გადაადგილებული პირები, დევნილები ან დაბრუნებული დევნილები, აივ/შიდსით დაავადებული პირები, მკვიდრი მოსახლეობა და ეთნიკური უმცირესობები. შენიშვნა 2: დაუცველობა და ზემოქმედება შეიძლება განსხვავდებოდეს სქესის მიხედვით. წყარო: GRI სტანდარტების ლექსიკონი
ნარჩენები	არაპროდუქტიული მასალები უარყოფითი ან ნულოვანი საბაზრო ღირებულებით. წყლის და ჰაერის დამაბინძურებელი ემისიები - მიუხედავად იმისა, რომ წარმოადგენენ არაპროდუქტიულ გამონაბოლქვს - არ ითვლება ნარჩენებად. წყარო: UNCTAD, ISAR
წყლის რესურსის მოხმარება	წლის ჯამური მოცულობა, რომელიც აღებულია და შედის პროდუქტებში, გამოიყენება კულტურების მოყვანაში, წარმოიქმნება ნარჩენებად, ორთქლდება, გამოიყოფა, მოიხმარება ადამიანების ან პირუტყვის მიერ, ან დაბინძურებულია გამოუსადეგარ დონემდე და შესაბამისად არ ბრუნდება ზედაპირულ წყლებში, მიწისქვეშა წყლებში, ზღვის წყალში, წარმოებულ წყალში ან მესამე მხარის რესურსში. შენიშვნა 1: მოიცავს წყალს, რომელიც მოცემულ საანგარიშო პერიოდში შენახული იყო მომდევნო საანგარიშო პერიოდში გამოსაყენებლად. შენიშვნა 2: ეს განმარტება ეფუძნება CDP, CDP წყლის უსაფრთხოების ანგარიშგების სახელმძღვანელოს (2018). წყარო: CDP წყლის რესურსების უსაფრთხოება, 2019. კითხვარი
წყლის რესურსის მოცულობა	საზომი, რომელიც ადგენს კავშირს წყლის მოცულობით ასპექტსა და წარმოების ერთეულს შორის, ფინანსურ საზომ ან სხვა ერთეულს შორის. წყარო: CDP წყლის რესურსების უსაფრთხოება, 2019, საანგარიშო სახელმძღვანელო

წყლის მოხმარების ინტენსივობა	წყალზე ადამიანის და ეკოლოგიური მოთხოვნილების დაკმაყოფილების შესაძლებლობა, ან ნაკლებობა. დეფიციტთან შედარებით, წყლის მოხმარების ინტენსივობა (სტრესი) უფრო ინკლუზიური და ფართო კონცეფციაა. ითვალისწინებს წყლის რესურსებთან დაკავშირებულ რამდენიმე ფიზიკურ ასპექტს, მათ შორის წყლის ხელმისაწვდომობას, წყლის ხარისხს (მაგ., შეუძლიათ თუ არა ადამიანებს ფიზიკურად ხელმისაწვდომი წყლის მარაგების გამოყენება), რაც ხშირად ინფრასტრუქტურის საკმარისობის და ხელმისაწვდომობის განმაპირობებელია. როგორც წყლის მოხმარება, ასევე წყლის აღება გვაძლევს სასარგებლო ინფორმაციას წყლის მოხმარების ინტენსივობის შესახებ. აქვს სუბიექტური ელემენტები და განსხვავებულად ფასდება ღირებულებებიდან გამომდინარე. მაგალითად, საზოგადოებებს შეიძლება დაწესებული ქონდეთ განსხვავებული ზღვრები, თუ რა არის საკმარისად სუფთა სასმელი წყალი ან წყლის გარემოსდაცვითი მოთხოვნების შესაბამისი დონე მტკნარი წყლის ეკოსისტემებისთვის და ამრიგად, განსხვავებულად აფასებდნენ. შენიშვნა: წყლის მოხმარების ინტენსივობა სხვადასხვა ფორმით განიმარტება ორგანიზაციებში. წყლის რესურსების ზედამხედველობის კავშირის თანახმად, გამოიყენება Water Mandate-ს წყლის რესურსის მოხმარების ანგარიშგების სახელმძღვანელოს განმარტება (2014). წყარო: Water Mandate
წყლის აღება	ზედაპირული ან მიწისქვეშა წყლებიდან აღებული მტკნარი წყლის მოცულობა. მტკნარი წყლის ნაწილი აორთქლდება, მეორე ნაწილი ბრუნდება წყალშემკრებში, ხოლო მეორე ნაწილი შეიძლება დაბრუნდეს სხვა წყალშემკრებში ან ზღვაში. წყარო: Water Mandate
დარღვევების დაფიქსირების პოლიტიკა	იმ პირთა დაცვის პროცესი, რომლებსაც სურთ უკანონო, არაეთიკური, ან სახიფათო პრაქტიკის გამოვლენა. დარღვევების დაფიქსირების ეფექტური მექანიზმი განსაზღვრავს მკაფიო პროცედურებს და არხებს, რათა ხელი შეუწყოს დარღვევების და კორუფციის ფაქტების დაფიქსირებას, განსაზღვრავს დაცვის ფორმებს, სამაგიეროს გადახდაზე საპასუხო ზომებს და სანქციებს. წყარო: GRESB ინფრასტრუქტურა 2021 -
დასაქმებულთა წარმომადგენლები	დასაქმებულთა წარმომადგენლების 1971 წლის კონვენციის მე-3 მუხლი (N. 135), წარმომადგენლებს განსაზღვრავს როგორც „პირებს, რომლებიც წარმომადგენლებად განისაზღვრებიან ეროვნული კანონმდებლობით თუ პრაქტიკით, მაგალითად: (ა) პროფკავშირის წარმომადგენლები, კერძოდ, დანიშნული ან არჩეული წარმომადგენლები პროფკავშირების ან წევრების მიერ; ან (ბ) არჩეული წარმომადგენლები, კერძოდ წარმომადგენლები, რომლებსაც თავისუფლად ირჩევენ საწარმოს მუშაკები ეროვნული კანონმდებლობის ან რეგულაციების, ან კოლექტიური ხელშეკრულებების დებულებების შესაბამისად და რომელთა ფუნქციებში არ შედის საქმიანობა, რომელიც აღიარებულია პროფკავშირების ექსკლუზიურ პრეროგატივად“. წყარო: შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია (ILO)

განცხადებები

გაეროს გლობალური შეთანხმება მადლობას უხდის მრავალ პირს, კომპანიას და ორგანიზაციას, რომლებმაც წვლილი შეიტანეს პროგრესზე კომუნიკაციის (CoP) განხილვაში რეკომენდაციებით და გამოხმაურებებით, მათ შორის კონსულტაციების პერიოდში.

კითხვარი შემუშავდა 70-ზე მეტი ორგანიზაციის, მათ შორის გაეროს უწყებების, სამოქალაქო ორგანიზაციებისა და ბიზნესის წარმომადგენლების ტექნიკური ჩართულობით.

კითხვარის შემუშავებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციამ, გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისმა, გაეროს გარემოს დაცვის პროგრამამ, გაეროს ნარკოტიკების და დანაშაულის ოფისმა და Shift-მა.

გაეროს გლობალური შეთანხმება განსაკუთრებულ მადლობას უხდის ლორა პალმეიროს ექსპერტულ და სტრატეგიულ მიმართულებებზე გაწეული სამუშაოსთვის, პროექტის უფროსი მრჩევლის რანგში, ასევე Danone-ს, ამ შესაძლებლობის უზრუნველყოფისთვის. გაეროს გლობალური შეთანხმება ასევე განსაკუთრებულ მადლობას უხდის დელფინ გიბასიეს, საბუღალტრო აღრიცხვის მდგრადი განვითარების სფეროში სრულ პროფესორს, მისი კომპლექსური ტექნიკური წვლილისთვის.

ასევე მადლობას ვუხდით Boston Consulting Group-ს მხარდაჭერის და რჩევებისთვის.

კითხვარი, ეს სახელმძღვანელო და დამხმარე მასალები მოამზადა გაეროს გლობალური შეთანხმების ჯგუფმა: ლილა კარბასი, ბერნჰარდ ფრეი, მორამაი ნავარო პერესი, სილვი ხოსელი, ჯულია მასარო, იულია ერიჩევა, შონ კრუზი და მოლი მაკეჰენი. ასევე მადლობას ვუხდით გაეროს გლობალური შეთანხმებისა და გლობალური შეთანხმების ქსელების ყველა კოლეგას კიტხვარის განხილვაში შეტანილი ფასდაუდებელი წვლილისთვის, მათ შორის ელენა ბომბისს, გრიტ კატაერტს, ეშლი დემინგს, ფლავიო ფუერტესს, ანტონიო ჰაუტლს, ჯული კოფოედს, მაი-ლან ჰას და ანა კრუიპს.

მადლობას ვუხდით ოდენსიის უნივერსიტეტის პროფესორებს და მკვლევარებს: ნიკოლას ანტეუმს, ემანუელ კორდანოს, ევგენი ფორეს, ბჰანუ პუტუმბაკას და სუად ტაიბს.

ასევე მადლობას ვუხდით PwC-ს შეტანილი წვლილის და მხარდაჭერას.

შეტანილი წვლილისთვის, გაეროს გლობალური შეთანხმება ოფიციალურად უხდის მადლობას შემდეგ ორგანიზაციებს, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს გაეროს გლობალური შეთანხმების მიერ 2021 წლის მარტ-აპრილში ორგანიზებულ კონსულტაციებში:

გაეროს სუბიექტები:
შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია (ILO), გაეროს გარემოს დაცვის პროგრამა (UNEP), გაეროს ნარკოტიკების და დანაშაულის ოფისი (UNODC), გაეროს ვაჭრობის და განვითარების კონფერენცია (UNCTAD), გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP), გაეროს სოციალური განვითარების კვლევითი ინსტიტუტი (UNRISD), გაეროს სტატისტიკის სამმართველო (UNSD), გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისი (OHCHR)

მომხსენებელი ორგანიზაციები:
B Lab, Capitals Coalition, Carbon Disclosure Project (CDP), Future Fit, Global Reporting Initiative (GRI), Impact Management Project (IMP), Reporting 3.0, World Benchmarking Alliance (WBA)

დარგის ექსპერტები:
ბიზნესი სოციალური პასუხისმგებლობისთვის (BSR), დანიის ადამიანის უფლებათა ინსტიტუტი (DIHR), წყნარი ოკეანის ინსტიტუტი/წყლის რესურსების მდგრადობა, Shift, საერთაშორისო გამჭვირვალობა, მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი ინიციატივა თანამშრომლობა კორუფციის წინააღმდეგ (PACI), რესურსების მსოფლიო ინსტიტუტი (WRI), ბუნების მსოფლიო ფონდი (WWF), სტოკჰოლმის უნივერსიტეტი.

ფიზიკური პირები:
მარგარიტ მენდელი (კონკორდიის უნივერსიტეტი); რიჩარდ ჰოვიტი (IIRC-ის ყოფილი აღმასრულებელი დირექტორი)
კომპანიები: BlackRock, Colgate, Danone, Eni Spa, Firmenich, Grupo Bimbo, Knoll Printing & Packaging, Marshalls, Nechi Group, Novo Nordisk, Novozymes, Pathologists-Lancet-Kenya, PIMCO PT-Rimba-Makmur-Utama, RELLC, Safa , SESO, Sprout Coffee, Sumitomo Chemical, UPM, Verizo